# საერთო გაზეთი

№22 (703)
ოთხშაბათი
28 ივნისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.


# სტრასბურგმა მიშას უთხრა: კარგ ადგილას ხაარო...

## ქაოსი საქართველოში სატრანზიტო ნაკადების ჩაკეტვას გამოიწვევს



როცა პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, გეოპოლიტიკური ამოცანა ის არის, რომ ზემოაღნიშნული კორიდორები არ გაიხსნას და რეგიონში ჩინეთი არ შემოვიდეს. სამხრეთი კავკასია უნდა ჩაიკეტოს. საქართველო უნდა გახდეს ლიდერი აზერბაიჯანის დესტაბილიზაციისთვისაც. ესეც უნდა გვესმოდეს. სახელმწიფოც და ხალხიც აქედან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს და კარგად გაიაზროს, სინამდვილეში რა ხდება. საქართველო ამ ყველაფერში ჯაჭვის ერთ-ერთი პატარა, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი რგოლია. დასავლეთი მაქსიმალურად ცდილობს, „დიდ ევრაზიაში“ ჩინეთის გავლენის ზრდას ხელი შეუშალოს. შესაბამისად, დესტაბილიზაციის გამოწვევა სამხრეთ კავკასიაში, გარკვეული გეოპოლიტიკური აქტორების ამოცანაა. სწორედ ამ ჭრილში შეიძლება განვიხილოთ ეს პროცესები.



## „სხვა ხალხის ისმის აქ ქრიამული“

— ბორელმა ისეთი სისულელე თქვა, რაც პოლიტიკოსს არ ეკადრება — ევროპა მთელ მსოფლიოში ბაღნარია, ხოლო დანარჩენი — ჯუნგლებიაო. ფაშისტების გარდა, ვინ საუბრობდა ასე? რეიგანს დავესესხები: ესენი ლიბერალ-ფაშისტები არიან, რომლებიც უკან არაფერზე დაიხევენ. მაკრონმა, რომელსაც თავის ქვეყანაში ვერ მოუგვარებია საქმე, გვითხრა: ევროპა ღირებულებების გარდა, გეოგრაფიაც არისო. ეს იცით, რას მაგონებს? — ყრუ და ბრმა კაცს ცოლი მოუკვდება და ბჭობენ: როგორ გავაგებინოთო. ერთმა ჭკვიანმა მოიფიქრა: ამაღამ ლოგინში რომ არ დაუწვება, ასე გაიგებსო. ჩვენც ანალოგიური გვჭირს. ვითარება, საითაც მივდივართ, ყველასთვის დამანგრეველი იქნება, უპირველესად კი იმ იმპერიებისთვის, რომლებიც ყოველდღე ჩვენ დამცირებას ცდილობენ.

## ერთი საკნის ისტორია



საკანში დაბრუნებული ოთარი მაგიდასთან დაჯდა, ჩაიცინა, თავი გადაიქნია და მოგვიყვა: გამომძიებელი შეუცვლიათ, მთლად პატარა ბიჭი იყო, დასაკითხად მოვედიო. მე ვუთხარი, არანაირ ჩვენებას არ მოგცემ და, საერთოდ, თავს დამნაშავედ არ ვცნობ, არც იარაღი იყო ჩემი, არც ყაჩაღობა ჩამიდენია-მეთქი. თუ არ გინდა, ნუ მიპასუხებ, ჩვენ ჩვენი მტკიცებულებები გვაქვს, იმით გაგასამართლებთ და დიდ სასჯელსაც მიიღებო. ადვოკატი სად არის-მეთქი და მისი მონაცემები არ მქონდა, ვერ დავუკავშირდიო. სხვათა შორის, მითხრა, თუ ვაღიარებდი, რასაც მაბრალებდნენ, უფასო საპროცესოს გამიფორმებდნენ და სასჯელს მინიმუმს მომცემდნენ, მინიმუმი ექვსი წელით განუსაზღვრიათ. ისე ამბობენ, ექვსი წელიო, თითქოს კურორტზე მიშვებენ ამ უდანაშაულო ადამიანს. დაზარალებულებთან დაპირისპირება მოვითხოვე და ვერ ვუკავშირდებით, თურქეთში არიან წასულები, ზუსტი მისამართები კი არ გვაქვსო. ვიღაც ხომ უნდა მომიყვანონ დაყაჩაღებული და დაჭრილი, დამაპირისპირონ და მერე დამდონ ბრალი...

# „გორდიას კვანძი“, თუ „სიმულაციური მარათონი?“

# „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“



*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, სტოკჰოლმში ევროკომისიის შუალედური ანგარიში მოვისმინეთ, სადაც შესრულებულად მხოლოდ სამი პუნქტი ჩაგვითვალეს. რა მოლოდინი გაქვთ, მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს?**

— ქართული ანდაზა ყველამ ვიცით — მექოთნე ქოთანს ყურს იქით გამოაბამს, საითაც თავად მოისურვებს. ეს მოცემულობაა: ევროპის პოლიტიკურ ძალებს და არა მარტო მათ, არამედ მსოფლიო გლობალური ომის პარტიას, დღევანდელი ევროპის პოლიტიკური ელიტა, სრულიად ევროპა მორჩილებაში ჰყავს. მათი სურვილი საქართველოში ხელისუფლების შეცვლაა. სწორედ ამისთვისაა მოგონილი სრულიად უმნიშვნელო კანდიდატობის სტატუსი, რომელიც არაფრით განსხვავდება ევროპული პერსპექტივისგან, რაც დღეს გვაქვს. ეს სტატუსი იცით, რისთვის სჭირდებათ? რომ ქართული სახელმწიფო, ხელისუფლება მოკლე თოკზე ჰყავდეთ დაბმული. თუ მათ არ დავუჯერებთ, მაშინვე არაფრისმთქმელ კანდიდატობას აგვიფრიალებენ. აქაურმა ფინიებმა კი, როგორც კი **კაჟა ბულავები დასავლეთიდან დირიჟორის ჯოხს აუქნევენ, ბლავილი უნდა დაიწყონ**. აქვე მზადყოფნაში ჰყავთ მოლოტოვის კოქტეილებით შეიარაღებული რაზმები, გაწვრთნილი ე.წ. ჯენზი ახალგაზრდობა, რომელსაც ხელისუფლების გადასატრიალებლად იყენებენ. მინიმალური შანსიც კი არ არსებობს, რომ დღევანდელმა ოპოზიციამ ერთი წლის შემდეგ არჩევნებში რაიმე წარმატებას მიაღწიოს. ამიტომ ხელისუფლების შესაცვლელად რევოლუციურ გზას ირჩევენ. დღეს უკრაინაში რთული ვითარებაა, ამის გამო ყურადღება საქართველოზე გადმოაქვთ. შარვალჩახდილმა, ყველაფრის მკადრებელმა გირჩი-ზურაბამ ხომ თქვა: რუსეთმა საქართველოში ათი ათასი ჯარისკაცი და ხუთასამდე ტანკი შემოიყვანოსო. აი, ამისთვის — ქვეყნის იავარქმნისთვის არიან მოწოდებულნი. ერთი ეჭვიც მაქვს: მომავალში, როგორც იცით, მსოფლიოსთვის სერიოზული პრობლემა მტკნარი წყლის დეფიციტი იქნება. ჩვენ კი ყველაზე დიდი რაოდენობით წყალი გვაქვს. რაისა გორბაჩოვამ შემთხვევით როდი თქვა: გაუმარჯოს საქართველოს ქართველების გარეშეო. აი, ამ გეგმის განხორციელება სურთ. გორბაჩოვები ტროცკის თანამოაზრეები იყვნენ. ასე არიან ახლანდელი გალმა და შინაური მტრებიც. ევროს დეპუტატების სურვილიც ესაა — საქართველო ქართველების გარეშე.

**— „რადიო თავისუფლების“ ბრიუსელის ბიუროს ჟურნალისტმა განაცხადა, რომ საქართველო უკრაინას და მოლდოვას ბევრად ჩამორჩება. თქვენი აზრით, რაში ჩამოვრჩებით ამ ორ ქვეყანას?**

— კი ბატონო, **უკრაინას ნამდვილად ჩამოვრჩებით ოპოზიციური ძალების დევნაში, სადაც ოპოზიციონერებს აპატიმრებენ**. ფაქტობრივად, იქ ოპოზიციური პარტიები არ არსებობს. დიახ, უკრაინას და მოლდოვას ნამდვილად ჩამოვრჩებით კორუფციის საკითხში, რასაც ევროკავშირის რიგი ორგანიზაციებიც აღიარებენ. კიდევ, ამ ქვეყნებს ძალიან ჩამოვრჩებით სასამართლოს კორუმპირებულობაში. უკრაინას და მოლდოვას ძალიან ჩამოვრჩებით ოპოზიციური, თავისუფალი მედიების არსებობით. რაც მთავარია, მათ ჩამოვრჩებით ლგბტ თავისუფლებით. საბედნიეროდ, ჩვენ იმ ტრიადის ერთგული ქვეყანა ვართ, რაც ილიამ გვიანდერძა — მამული, ენა, სარწმუნოება. დაე, მათ ამ სფეროშიც ჩამოვრჩებოდეთ. უკრაინაში, მოლდოვაში, მათ შორის, აქაც ჭყონიებმა, ხაზარაძეებმა, 15-მა გეიპარტიამ თავიანთ ბუნაგებში რაც უნდათ, ის აკეთონ, თუ სურთ კაცები ერთმანეთზე დაქორწინდნენ და ქალები ერთმანეთზე გათხოვდნენ, ოღონდ ჩვენ შვილებს თავი დაანებონ, თორემ ქართული მიწა ფეხქვეშ დაეწვებათ.

**— სტოკჰოლმში და მანამდე, კიშინიოვშიც ბორელმა მოლდოვას მხარდაჭერა აღუთქვა, ჩვენ კი რეფორმებისკენ მოგვიწოდა. ასოცირების ტრიოში აღარ მოვიაზრებით?**

— ბორელმა ისეთი სისულელე თქვა, რაც პოლიტიკოსს არ ეკადრება — ევროპა მთელ მსოფლიოში ბაღნარია, ხოლო დანარჩენი — ჯუნგლებიაო. ფაშისტების გარდა, ვინ საუბრობდა ასე? რეიგანს დავესესხები: ესენი ლიბერალ-ფაშისტები არიან, რომლებიც უკან არაფერზე დაიხევენ. მაკრონმა, რომელსაც თავის ქვეყანაში ვერ მოუგვარებია საქმე, გვითხრა: ევროპა ღირებულებების გარდა, გეოგრაფიაც არისო. ეს იცით, რას მაგონებს? — ყრუ და ბრმა კაცს ცოლი მოუკვდება და ბჭობენ: როგორ გავაგებინოთო. ერთმა ჭკვიანმა მოიფიქრა: ამაღამ ლოგინში რომ არ დაუწვება, ასე გაიგებსო. ჩვენც ანალოგიური გვჭირს. ვითარება, საითაც მივდივართ, ყველასთვის დამანგრეველი იქნება, უპირველესად კი იმ იმპერიებისთვის, რომლებიც ყოველდღე ჩვენ დამცირებას ცდილობენ. **ჩვენი ოპოზიცია მალე, ალბათ, ასე დაიწყებს ლოცვას: დედაო ვიოლა ფონ კრამონ, რომელი ხარ ევროპასა შინა, მოიღე მოწყალება... ეს მარაზმიც აღარ არის.** ამ ხალხმა ერთ-ერთ პუნქტად ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება რომ მოგვთხოვოს, მერე რას ვშვებით?! პოლიტიკა, რომელიც ავადსახსენებელი შევარდნაძიდან დაწყებული, საქართველოს მიმართ იწარმოება, დამღუპველია. ჩვენთვის ნატოს კარის გამღები არავინაა. რა განაცხადა ახლახან სტოლტენბერგმა? — თუ უკრაინა გაიმარჯვებს, ნატოში მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთო. ქვეყანა განადგურებული რომ არის, იმიტომ უნდა ნატოში გაწევრიანება, თორემ თუ რუსეთს მოუგო, ნატო რაში სჭირდება?! ჩვენთანაც ანალოგიური სიტუაციაა. ნატოს, ევროკავშირს ვეუბნებით: გვიჭირს, ირგვლივ მტრები გვყავს, ქვეყნის 20% ოკუპირებულია და ამ დროს პირობებს გვიდგენენ: ესა და ეს შეასრულეთო. იცით, მათ რას ვეტყვი: **ჩამოწერონ ეს პუნქტები, კიდევ სხვაც დაამატონ, მერე ერთ ადგილზე — გავაზე გაიკეთონ და იარონ მთელი ევროპის მასშტაბით ბორელიან-მიშელიან-კრამონიან-ლაიენიანად**. ყელში ამოვიდა მათი ქცევა. როგორც კი თავისუფლებისთვის ბრძოლა ვცადეთ, ისე გვექცევიან როგორც არქიფო სეთური მის მონადქცეულ „ჯოგს“ ეპყრობოდა საირმის ტყეში. როგორც კი სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, ეკონომიკურ წინსვლასა და დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისკენ ნაბიჯების გადადგმა დავიწყეთ, მაშინვე სპირიდონა სულანჯიას სინდრომი ამუშავდა. აი, ასე გვექცევიან. თუმცა, ჩვენ ღირსეული ერი ვართ და სპირიდონა სულანჯიებისავით ვერ დაგვიმონებენ.

**— სტოკჰოლმში ითქვა, რომ საქართველოს მთავრობა მოლოდინს ვერ ამართლებს, სამოქალაქო საზოგადოებას ცუდად ეპყრობაო...**

— კიდევ ერთ შედარებას მოვიყვან: ქორწილში მყოფი კაცი შარზეა, ჩხუბი უნდა და ვერავის ეჩხუბება. უცებ, დაინახავს მთვრალს, რომელიც „ჭრელო პეპელას“ მღერის. მივა მასთან და ეტყვის: პეპელა ცოდო არ არის, არც გაფრინდეს და არც მოფრინდესო და დაარტყამს. ანალოგიურად, ეს საბაბია, თითქოს, საქართველოს ხელისუფლება ამ ნაძირლებს სათანადოდ არ ეპყრობა. ვინც ასე ფიქრობს, რატომ იმაზე არ იღებს ხმას, 7-8 მარტს ქართველ პოლიციელებს ცოცხლად რომ წვავდნენ, ქაშვეთის ეკლესიის ეზოში შარდავდნენ და რუსთაველის თეატრს ფალოსს ახატავდნენ?! სად იყო მაშინ ევროპარლამენტარების პროტესტი?! ამ ყველაფერს ეს ახალგაზრდობა ხომ სწორედ ამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მათი მითითებით აკეთებდა?! დიახ, სამართალდამცველებს ცოცხლად წვავდნენ და ამ ევროპარლამენტარებს ხმა არ გაუღიათ!!! ესენი დაქირავებული ხალხია, რომელიც ქვეყანაში რევოლუციის მოსამზადებლად სჭირდებათ. ყველაფერი ღიად უნდა ითქვას, რადგან საქართველო მესამე გადატრიალებას ვეღარ გადაიტანს. ასე ჩვენი ქვეყანა დასრულდება და დიდი გალაკტიონის სიტყვები ასრულდება: სხვა ხალხის მესმის აქ ჟრიამულიო. წარმოიდგინეთ, რა დონის აგენტურა ჰყავს ქვეყანას შიგნით?! ეს 7-8 მარტის აქციებმაც დაადასტურა. ამიტომ, ხელისუფლებამ ყურები უნდა გამოიფხიკოს. საშინელ ძალასთან გვიწევს დაპირისპირება, მაგრამ ჩვენ უკან საქართველოა და მათი ასე გაპარპაშება არ შეიძლება. ნუ დაგვავიწყდება, რომ „ყვარყვარე თუთაბერი“ საქართველოში დაიწერა. ბოლო სამი პრემიერიდან ორი — კვირიკაშვილი და გახარია, მოღალატეები აღმოჩდნენ. გახარია ყურებით ჰყავთ დაჭერილი, მას ქვეყანა შეატორტმანებინეს. მათ ფული აქვთ, რაც კარგად მუშაობს. ამიტომ როგორც ზვიად გამსახურდია იტყოდა: მთავარია, მხილება, მხილება და კიდევ მხილება. დღეს რუბიკონი გადალახულია, წილი ნაყარია. ჩვენ წინ უსაშინლესი ძალაა ტროცკიზმის სახით, რომელსაც ადამიანების განადგურება სურს. ტროცკის ცნობილ სიტყვებს შეგახსენებთ: მე და ჩემს თანამოაზრეებს გვინდა, 15 წლის ზემოთ ასაკის ადამიანები დავხოცოთ, ხოლო 15 წელს ქვემოთ მყოფების აღზრდა დავიწყოთ კომუნისტური სულისკვეთებითო. გავიხსენოთ, რას ამბობდა საakაშვილი: ორმოც წელს ზემოთ ხეც არ მინდა საქართველოში რომ იდგესო. დააკვირდით, როგორ უტევენ დღეს უნივერსიტეტს. ანალოგიური ხდებოდა ასი წლის წინაც, როდესაც ფრიდონ ნაროუშვილები და მათი მსგავსნი უნივერსიტეტიდან ჯავახიშვილებს, კეკელიძეებს დევნიდნენ და იქ პროლეტკულტელები მოყჰავდათ. დიახ, ისეთივე პროლეტკულტელები, როგორებიც ის ახალგაზრდები არიან, რომლებმაც უნივერსიტეტში, ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო კონსტიტუციონალისტს, ირაკლი კობახიძეს თავზე რუბლები გადააყარეს და მისი წიგნი დახიეს. ეს ვანდალიზმია. თანაც, მათ რატომღაც აზრადაც არ მოსვლიათ, ეს რუბლები „რუბლიოვა“ ხოშტარიასთვის გადაეყარათ თავზე, რომელიც რუსეთიდან მილიონობით დაფინანსებას იღებს. ეს ხოშტარიას რუბლები იყო. ეს ახალგაზრდები ტროცკის ის შთამომავლები არიან, რომლებიც ამბობდნენ: მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას. ეს ხალხი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოკლე დროში თუ არ დავამარცხეთ, კაცობრიობა დაიღუპება.

**— როგორ ფიქრობთ, ცხელი შემოდგომა გველის?**

— მათ ისეთი რაღაცების კადრება შეუძლიათ, რასაც ჩემი სოფლის ღორებიც არ იკადრებენ. ჩემი ინფორმაციით, ამ ძალების დასახმარებლად „დასავლური დემოკრატიის მამებისგან“ 200-მილიონ დოლარზე მეტი შემოდის. ეს ტროცკისტები ყველაფერზე წავლენ, საკუთარ დედებსაც გაყიდიან, თუ მყიდველი გამოუჩნდათ. ისეთი ჯიშები ჰყავთ გამოყვანილი, საკუთარ ცოლ-შვილსაც დაწვავენ. ანალოგიური სიტუაცია იყო 30-იან წლებში, როდესაც პავლიკ მოროზოვმა საკუთარი მამა „ჩაუშვა“. დოკუმენტებში მაქვს წაკითხული: 30-იან წლებში ტროცკისტებმა სვირში უღარიბესი შვიდსულიანი გლეხის ოჯახი, რომელიც ხელისუფლებას მხარს უჭერდა, მთლიანად ამოწყვიტეს, ცოცხალი მხოლოდ ერთი ბავშვი გადარჩა. რით განსხვავდებიან ის ადამიანები ჩვენი პრეზიდენტისგან, რომელიც ამერიკაში „თავისუფლების ქანდაკების“ ქვეშ დადგა და იქიდან მოუწოდებდა ახალგაზრდებს: ცოცხლად დაწვით სამართალდამცავებიო! ეს ადამიანები ყველაფერზე წავლენ. ახლანდელ ვითარებას იმ პერიოდს შევადარებდი, როცა საქართველოში „დიდი თურქობა“ იყო და თურქ-სელჩუკები შემოგვესიენ. ისინი მომთაბარეები იყვნენ და საქართველოს გადაშენებით ემუქრებოდნენ. ზუსტად თურქ-სელჩუკების ანალოგები არიან ეს უსამშობლოებიც, რომელთაც სძულთ ყოველგვარი ქართული და უნდათ საქართველო ფულის სანაცვლოდ პირისაგან მიწისა აღგავონ. მოსახლეობას მივმართავ: საჭიროა სიფხიზლე, სიფხიზლე და კიდევ სიფხიზლე, თორემ საქართველო აღარ იარსებებს, რაც გარე და შიდა მტრის სურვილია.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# სტრასბურგმა მიშას უთხრა: კარგ ადგილას ხარო...



*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, „ემპათიის“, სახალხო დამცველთან არსებული კონსილიუმის და სხვა ღვაწლმოსილი ექიმების დასკვნების თანახმად, სააკაშვილს 36 მომაკვდინებელი დაავადება სჭირდა, რაც პატიმრობისთვის შეუთავსებელი იყო. ახლა აღმოჩნდა, რომ იგი თავს მშვენივრად გრძნობს, წონაშიც მოიმატა და პოლიტიკაშიც აპირებს დაბრუნებას...**

— მიმაჩნია, რომ ამ საკითხში ხელისუფლება უნდა ჩაერიოს, ასევე, ჯანდაცვის მინისტრიც და გაირკვეს, რასთან გვქონდა საქმე. ფაქტია, საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ ეს დიაგნოზები დაკვეთით დაიწერა. საქმე მხოლოდ ერთ ან ორ ექიმს ხომ არ ეხება, ეს მთელ სამედიცინო სისტემაზე დიდი დარტყმაა. ვიმეორებ, ამ საქმეში ხელისუფლების მაღალი ეშელონები უნდა ჩაერიონ და გაირკვეს, რა მოხდა რეალურად. ეს ექიმები უნდა მხილებულ იქნან იმაში, რომ სააკაშვილს ეს „დაავადებები“ დაკვეთით „დამართეს“ და საზოგადოებაში პანიკა დათესეს. კვალიფიკაციასთან ერთად, მათი კეთილსინდისიერებაც უნდა შეფასდეს. ეს სახუმარო თემა არ არის. რატომ ცრუობდნენ მაშინ, როცა მხოლოდ საქართველოში კი არა, არამედ დასავლეთიდანაც ამ საქმის მიმართ მაღალი ინტერესი იყო. ვის ატყუებდნენ და რატომ?! ჯანდაცვის სისტემასთან ერთად, ეს პირველ რიგში, ქვეყანას ურტყამს და მის ინტერესს აზიანებს. მათი დაწერილი დასკვნებით შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილი მძიმედ არის ავად და მას საქართველოში კი არ მკურნალობენ, წამლავენ და ნელი სიკვდილით კლავენ. როცა ექიმი, რომელსაც ჰიპოკრატეს ფიცი აქვს დადებული, სახელმწიფოს ასეთ დარტყმას აყენებს, მინიმუმ, უნდა აგვიხსნას, რა ინტერსი ამოძრავებდა — ფინანსური თუ კიდევ რამე სხვა.

**— სად არიან ახლა ეს ექიმები, ხმას რატომ არ იღებენ?**

— ეს ყველას გვაინტერესებს, ახლა რატომ აღარ ყვირიან: პატიმარი დროზე გაათავისუფლეთ, თორემ დღე-დღეზე კომაში ჩავარდებაო. ეს, სხვათა შორის, „ემპათიის“ ხელმძღვანელმა მარიამ ჯიშკარიანმა განაცხადა: მიშა დროზე გამოუშვით ციხიდან, თორემ ისეთი დაავადებები აქვს, შეიძლება ნებისმიერ დროს კომაში ჩავარდეს და მოკვდესო. საინტერესოა, რა პასუხს გასცემს ეს ქალბატონი საზოგადოებას, სად გაქრა ის 36 დაავადება — დემენცია, კახექსია და ა.შ.?! ვაჟა ექიმი ეკრანებიდან არ ჩამოდის, მაგრამ ამ საკითხზე სიტყვასაც არ ძრავს და მას პასუხსაც არავინ სთხოვს. მსოფლიო შეძრეს, პრეზიდენტს გვიკლავენო და რას ვხედავთ? — კაცი პოლიტიკაში მოსასვლელად ემზადება!!! გასაგებია, რომ სააკაშვილის მხრიდან ეს ცინიზმიც არის და თავხედობაც, მაგრამ ექიმების საქციელს რა ჰქვია?!

**— ამ ექიმების პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?**

— რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს და ჯერ სათანადო გამოძიება უნდა ჩატარდეს. გამოძიებამ უნდა დაადგინოს: რა ინტერესების საფუძველზე ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციებს, რაც ქართულ სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ ვნებს.



**— ამ სიცრუეს ადვოკატებიც ტირაჟირებდნენ. შალვა ხაჭაპურიძე აცხადებდა: მიშა უკვე ყარს, გვამის სუნი ასდისო. ახლა რისი სუნი ასდის ამ პროცესს?**

— ამ პროცესს ფულის სუნი ასდის. მიშას რეალურად რომ ჰქონოდა ექიმების მიერ დასახელებული ყველა დაავადება, წარმოგიდგენიათ, დღეს რა სურათი გვექნებოდა?! რომელი ადამიანი გაუძლებს 36 მომაკვდინებელ დაავადებას. ან რა ეპოლიტიკება კაცს, რომელიც მათი დასკვნებით დღე-დღეზე კვდება. სააკაშვილი ჯანმრთელია, მისი დაავადებები გამოგონილია, რათა საპატიმროსთვის, კანონიერი სასჯელისგან თავი დაეღწია. გარდა იმისა, საერთაშორისო ორგანიზაციებს, დასავლეთს დახმარებას სთხოვდნენ, რათა ეს „მომაკვდავი“ სასწრაფოდ საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაეყვანათ. ეს ორმაგი დანაშაულია, რაც ასევე გამოძიების საგანს წარმოადგენს. გასაგებია, უცხოელი ექიმები რატომაც ცრუობდნენ, მათთვის სააკაშვილის დედას — გიული ალასანიას მილიონები ჰქონდა გადახდილი. სხვათა შორის, სასამართლო პროცესები, სადაც უცხოელი ექსპერტები, ვითომ ნობელიანტები იკითხებოდნენ, კურიოზებით იყო სავსე. ერთ-ერთ ექსპერტს როცა ჰკითხეს: რის საფუძველზე დაასკვენით, რომ სააკაშვილს ესა და ეს დაავადება აქვსო, გახსოვთ, რაც უპასუხა: დედამისმა მითხრაო!!! ეს ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. გასაგებია, რომ ლობისტური ჯგუფები ამ ვერსიას ლობირებდნენ. ეს იმ ქვეყნების პრობლემაა, სადაც ასეთი „პროფესიონალი“ ექსპერტები ჰყავთ. ჩვენ ჩვენს თავს მივხედოთ და გავარკვიოთ: რის ფასად მოაწერეს ასეთ სიცრუეს ხელი ექიმებმა, რომელთაც ქართველი ხალხი ენდობოდა. რად ულირდათ ამ ნდობის დაკარგვა?!

**— ზემოთ სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ახსენეთ. თან მან მიზეზად რიჟვაძის განცხადება დაასახელა. ამაზე რას ფიქრობთ?**

— გავიხსენოთ, რა გააკეთა სააკაშვილმა ომის პერიოდში — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, გვერდით მდგომმა, რომელიც ჟურნალისტებს ინტერვიუს აძლევდა, უცებ შიშისგან ასფალტზე დაიწყო ფორთხვა. ეს ლაჩრობაზე მეტია, ამ საქციელის შეფასებაც კი მიჭირს. გარდა ამისა, სამ დღეში კაპიტულაციას მოაწერა ხელი. რაც შეეხება ქართულ პოლიტიკაში მის ჩართვას, ეს ვერ მოხდება, რადგან, ჯერ ერთი, საქართველოს მოქალაქე არ არის. მან თავად თქვა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე, როცა უკრაინის მოქალაქე გახდა. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. კერძოდ, გარდა იმისა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ქვეყნის შიგნით პოლიტიკაში ჩართვა ეკრძალება, კანონის დარღვევის შემთხვევაში, სანქციებიც უნდა დაეკისროს. სააკაშვილი საქართველოში არეულობის, დესტაბილიზაციის შექმნას ვერ შეძლებს.

**— გვარამიას მსგავსად, პრეზიდენტმა სააკაშვილიც რომ შეიწყალოს, მერე რა მოხდება?**

— ზურაბიშვილს მისი შეწყალება რომ შეეძლოს, ამას აქამდეც გააკეთებდა. საქმე ისაა, რომ სააკაშვილზე წარმოებაში უამრავი მიმდინარე საქმე არსებობს. ანუ, რას ნიშნავს ეს სამართლებრივად? — ამ საქმეებზე პროკურატურას წინასწარი პატიმრობა არ მოუთხოვია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სააკაშვილი ციხეში ისედაც იჯდა. ამიტომ არ იყო იმის საჭიროება, რომ იმ საქმეებზე, რაზეც გამოძიება მიმდინარეობს, პროკურატურას სასამართლოსგან სააკაშვილის დაპატიმრება მოეთხოვა. მაგრამ თუ ზურაბიშვილი გაბედავს და მიშას შეიწყალებს, პროკურატურა სასამართლოს ამ საქმეებს დაუყოვნებლივ გადაუგზავნის და მიღებული იქნება გადაწყვეტილება სააკაშვილის წინასწარი პატიმრობის შესახებ. შეწყალების შემთხვევაში, პროკურატურას აქვს მექანიზმი, სააკაშვილი ციხეში ჩატოვოს.

**— სააკაშვილი ქართველი ხალხისთვის „ფეისბუქზე“ წერს, რომ პოლიტიკაში ბრუნდება, „ტვიტერზე“ კი ევროკავშირის სპეციალური კომისიის ჩამოსვლას და საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანას ითხოვს.**

— თავისი ჭკუით, უცხოელების დასანახად ისევ კვდება! ვის ატყუებს, არ ვიცი. სტრასბურგის სასამართლომ სააკაშვილს ცალსახად უთხრა: ძალიან კარგ ადგილზე ხარ განთავსებული და არსად შენი გადაყვანის საჭიროება არ არსებობსო. სტრასბურგის გადაწყვეტილება გაცილებით უფრო ღირებული, სარწმუნოა ნებისმიერი უცხოელისთვის, ვისაც ობიექტურობის განცდა გააჩნია, ვიდრე მისი წერილები „ტვიტერზე“ თუ სხვაგან. სააკაშვილის რიტორიკაზე პასუხი სტრასბურგის განაჩენია.




**— წერილებზე გამახსენდა, სააკაშვილმა განაცხადა: მომწერეთ კითხვები და ყველას გიპასუხებთ, რაც გაინტერესებთ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გარდაო. თქვენ რა კითხვა გაქვთ?**

— არაფერი, რა უნდა ჰკითხო ცრუპენტელა ბარონ მიუნჰაუზენს?! პრეზიდენტყოფილი კაცი დგას და ყოველ ნაბიჯზე ორშაურად იტყუება. ვთქვათ, რომ ვკითხო: ქვეყნის წინაშე ჩადენილ დანაშაულებს თუ ნანობ-მეთქი, რას მიპასუხებს, კიო?! მასთან კითხვები ვერ ექნებათ იმ ადამიანებს, ვინც მისი ტყუილები კარგად იცის. კითხვას ისეთ ადამიანს უსვამ, ვისგანაც ობიექტურობას, სიმართლეს მოელი.

**— დასავლეთი გვაშანტაჟებს, ევროკავშირში ვერ მიგიღებთ, სანამ პოლიტპატიმარი სააკაშვილი ციხეში გყავთო...**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ ყბადაღებულ სტატუსს აუცილებლად მოგვცემენ არა იმიტომ, რომ გულზე ვეხატებით, არამედ მათ ინტერესშია, რუსეთს რომ არ გადაგვაბარონ და ეს უკანასკნელი ყურებით ჰყავდეთ დაჭერილი. ალბათ, იტყვიან: სტატუსს ხელისუფლებას კი არა, ქართველ ხალხს ვაძლევთო. ხელისუფლებას, ალბათ, კიდევ 92 პუნქტის შესრულებას მოსთხოვენ. მაგრამ ვიმეორებ, ეს არც ქართველი ხალხისთვის გაკეთდება და არც ხელისუფლებისთვის, არამედ დასავლეთის ინტერესშია.

ბოლოს ყურადღებას ევროკომისიის შუალედურ ანგარიშზე გავამახვილებ: ჩვენი რეკომენდატორების წინასწარი შეფასებით, საქართველომ თორმეტი რეკომენდაციიდან სამი სრულად შეასრულა, შვიდი — ნაწილობრივ, ერთზე — ლიმიტირებული პროგრესია, ხოლო ერთზე, საერთოდ, ძვრაც არ არის. უკრაინამ შვიდიდან ორი რეკომენდაცია შეასრულა, ხოლო მოლდოვამ — ცხრიდან სამი. აქ ლოგიკის მოძებნა, ძნელია. შეუსრულებლად ისეთი რეკომენდაცია მიიჩნიეს, რომლის გადამლაშებულად შესრულებაც ქართველი ხალხისთვის თვალნათლივ შესამჩნევია. კერძოდ, ევროკომისია გვეუბნება: საქართველოში არ არსებობს მედიის თავისუფლებაო. ის, რომ მედიის 80% არათუ ოპოზიციური ან ანტისახელმწიფოებრივი, არამედ უბრალოდ, უხამსი და უკიდეგანო ლანძღვა-გინების ასპარეზია, ეს თურმე მედიის თავისუფლების დასანახად საკმარისი არ არის. ალბათ, **მათი აზრით, ტელევიზიებიდან პირდაპირ მოლოტოვის კოქტეილების და ავტომატების სროლა უნდა იყოს ატეხილი, რომ ეს მედიის თავისუფლებად ჩაგვითვალონ**. აჩემებული აქვთ: ყველა ოპოზიციური არხის მფლობელის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობსო. სად იყო ჯერ კიდევ კეზერაშვილის, გვარამიას, ხაზარაძის თუ ჭუტას „მედიამაგნატობა“, როცა მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა იყო დაწყებული. ისინი სწორედ მას შემდეგ გახდნენ მედიამფლობელები, რაც საგამოძიებო ორგანოებმა მათი სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო და ეს სტატუსი არც მეტი არც ნაკლები, ბრალდებულებს ფარად დასჭირდათ!

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ქაოსი საქართველოში სატრანზიტო ნაკადების ჩაკეტვას გამოიწვევს



**გვესაუბრება ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე:**

**— ბატონო სოსო, მაშინ, როცა ბრიუსელში ჩვენი ევროკავშირში მიღება-არმიღების საკითხს წყვეტდნენ, სალომე ზურაბიშვილმა გვარამია შეიწყალა. რით ახსნით ამ გადაწყვეტილებას?**

— ბოლოდროინდელ მოქმედებებს თუ გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ მას უცნაური არაფერი გაუკეთებია. გავიხსენოთ 26 მაისს ზურაბიშვილის სრულიად უპრეცედენტო გამოსვლა. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, როცა მან საზეიმო ღონისძიება ბოღმის სანთხევად გამოიყენა. იგი ისეთი ნატურაა, ბუნებრივია, სახელმწიფოზე ნეგატიურ ეფექტს ახდენს. რაც შეეხება გვარამიას შეწყალებას, ეს გარკვეული გეგმის ნაწილია. ევროკავშირის 12-პუნქტიან დავალებაში, ერთ-ერთი დეპოლარიზაციაა. გვეუბნებიან: პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანების ციხიდან გათავისუფლება დეპოლარიზაციას ხელს შეუწყობსო. ჩემი აზრით, პირიქით, ეს ნაბიჯი პოლარიზაციას კიდევ უფრო გაამწვავებს. ზურაბიშვილმა დავალება შეასრულა. პრეზიდენტის მიმართ გვარამიას უხამსი გამონათქვამები არ დაგვიწყებია. ამიტომ ამ ნაბიჯით ზურაბიშვილმა დაადასტურა, რომ უთავმოყვარეოა. იგი სრულებით არ ფიქრობს, რა ზიანს მიაყენებს ქვეყნის სტაბილურობას. ამ ქალის პრეზიდენტად დაყენება ისევე, როგორც სოროსის ფავორიტი მარგველაშვილის „არჩევა“, უდიდესი შეცდომა იყო. ეს ქალბატონი კი საფრანგეთის მოქალაქეა და იმ ქვეყნის დიპლომატიურ უწყებაში მუშაობდა. შესაბამისად, საფრანგეთის ინტერესებს ახორციელებს, რაც, ცხადია, აშშ-ის ინტერესებთან არის ინტეგრირებული. გვარამიას გამოშვების უკან შემდეგი ამოცანა დგას: საქართველოს კანდიდატის სტატუსს არ მისცემენ, რაც ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის მიზეზი გახდება. ამ პროცესს მწვანე შუქს აუნთებენ აშშ და ევროკავშირი.

გვარამია, ამ შემთხვევაში, მოიაზრება, როგორც შესაძლო გადატრიალების, საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ლიდერი. აი, რას შეუწყო ხელი ზურაბიშვილმა, რომელიც დასავლეთის დაკვეთით მოქმედებს.

**— რამდენიმე დღის წინათ საზოგადოებამ პრეზიდენტის გადაწყვეტილება აქციით გააპროტესტა. იმპიჩმენტის მოთხოვნამაც კი გაიჟღერა...**

— სამწუხაროდ, პარლამენტი იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებაზე უარს ამბობს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა 26 მაისის შემდეგ განაცხადეს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს პატივს სცემენ და ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხს არ დააყენებენ. აქცია კი გაიმართა, მაგრამ პრეზიდენტი სინდისის ქენჯნას სულაც არ გრძნობს. საკმარისია, ვინმე რიგითმა ადამიანმა კანონი დაარღვიოს და მაისურაძესავით ციხეში აღმოჩნდება. კანონი მხოლოდ მათთვის არსებობს, ვინც ევროატლანტიკური სივრცის მფარველობის ქვეშ არ არის. საქართველოს რიგითი მოქალაქეების მიერ მცირედი გადაცდომაც დანაშაულია და მაქსიმალურად ისჯება, ხოლო გვარამიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ოპოზიციურ პარტიებს, მედიას უფლება აქვთ, ნებისმიერი რამ ჩაიდინონ. სხვა დანარჩენს ძალადობა ჰქვია, მათ ქმედებებს კი — დემოკრატია. პოლიციელებს წვავდნენ, პარლამენტზე შტურმი მიიტანეს და დაისაჯა ვინმე?! რამდენიმე კაცი დაიჭირეს და მათაც ბრალი ვერ დაუმტკიცეს. საქართველოში ძალიან დახვეწილი, „პროგრესული“, ნეოკოლონიალური მმართველობაა, რომელიც თავისი ცინიზმით ამაზრზენია. ყველას, ვინც დაიჭირეს, სააკაშვილიდან დაწყებული, გვარამიათი დამთავრებული, აბსურდული ბრალი წაუყენეს. თითქოს ასე სპეციალურად გაკეთდა, რათა მერე ევროჩინოვნიკებს მიზეზი ჰქონოდათ, ხელისფლება მათ პოლიტიკურ დევნაში დაედანაშაულებინათ. ასე გადააქციეს პოლიტიკურ პატიმრებად უგულავა, რურუა, ოქრუაშვილი, გვარამია, სააკაშვილი... ასე რომ, მისი **ამჟამინდელი გადაწყვეტილება არც ეთიკურია და არც დემოკრატიასთან აქვს რაიმე საერთო**. ეს დასავლეთის დაკვეთა იყო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ევროკავშირი ანგელოზების გაერთიანებაა და საკუთარი ინტერესები არ ამოძრავებთ, სჯობს, ასე მოაზროვნეებმა გონების გასაუმჯობესებელი პრეპარატები მიიღონ. სალომეს რომ შეეძლოს, სააკაშვილსაც შეიწყალებდა. ამას ვერ აკეთებს, რადგან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული.

**— თქვენ ახსენეთ, გვარამია პროტესტის მუხტის ასაწევად სჭირდებათო. მას ხაბეიშვილის შემცვლელადაც ხომ არ მოიაზრებენ?**

— გამორიცხული არაფერია. ხაბეიშვილი კომიკური ფიგურაა. მან, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობა“ ძალიან დააზიანა. გვარამია კი ოდიოზური ფიგურაა, თან ექსცენტრიკული და „გმირობებით“ აღსავსე. მან, შესაძლოა, ფანატიკურად განწყობილ ნაცელექტორატში გარკვეული მაკონსოლიდირებელი როლი შეასრულოს. ზოგადად, დასავლეთი არ ცდილობს, მმართველობა სხვა კონსტრუქციული ძალით შეცვალოს. ის ფსონს მარგინალებზე დებს, რომელთა ხელისუფლებაში მოსვლა აქ უდიდეს დაპირისპირებას გამოიწვევს. სამოქალაქო დაპირისპირების, ქაოსის შემთხვევაში საქართველო იმ პროექტებს ჩაკეტავს, როგორიცაა შუა კორიდორი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და პირიქით მიმავალი, ასევე, ჩაიკეტება ჩრდილოეთი და სამხრეთი კორიდორები, რაც სატრანზიტო ნაკადებთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში საქართველოს გამოიყენებენ, როგორც ჩამკეტს. ამოცანაც, ალბათ, ესაა. ამიტომ არ შეიძლება, რეალურად ფსონს სრულიად ანეკდოტურ ფიგურებზე დებდე.

როცა პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, გეოპოლიტიკური ამოცანა ის არის, რომ ზემოაღნიშნული კორიდორები არ გაიხსნას და რეგიონში ჩინეთი არ შემოვიდეს. სამხრეთი კავკასია უნდა ჩაიკეტოს. საქართველო უნდა გახდეს ლიდერი აზერბაიჯანის დესტაბილიზაციისთვისაც. ესეც უნდა გვესმოდეს. სახელმწიფოც და ხალხიც აქედან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს და კარგად გაიაზროს, სინამდვილეში რა ხდება. საქართველო ამ ყველაფერში ჯაჭვის ერთ-ერთი პატარა, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი რგოლია. დასავლეთი მაქსიმალურად ცდილობს, „დიდ ევრაზიაში“ ჩინეთის გავლენის ზრდას ხელი შეუშალოს. შესაბამისად, დესტაბილიზაციის გამოწვევა სამხრეთ კავკასიაში, გარკვეული გეოპოლიტიკური აქტორების ამოცანაა. სწორედ ამ ჭრილში შეიძლება განვიხილოთ ეს პროცესები და ზურაბიშვილის ქმედებაც, რომელსაც დასავლეთი ერთ-ერთ ჭანჭიკად იყენებს. მეეჭვება, ზურაბიშვილს გააზრებული ჰქონდეს, ან ესმოდეს ყველაფერი, რაზეც ახლა მე ვისაუბრე.

**— ზურაბიშვილის გადაწყვეტილებას დევნანიც მიესალმა...**

— ეს ვინმეს გაუკვირდა? შევხედოთ რა ხდება. აშშ-ის საელჩო ნებისმიერ დესტრუქციას მუდმივად მხარს უჭერს და მიესალმება, რაც შემთხვევით როდი ხდება. ისევე, როგორც მთელი ევროპარლამენტი დაირაზმა და გაიძახოდნენ: სააკაშვილი მოწამლულია, დემენცია სჭირს, ევროკავშირისკენ მიმავალი გზა სააკაშვილზე გადისო და ა.შ. სამარცხვინო რეზოლუციებიც გამოსცეს. ნურც ამ თორმეტ შეურაცხმყოფელ რეკომენდაციას დავივიწყებთ და ნურც იმას, როგორი ტონალობით გველაპარაკებიან: ასე და ასე თუ არ მოიქცევით, კანდიდატის სტატუსს არ მოგცემთო. იგულისხმება, რომ თუ არ დავემორჩილებით, მარტის აქციების ჩანაფიქრს ბოლომდე მიიყვანენ.

ასევე, ღიად უჭერენ მხარს თავიანთ აგენტურასაც. ახალგაზრდობას აკერმანის ტექნოლოგიებით წვრთნიან. განათლება ხომ საერთოდ მოსპეს. ამის დანახვა ასე ძნელია? ვინც ამ ყველაფრის წინააღმდეგ ილაშქრებს, თურმე, რუსეთუმეა. რატომ არის ეს რუსეთუმეობა და არა, ვთქვათ, თურქეთუმეობა, სადაც უმაღლესი თანამდებობის პირები იგივეს ამბობენ, რაზეც მე ვსაუბრობ, ოღონდ თურქეთის სინამდვილიდან გამომდინარე. ან რატომ არ ჰქვია ამ ყველაფერს ინდოეთუმეობა, ჩინეთუმეობა, პაკისტანთუმეობა, ისლამთუმეობა, უნგრეთუმეობა და ა.შ. ასეთი რთული კითხვები მათ მიერ სრულიად ზომბირებული ადამიანების ტვინებში ნაკლებად აღიძვრება. ეს მძიმე რეალობაა. მათ შეძლეს ის, რომ ჩვენი მოქალაქეების საკმაოდ მსუყე სეგმენტი საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ და ქაოსისთვის გააფთრებული იბრძვის. ვერ აცნობიერებენ, რომ ამ ქაოსში თვითონაც იგივე პრობლემები შეექმნებათ, რაც „რუსეთუმეებს“. ვერც იმას აცნობიერებენ, რომელ რეგიონში იმყოფებიან და რა საფრთხეები ემუქრებათ იმ შემთხვევაში, თუ რეგიონული ძალთა ბალანსის დრამატული ცვლა მოხდა. ზოგი ვის გულშემატკივრობს, ზოგი — ვის და ამ დროს საკუთარი ქვეყანა ავიწყდებათ. უკრაინის გამო ქართველები მზად არიან, ერთმანეთი დახოცონ. გეგონება, ესმოდეთ, იქ რა ხდება და რა ძალები ებრძვიან ერთმანეთს გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში. ჩვენი მენტალობის დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ სხვის ომებში მუდმივად დიდი ხალისით ვმონაწილეობდით და მსხვერპლიც დიდი გვქონდა. ახლაც იგივე გრძელდება.

**— წეღან ახსენეთ, ევროპარლამენტი სააკაშვილის მოწამვლის გამო თითს გვიქნევდაო. ვინ უნდა აგოს პასუხი ამ მცდარ დიაგნოზებზე?**

— ჩვენთან, საერთოდ, ვინმე რამეზე აგებს პასუხს?! ხომ გვახსოვს, ხაჭაპურიძე რომ ამტკიცებდა, დემენცია აქვსო, მიშა დემონსტრაციულად როგორ წაიქცეოდა-ხოლმე და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. თაღლითობის მწვერვალები დაიპყრეს. რა მიკვირს, იცი? ამ მომაკვდავმა ადამიანმა, თან დემენციით დაავადებულმა, კახექსიანმა ცარიელმა ძვალმა და ტყავმა ორი ბავშვი როგორ გააკეთა?! კომედიაა. მეორე მხრივ, ძალიან მძიმე სიტუაციაში ვართ, რადგან მან მრავალჯერადი კომიკური, ცინიკური ფორმებით ყველა ზნეობრივი ნორმის დევალვაცია მოახდინა. მას მაინც ბევრი ადამიანი უჭერს მხარს.

სერიოზული პრობლემის წინაშე ვართ — არსებობს ასიათასობით ადამიანი, რომელთაც ზნეობრივ ღირებულებებზე წარმოდგენა არ აქვთ. ამ ხალხს არ აქვს ჰომოსაპიენსის დამახასიათებელი თვისებები, უბრალოდ, ადამიანის ფორმები აქვთ. სააკაშვილში დავით აღმაშენებელს რომ ხედავ, ეს ნორმალურია?! დემოკრატიის პრობლემაც სწორედ ეს არის, რაზეც პლატონი საუბრობდა — ასეთ ადამიანებსაც ერთი ხმა აქვთ და ილიასაც. ამაშია საქმე. პრობლემა კიდევ იცი, რა არის? — ოცი წელი მიშაზე რომ ვლაპარაკობთ, ეს საშუალებას არ გვაძლევს, რეალურ პრობლემებზე ვიმსჯელოთ. არადა, პოლიტიკა რეალურ პრობლემებზე უნდა იყოს კონცენტრირებული და არა იმაზე, მიშამ ჭამა თუ — არა, მოინელა თუ — ვერა. ვიდრე ინგა გრიგოლიას, „მთავარისა“ და „ფორმულას“ გუნდები დღის წესრიგს ქმნან, საქართველოს მდგომარეობა ყოველთვის მძიმე იქნება.



**— ერთი პრობლემა გამოგრჩათ, რაზეც ვარჰეიმ მიგვითითა: მედიათავისუფლება და ის, რომ თქვენ მიერ ნახსენებ გრიგოლიას დაცვა სჭირდება...**

— ჟურნალისტები თურმე დასაცავი ყოფილან, ეს ხომ კომედიაა. „ფორმულა“, „ტვ-პირველი“, „მთავარი“ და ა.შ., გარკვეული პოლიტიკური ფულის გარეშე ვერც იარსებებდნენ. კომედია ისაა, რომ ყველამ ვნახეთ „ბი-ბი-სის“ ჟურნალისტურ გამოძიებაში, საიდანაც მოდის ეს პოლიტიკური ფული, კეზერაშვილის ფულს ვგულისხმობ. ეს ტელევიზიები დასავლეთის შეკვეთებს ასრულებენ. ჟურნალისტები ინფორმაციული ტერორის ინსტრუმენტები არიან. დასავლეთმა შეამჩნია, რომ ჟურნალისტური ტერორის წინააღმდეგ ქართველ საზოგადოებას პროტესტი გაუჩნდა, შესაბამისად, თავიანთ აგენტურას იცავენ. ასე უნდა გავიგოთ ამ ევროპარლამენტარების „გულისტკივილი“ ქართული მედიის თავისუფლების „შეზღუდვის“ გამო. ვინც ფიქრობს, რომ ვარჰეის თუ სხვებს მართლა აწუხებთ, რამდენად თავისუფალია თარგამაძე, გრიგოლია, სანაია და მისი ძმანი, სჯობს, მან იმკურნალოს, ვურჩევ, პირდაპირ ხონის საგიჟეთში დაწვეს. ვარჰეი ამბობს: ამ ტელევიზიებს არ შეეხოთ. მათ რაც უნდა გააკეთონ, ისინი ჩვენი ძაღლიშვილები არიან, შეეხებით და ცულს მოვიტანთ ცუნცულასაო.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ნიღბის ქვემოდან აშშ-ის განწყვეტილ-გაშავებული შუბლის ძარღვი გამოჩნდა...

„აშშ-ის საელჩო კიდევ ერთხელ გამოხატავს ღრმა შეშფოთებას ნიკა გვარამიას პატიმრობაში დატოვების გამო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიდანვე წამოჭრა კითხვები და გამოხატა შეშფოთება ამ საქმეზე, მათ შორის, დროსა და ბრალდების შინაარსთან დაკავშირებით. აგრეთვე, სასჯელის შესახებ. არაერთმა საერთაშორისო და ქართველმა უფლებადამცველმა გამოხატა ამგვარი შეშფოთება. ქმედითი დემოკრატია ეფუძნება მედიის თავისუფლების დაცვასა და პოლიტიკურად მოტივირებული სამართლებრივი დევნის აღკვეთას. მართლმსაჯულების შერჩევითად და პოლიტიზირებულად აღქმაც კი რისკის ქვეშ აყენებს საქართველოს ევროპულ მომავალს და ძირს უთხრის მართლმსაჯულების უზენაესობას, კონსტიტუციით დაცულ ადამიანის უფლებებსა და თავად დემოკრატიას.“

საელჩოს ამ განცხადებაზე ბოლო წერტილს მელანი არ ჰქონდა შეშრობილი, რომ ნიკა გვარამია „სვაბოდაზე“ გამოსტყორცნა კეკელკა რეზიდენტ-პრეზიდენტმა. მართალია, გვარამია უკეთესი და ზედმიწევნითი მეტსახელით მოიხსენიებდა მას, მაგრამ ჩვენ ასე ვუწოდოთ ამჯერად.

ასეთი ჭეშმარიტება ჯერ არ უღაღადია ამ ჭინკა დეგნანს მართლმსაჯულების შერჩევითობაზე, ოღონდ, ჩაჰყვირეთ ყურში ვინმემ, რომ უკუღმაა ეგ, უკუღმა!

დიახ, საქართველოში შერჩევითი სამართალია! თუ არსებული ხელისუფლების მომხრე ხარ, მოფარებულშიც რომ გადააწიტო — დასაჭერი ხარ, ხოლო თუ ოპოზიციონერი გქვია, ხელისუფლებასა და ხალხს ყველანაირად თავზე დაასაქმებ — გეპატიება!

ამგვარი უცნაური დემოკრატია გვაქვს, ქართველები ხომ ოდითგანვე გამომგონებლები ვიყავით და ქართულ დემოკრატიას ვიგონებთ ახლა!

მერე რა, რომ ღრმა იდიოტობაა „ახალი ქართული დემოკრატია“, და დახეთ, მაინც არ მოსწონთ „დემოკრატიის მამებს“ თურმე! ღიად ამბობენ: დემოკრატია ის არის, სასწრაფოდ უკან რომ დააბრუნოთ ფაშისტურ-დიქტატორული მმართველობა და „ძაღლიშვილი, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილი“ უცოდველ კრავად გამოაცხადოთ, ტახტზე დააბრძანოთ და ჭვინტზეც აკოცოთო; რა თქვენი „დემოკრატიის დედიკოს დედის ყელსაბამის“ საქმეა, ამ ჩვენი „დემოკრტიის შუქურას“ მმართველობის ხანაში რამდენი მოკლეს, დაჭრეს, აწამეს, გაძარცვეს, გააუბედურეს, ჩვენ გვენატრება მისი ყივანახველასებრი გაჭაჭვა, საამო ჭყლოპინი და ჩაკისკისებაო.

ამერიკის ელჩი ვინ არის, სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში რომ ერევა?

ინტერესი მკლავს: სანამ გვარამიას დააკავებდნენ, რა სახის თხუნელა უთხრიდა ძირს საქართველოს გაბრწყინებული ევროამერიკული მომავალის აწმყოდ ქცევას? ახლა რომ გვარამია უსამართლოდ გაათავისუფლა ცეტმა ქალმა, რომელი მხრიდან დაგვიბერა დემოკრატიის სიომ, იმ მხრიდან საბანს ამოვიკეცავთ, რადიკულიტი რომ არ დაგვემართოს.



კარგი, ბატონო, იფიქრეს, ჯერ ეს ხელისუფლება მოვაშთოთ და ყოლიფერი ხონჩაზე დადებული მოგერთმევათო, მაგრამ, ვეჟო, „ოცნებამდე“ ხომ ეს ვირის ტყუპწიხლნაკრავისშვილები იყვნენ და რატომ არ მოგვართვეს, რომ გვაზეპირებინეს ჯეიმს აპატურაებისა და მისი ბიძაშვილ-მამიდაშვილების გვარ-სახელები სენუფოს ტომიდან.

ისადა, აშშ-ში ჩასვრილი დემოკრატიის ჭეშმარიტ ღმერთზე რომ გვესაუბრონ „კარდაკარის“ პრინციპით, არ უნდათ?

დემოკრატიის სავანეში, აშშ-ში ტრამპზე რა ხდება-მეთქი, არ ვიკითხავ!

აბა, როგორ იყო ჟურნალისტ ტაკერ კარლსონის ამბავი და რატომ, ხომ ვერ მომითხრობდა აშშ საქართველოში მისი ჭინკა ელჩის პირით? რაო, სად ჩაუყვინთათ მედიის თავისუფლებამ?

ჟულიან ასანჟისა? ის მაინც ხომ არ არის მათი კამო-შუქურას მსგავსი სიმულანტი, ნამდვილად ავად არის...

სულ მაინტერესებს, რა სიყვარული და ტრფობა აქვს ატეხილი კოლექტიურ დასავლეთს ნაცსექტის მიმართ? ვინმეს მიმართ სიმპათია ხომ რაღაცამ უნდა გაგიჩინოს, რანაირად აქვთ კოლექტიური სიმპათია იმ ფაშისტური ნაცხროვის მიმართ, რომლებიც უსისხლო სადისტები იყვნენ და არიან? მატერიალური დაინტერესება აქვთ, სადისტური მოთხოვნილებების თანხვედრა, თუ ორივე ერთად? სხვაგვარად რითი შეიძლება ავხსნათ მათი ასეთი გაიდეალებური ბმა? თუ ევროპარლამენტარების კორუფციისადმი ლტოლვის ფაქტებს გადავხედავთ უახლოესი წარსულიდან, გონივრული ეჭვი თვითონ დაგიფრინდება ხელის გაწვდენაზე, მაგრამ ამერიკელებს რაღა დაემართათ?

რა ვიცი, ვიცი...

აშშ-ის ერთ-ერთი პოპულარული საიტის (**Reddit**) მომხმარებლებმა ჰილარი კლინტონს მეტსახელი „ქილერი“ შეარქვეს მას შემდეგ, რაც თვითმკვლელობების უცნაური კავშირი გამოიკვეთა — ერთმანეთის მიყოლებით, თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე **Wikileaks**-ში კლინტონის მიმოწერის (ლიბიის განადგურების რეალური მიზეზების შესახებ) გაჟონვასთან დაკავშირებულმა პირებმა: 2013 წელს თავი მოიკლა პროგრამისტმა აარონ შვარცმა;

2016 წლის ივლისში, ციხის საკანში თავი მოიკლა რუმინელმა ჰაკერმა ლაზარ მარცელ ლეხელმა, რომელმაც აღიარა, რომ ჰილარი კლინტონის ელექტრონულ ფოსტაში ჰაკერულად შეაღწია;

იმავე წლის აგვისტოში თავი მოიკლა ვიქტორ თორნმა, კლინტონების ოჯახის მაქინაციებზე დაწერილი ტრილოგიისა და „**The American Free Press**“-ის ავტორმა;

ამავდროულად, თავი მოიკლა შონ ლუკასმა, რომელმაც საჩივარი დაწერა ჰილარი კლინტონის დემოკრატიული პარტიის ნაციონალურ კომიტეტზე;

2017 წლის მაისში თავი მოიკლა პიტერ სმიტმა, რომელიც კლინტონის ელექტრონული ფოსტიდან გაუჩინარებული მიმოწერის საქმეზე კერძო გამოძიებას აწარმოებდა;

თავი მოიკლა პროგრამისტმა ჯეიმს დოლანმა, რომელმაც კლინტონის ფოსტა **Wikileaks**-ს გადასცა.

ახლახან, 2023 წლის 16 ივნისს გავიგეთ, რომ გადაცვლილი ნახეს ინფორმატორი, რომელმაც ბაიდენების ოჯახის მექრთამეობის სქემა გამოააშკარავა.

მალე მათ მექრთამე და გაუკუღმართებული სექსისმოყვარეთა მფარველი ღვთაებაც შეურთდება სულებთან კონტაქტორ კუანა ჯო ბაიდენის სახით.

ამერიკის კონტინენტზე პირველი მოკლული ინდიელიდან დაწყებული, იმდენი მკვლელობა აქვთ ჩადენილი უეროვნებო მსოფლიო კრიმინალთა ნაკრებსა და მათ შთამომავლებს, გაერთიანებული სახელით „ამერიკა და ამერიკელი“, ვინ მოთვლის.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების დაწყებისთანავე რომ დაიწყო აშშ-მ დაბომბვები, დაწყებული ჩინეთიდან, აღარ გაჩერებულა, ვამპირივით სისხლით იკვებება: ჩინეთი, კორეა, გვატემალა, ინდონეზია, კუბა, კონგო, პერუ, ლაოსი, ვიეტნამი, კამბოჯა, გრანადა, ლიბანი, ლიბია, სალვადორი, ნიკარაგუა, პანამა, ერაყი, სუდანი, ავღანეთი, იუგოსლავია და ა.შ. მაგრამ რატომღაც უკრაინა შეუყვარდა უცნაურად. ძალიან წუხს ის, აშშ უკრაინაში მიმდინარე ომის საშინელებაზე: სისხლისღვრაზე, დაღუპულ ადამიანებზე, განსაკუთრებით ბავშვებზე, რომელმაც 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოაგდო.

ეს ის ამერიკაა, დემოკრატიის სახელით კაცობრიობაზე მზრუნველის მანტიას რომ ირგებს, განსაკუთრებით ბავშვებზე მზრუნველისა და სადაც ფეხს შედგამს, სისხლი და ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი მოაქვს... აშშ-ს რა ენაღვლება, მისგან შორს, სადღაც თუ უბედურებას ატრიალებს... ბოლო საუკუნეში ათობით ომში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ საკუთარი ამერიკელები არ ანაღვლებს და სხვები რაში აინტერესებს?

სანამ ვინმე ამერიკელთაგანი ქართველებს მითითებებს მოგვცემს და ჭკუის დარიგებას დაგვიწყებს, ჯერ ხოშიმინში (საიგონი) ჩაფრინდნენ და „ვიეტნამის ომის მსხვერპლთა მუზეუმში“ მივიდნენ, თავიანთი ნამოქმედარი დაათვალიერონ, სადაც შემზარავი ექსპონატები და საზარელი ფოტომასალებია, რომელთა ნაწილი თვით ამერიკელების მიერ არის გადაღებული!

შემზარა ნანახმა!

ეს არის მუზეუმი, რომელიც იმ სახელმწიფოს რეალურ სახეს აჩვენებს, რომელიც დღეს დემოკრატიის სახელით იგივეს აგრძელებს, როგორც თვითონ იტყოდნენ, „ლაითად“ და ვითომ ადამიანის უფლებების დამცველად გვევლინება, რეალურად კი სადაც გაუვა, თავის სადამსჯელო რაზმებს აგზავნის.

ჰიროსიმასა და ნაგასაკიში თუ ატომური ბომბები გამოიყენეს, ვიეტნამში ქიმიური იარაღით „**Agent Orange**“ სინთეტიკურად დამზადებული დეფოლიანტებისა და ჰერბიციდების ნაზავით ამოწვეს იქაურობა. ტერიტორიას ვინ ჩივის, ამ იარაღს, დიოქსინის მაღალი კოეფიციენტის გამო, კიბოსა და გენეტიკური მუტაციის უნარი ჰქონდა, რის გამოც ადამიანები თუ დაწვას გადაურჩებოდნენ, მათი შთამომავლობა, აშშ-ის მიერ დაღდასმული დაიბადებოდა მაინც. შემზარავი ფოტოებია! მუზეუმში წარმოდგენილია ბავშვების ფოტოები, რომლებიც თუნდაც 2000-ან წლებში, ვიეტნამის ომიდან მრავალი წლის შემდეგ არის გადაღებული, მიუხედავად ამისა, მაინც ენით უთქმელი გრძნობა გაგიჩნდება!

ციხე, საწამებელი იარაღები, გილიოტინა და მოკვეთილი თავების ჩასაყრელი ყუთი და ეს იმ დროს ხდებოდა, როცა აქეთ, საბჭოთა კავშირში ამერიკაზე აბოდებდნენ!..

არაფერს ვამბობ ნემსების ბომბის შესახებ... აფეთქების შემდეგ პატარა ნემსები ყველა მიმართულებით იფანტებოდა და რენტგენზეც კი ცუდად ან სრულიად არ ჩანდა...

რვა წლის განმავლობაში ამერიკელებმა ვიეტნამში 17 მლნ ბომბი ჩამოაგდეს და 218 მლნ საარტილერიო ჭურვი ააფეთქეს!

მსოფლიოში ცნობილია 9 წლის პატარა გოგონას, კიმ ფუტის ფოტო, რომელმაც ნაპალმის დამწვრობები მიიღო. ამერიკელ პილოტს მშვიდობიანი მოქალაქეების ჯგუფი ჯარისკაცები ეგონა და ამიტომ ჩამოაგდო ნაპალმის ბომბებიო.

ეს ეგზოტიკური ჭინკა ელჩი დეგნანი იმიტომ ბედავს ამდენს. ის, რომ მისი უწყების ენა აშშ-ის განცხადებაა, გავიგეთ, მაგრამ მართლმსაჯულების პოლიტიზების უკვე მეორე მცდელობა (მოსამართლე ჩხიკვაძეზე იყო პირველი მცდელობა) რომ აქვს, ვისი ბრალია? რა თქმა უნდა, იმავე ქართული იდიოტური დემოკრატიის.

ნიკა გვარამია არ იყო, ამ გაქუცულ ჭინკას რომ დაუსისტიკინა: „მე არ მჯერა კელი დეგნანის ამერიკის! მეტიც, ეს არ არის ამერიკა!“ ანა დოლიძე არ იყო, კელი დეგნანს რომ ეცა საჯაროდ: „ამას ასდის კოლონიალიზმის სუნი! როცა ელჩები ამბობენ ისეთ რაღაცებს, რომელიც ამეტებს მათ უფლებამოსილებას, ფაქტობრივად, მიანიშნებს ჩვენს შიდა საქმეებში ჩარევას!“

სუნი ასდისო? 30 წელია, აშშ-ის კოლონიალიზმის ყროლის სუნსა და ქაქში ვისხედით და მაშინ ეცათ მყრალი სუნი და გაფუჭდა აშშ, როცა ადეკვატური დამოკიდებულებასავით გამოუვიდათ რაღაც?

ლამის არის ვიფიქრო, რომ კელი დეგნანი რუსეთის აგენტია. თან ისეთ მდარე გემოვნებისა და ხისტ რუს ოფიცერს ჰყავს გადაბირებული, რომ კისრისტეხით „გააშავა“ ჩვენთვის ასე ნანატრი ამერიკა — აშშ-ის სხვა ელჩები ასე ვირგლად არ იქცეოდნენ...

მოკლედ, ჭინკა კუდის ბოლოს ნერვიულად იქნევს უძვლო ენასთან ერთად...

ფაქტი ის არის, რომ აშშ-მ საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშეც ჩამოიხსნა სათნოებისა და დემოკრატობის ნიღაბი... და აშშ-ის ვასალმა ევროპის ნაწილმაც...

კრიმინალი, მეძავი, ავანტიურისტი წინაპრების შთამომავალი „დემოკრატიის შუქურები“ რომ ასე დამამცირებლად გვექცევიან მსოფლიო ცივილიზაციის შემქმნელ დიდებულ ერს, ჩვენ რატომღა ვებღაუჭებით მათ მიერ შექმნილ ბოროტების იმპერიას? აბა, უცხოტომელებს რას ვეკიდებით კალთაზე? რომელი სამი მუხლი შევასრულეთ ზედმიწევნით, რა შვიდს პლუს ხუთი და ცხრას მინუს ოცი, ვის იგდებენ მასხრად, რატომ ათრევინებთ საქართველოს?

უპირველესად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბოდიში მოგვიხადონ იმის გამო, რომ ყველანაირად ხელს უწყობდნენ მიხეილ სააკაშვილს აფერისტობაში, შემდეგ კი ბოდიშისმთქმელთა რიგში მისმა ვასალმა ევროპარლამენტარებმა გადმოინაცვლონ.

ამდენი ცრუ და ფლიდი რამ შეკრიბა ერთად-მეთქი, ვიკითხავდი, მაგრამ პასუხი ვიცი და რატომ ვიკითხო?

მსგავსი მსგავსს პოულობს და სიხარულით უახლოვდება!

**P.S. სალომე ზურაბიშვილმა რომ თავზე გადაგვიარა უცხო ქვეყნების ზეწოლითა თუ წნეხით, ეს კიდევ ერთი სირცხვილი.**

**სხვა სამშობლო არ მაქვს და სად წავიდე, მე თქვენი ოხერი დედა რომ ვატირე, ჰა?!**

**ზურა ოქრომჭედლი**



# ჩიტის მოტანილი ამბები

**წერილებს, რომლებიც სიცოცხლის რისკის ფასად იწერებოდა და ციხიდან პირადად ჩემთან მოსახვედრად გამოდიოდა, პირობითად „ჩიტის მოტანილი ამბები“ დავარქვი და წლების განმავლობაში ვინახავდი. ფოსტა ვრცელია, მხოლოდ ცალკეულ ამონარიდებს გთავაზობთ, რომელთაც ლიტერატურული ფორმა მივეცი. მხოლოდ სახელებია შეცვლილი, დანაშაული და სასჯელი კი – უცვლელი.**

შუქები უკვე ჩამქრალი იყო, კონტროლიორმა საკნის კარი რომ გააღო და რეჟიმის ოფიცერმა ახალი პატიმარი შემოიყვანა საკანში, გაზეპირებული მითითება — „გააცანით აქაური წესები და დაიცავით წესრიგი!“ მოგვცა და გავიდა. სინათლის ანთება არ შეიძლებოდა, მაგრამ გარე განათების შუქზე მაინც მეცნო.

— შენ, ოთარი არ ხარ? —ვკითხე ჩურჩულით.

— დიახ, ოთარი ვარ, — ჩურჩულითვე მიპასუხა და საკანში გამეფებული სიბნელის გამო თვითონაც დამაკვირდა.

Oოთარი სამშვიდობო ჯარების ასეულის სერჟანტი იყო და 2006 წლიდან ცხინვალში სამშვიდობო მისიას ასრულებდა. მისი ასეული წვერიახლოს მთაზე იყო განლაგებული, ხეობას აკონტროლებდა და 2008 წლის საბრძოლო მოქმედებებშიც მონაწილეობდა. ოთარი თავისი საქმის პროფესიონალი იყო, თავდაცვის აკადემია ჰქონდა დამთავრებული. გიჟი ეფრეიტორის, სააკაშვილის გადამკიდე, გასაკვირი არ იყო მისი აქ დანახვა, მაგრამ ჩემთვის მაინც მოულოდნელი იყო.

— ბატონო გენერალო, თქვენ ხართ? — არანაკლებ გაოცდა ისიც და ერთმანეთს გადავეხვიეთ.

სიბნელე ხელს არ გვიშლიდა. საკანში ყველამ ვიცოდით, მოშიებული იქნებოდა და რაც გვქონდა შემთხვევით მორჩენილი, იმით გავუმასპინძლდით.

— რის გამო გაგიმეტეს შენისთანა ვაჟკაცი? — დაინტერესდა ზვიადი.

— ბევრი რამ ვნახე საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე და საბრძოლო მოქმედებების დროსაც, ეტყობა, სიმართლის დამალვა უნდათ და იმიტომ დამაპატიმრეს...

— ბიჭებო, ოთარი მართლა ძლიერი მებრძოლია, კარგად ვიცნობ, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი მისი ვაჟკაცობა, ასე რომ, ერთი წუთითაც არ შეიტანოთ ეჭვი მის კაცობაში, — მივმართე ბიჭებს.

ზურა და არჩილი „კოიკებიდან“ წამოდგნენ და ოთართან მივიდნენ, აქ ერთი ოჯახია და შენს მეგობრებად გვიგულეო. უკვე გვიანი იყო და დასაძინებლად მალევე დავწექით.

დილით კონტროლიორმა მოგვაკითხა, სასეირნოდ თუ წახვალთო და თანხმობა რომ მიიღო, გაბრაზებულმა მიირახუნა „კარმუშკა“, ჩვენ კი მომზადება დავიწყეთ. გასეირნებიდან მოსულებს ჩვენი „ძვირფასი ბალანდა“ წამოგვეწია და ყველანი მაგიდას მივუსხედით. ოთარი ბალანდის ენით აუწერელმა სუნმა, ცხადია, გააღიზიანა, მაგრამ რომ დაინახა, ყველანი გემრიელად მივირთმევდით, თვითონაც დაიწყო ჭამა. ორიოდე კოვზი არ ჰქონდა გადაყლაპული, რომ სახეზე საშინელი ფერი დაედო, წამოხტა და საპირფარეშოში შევარდა.

— რა მცენარე, ცხოველი და ქვეწარმავალი არ მიჭამია პოლიგონზე, მაგრამ ასეთი საზიზღრობა არაფერი მინახავს, რა სუნი და გემო აქვს, რა ჯანდაბაა? — გვკითხა უკან მობრუნებულმა და ფერდაკარგული ისევ დაჯდა.

— „კომბიჟირია“. პირველი თვე ასე ვიყავით ყველა, ორგანიზმი შეეჩვევა და ნამცეცს აღარ დატოვებ, — ღიმილით დავამშვიდეთ ოთარი.

— სამხედრო ვარ და უფლება არ მაქვს, არ შევეჩვიო, — გაიღიმა მანაც.

ბალანდას როგორც კი შემოიტანდნენ შენობაში, მთელ კორპუსში აუტანელი სუნი დგებოდა. ჭამით, კი ვჭამდით დამშეულები, მაგრამ ჭამის შემდეგ ორი საათი საკანს ვანიავებდით...

— ოთარ, ომის შემდეგ კვლავ გააგრძელე სამხედრო სამსახური? — დავინტერესდი მე.

— ვაზიანის ბაზაზე შეგვკრიბეს ცხინვალიდან გამოსული სამშვიდობო ძალების ქვედანაყოფები. ყველაფერი არეული იყო, არავინ იცოდა, რა მოხდა და რისთვის დავიწყეთ საბრძოლო მოქმედებები, ბევრმა უარი თქვა სამხედრო სამსახურზე, ძირითადად, ძველი კონტინგენტი დავრჩით. ვატყობდით, რომ დიდად არ სიამოვნებდათ ჩვენი დარჩენა და ნაირ-ნაირ ხაფანგებს გვიგებდნდნენ, მაგრამ არ მოვდიოდით. გაუგებარი წარმომავლობის ვიღაც ოფიცრები მოჰყავდათ, ისეთები, სამხედრო საქმეზე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ. იმდენიც იკადრეს, რომ მადლობები გამოუცხადეს და ორდენები ისეთ ადამიანებს ჩამოჰკიდეს, რომლებსაც არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ საომარ მოქმედებებში...

— დაგეწერა პატაკი და წამოსულიყავი, შენთვის ხომ იცოდი, რომ ისეთი და იმდენი რამ ნახე, რაც არ უნდა გენახა?

— ძალიანაც არ მინდოდა იმ ბინძური საქმიანობის მოწმე გავმხდარიყავი რაც ამათ ჩაიდინეს ომის დაწყებამდე, მაგრამ რა მექნა, ისეთ ადგილზე ვიყავი ჩემი ასეულით, რომ მინდოდა თუ არ მინდოდა, მაინც მიწევდა დანახვა და მოსმენა...

— მაგის მეტი რა ვიცი... რომელი ქართული ქვედანაყოფი ატარებდა დივერსიულ აქტებს 2008 წლის მაისში ოსურ სოფლებში, გეცოდინება...

— 2008 წლის მაისის შუა რიცხვები იქნებოდა, როდესაც წვერიახლოს მთაზე სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ათკაციანი ჯგუფი ამოვიდა და ჩვენი ხელმძღვანელი იკითხეს. შემდეგ ჩანთები გადმოიღეს, იქვე გამოიცვალეს, ძველი, სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაიცვეს, რუკა ამოიღეს და სიმაღლიდან ოსური სოფლების დათვალიერება დაიწყეს. შემდეგ ქართულ სოფლებს გადახედეს, მე მხოლოდ ქართული საგუშაგოების განლაგების მითითება მთხოვეს და დაღამებამდე არაფერი მოუმოქმედებიათ. კარგად რომ დაღამდა სპეციარაღებით აღიჭურვნენ, ნიღბები გაიკეთეს და ხეობის ქართული სოფლებისკენ წავიდნენ. ღამის სამი საათი იქნებოდა როდესაც ინტენსიური სროლების ხმა გაისმა ქართული სოფლებიდან. ასეული საბრძოლო მზადყოფნაში მოვიყვანე, სამშვიდობო ძალების შტაბს დავუკავშირდი, არსებული სიტუაცია მოვახსენე და ნებართვა ვითხოვე გადაადგილებისთვის ორი ქვეითი საბრძოლო მანქანისა და დესანტის გამოყენებაზე. შტაბიდან პასუხად უარი მივიღე, ნუ ჩაერევი, პოლიციის ქვედანაყოფები კრიმინალების წინააღმდეგ ოპერაციას ატარებენო. სამხედრო პირი ვარ და ცხადია, ეჭვი შემეპარა შტაბის პასუხში, რაც იქ ხდებოდა, კრიმინალების წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარებას არაფრით ჰგავდა ავტომატური ცეცხლასროლი იარაღიდან, ტყვიამფრქვევებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან ისროდნენ.

— გქონდათ თუ არა იმის უფლება, რომ ტერიტორიაზე, რომელსაც თქვენ აკონტროლებდით, უცხო ადამიანები შეგეშვათ და იმის უფლება მიგეცათ, რაც მათ მოიმოქმედეს — ტანსაცმლის გამოცვლა, იარაღების შეტანა-გამოყენება და ა.შ სხვა დროსაც მომხდარა მსგავსი რამ?

— ამ ჯგუფის შემოსვლის შესახებ შტაბიდან გადმოგვცეს და გაფრთხილებაც მოაყოლეს, არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიოთ მათ საქმიანობაში, ისინი მანდ კრიმინალების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებს გეგმავენ და ამ მიმართულებით ინტენსიურად იმუშავებენო.

— ეს ჯგუფი ხშირად მოქმედებდა ხეობის მიმართულებით?

— მაისი—ივლისის განმავლობაში არათუ მხოლოდ ხეობის მიმართულებით, ოსურ სოფლებშიც გადადიოდნენ და იქაც ისეთივე სროლების ხმა იყო. ხეობაში ბევრი ნაცნობი მყავდა და როცა მხვდებოდნენ, მსაყვედურობდნენ, წუხელ ოსურმა ბანდამ სოფელს შემოუტია, სახლები დაგვიცხრილეს. შუაღამისას მოგვეპარებიან და ცეცხლს გვიხსნიან ყველანაირი იარაღიდან, ჩვენ ჩვენი ძალებით ვერ გავუმკლავდებით და თქვენ რას აკეთებთ, მანდ რომ ხართ, რატომ არ გვეხმარებითო?

მე, რა თქმა უნდა, უკვე დადასტურებულად ვიცოდი, რომ ჩვენთან მოსული ჯგუფის „ოპერაციები კრიმინალების წინააღმდეგ“ სინამდვილეში ქართველი და ოსი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება იყო, მაგრამ რა პასუხი უნდა გამეცა მოსახლეობისთვის, ხან რას ვიგონებდი და ხან რას. დღითიდღე ისე ძაბავდნენ სიტუაციას, რომ მივხვდი, უკვე რაღაც დიდი პროვოკაცია მზადდებოდა. ერთხელ გოგავა და ყურაშვილიც ამოვიდნენ და ქალაქის მიმართულებით რაღაცას გეგმავდნენ, შემდეგ გოგავამ უთხრა ყურაშვილს, ესენი სხვა მიმართულებითაც დაიწყებენ მოქმედებას და შენები გააფრთხილე, რაც უნდა მოხდეს, ამ საქმეში არ ჩაერიონო. შემდგომი „საქმისთვის“ რამდენიმე მშვიდობიანი მოსახლის მსხვერპლი იყო საჭირო, — გვითხრა ოთარმა.

— ეს ჯგუფი, რომელიც ქართულ-ოსური სიტუაციის დაძაბვაზე მუშაობდა, ჩვენი სპეცრაზმის ჯგუფია. ამ ადამიანებს მხოლოდ ცხინვალის პროვოკაციაზე კი არ ამუშავებდნენ 2008 წელს, საქართველოს მასშტაბით აქვთ სიბინძურები და მკვლელობები ჩადენილი, — თქვა ზურამ.

— ოთარ, სად დაგაკავეს და რომელმა უწყებამ ჩაატარა შენი დაკავების ოპერაცია?

— შვებულებაში გამიშვეს, სოფელში ვიყავი ერთი-ორი კვირა და მერე თბილისში დავბრუნდი. ერთ დღეს, საცოლესთან ერთად ავტომანქანით ვმოძრაობდი ქალაქში და გამაჩერეს. ორი ავტომანქანით იყვნენ, ერთი წინ ჩამიდგა, მეორე — უკან, მანქანიდან სამოქალაქო სამოსში ჩაცმული ახალგაზრდა ბიჭები გადმოვიდნენ, შსს-ის კონტრდაზვერვის თანამშრომლებად წარმომიდგნენ და საბუთები მომთხოვეს. საბუთების დათვალიერების შემდეგ მოდულის შენობაში წამიყვანეს საცოლესთან ერთად და გაგვაცალკევეს. ოთახში რომ შემიყვანეს, იქაც ახალგაზრდა ბიჭი დამხვდა, ლევანი ერქვა. მან შეკითხვები დამისვა. მათ შორის, აინტერესებდა, რამდენი ხანი ვიყავი სამშვიდობო მისიაში და პასუხი რომ მოისმინა, აზრი გამოთქვა, რომელიც შეკითხვასაც მოიცავდა, შენ ბევრი რამ გეცოდინებაო. ვუპასუხე, რომ, რაც ჩემს დაქვემდებარებაში არსებულ ასეულს ეხებოდა, ყველაფერი ვიცოდი და პასუხისმგებელი ვიყავი, დანარჩენ საკითხებში, რომლებიც არ მეხებოდა, არ ვერეოდი. დამხვდურმა ვიღაცას გასძახა, გამომძიებელი შემოვიდეს, დასაკითხი პირი დაკავებულიაო. რატომ მაკავებთ, რა დავაშავე-მეთქი? გამომძიებელი შემოვა და აგიხსნისო. ჩემი საცოლე მოვიკითხე, რაზეც მიპასუხა, გვერდზე ოთახშია და შენზეა დამოკიდებული, გაუშვებენ თუ არაო. ამ დროს გამომძიებელიც შემოვიდა, დაკითხვის ოქმი ამოიღო და მკითხა, ამა და ამ დღეს სად იყავიო? მე ვუპასუხე, რომ სოფელში ვიყავი და ერთი კვირაა, რაც თბილისში ჩამოვედი. ცეცხლსასროლ იარაღზე მკითხა და ვუპასუხე, რომ პირადი იარაღი არ მაქვს, სამსახურებრივი იარაღი კი ჩაბარებულია. გამომძიებელმა „გამარკვია“, რომ თურმე ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით რომელიღაც ბენზინგასამართ სადგურთან თურქეთის ორი მოქალაქე დამიყაჩაღებია, რომელთაგან ერთმა წინააღმდეგობა გამიწია და ფეხში დავჭერი. უტყუარი ალიბი მაქვს, უამრავი მოწმეა, რომ აღნიშნულ დროს მე სოფელში ვიყავი და ამას როგორ ჩავიდენდი-მეთქი? ჩემი სახლის გასაჩხრეკად გააგზავნეს თანამშრომლები და დაახლოებით ორ საათში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი შემოიტანეს, რომელიც თითქოს ჩემს ავტოფარეხში იპოვეს. იმ ახალგაზრდა ბიჭმა, ლევანმა, ნიშნისმოგებით მითხრა, აკი ამბობდი, ცეცხლსასროლი იარაღი არ მაქვსო, სწორედ ამ იარაღით დააყაჩაღე თურქეთის მოქალაქეები და ერთი მათგანი დაჭერი კიდეცო.

რა თქმა უნდა, მათი ყველა ბრალდება უარვყავი, მაგრამ გამომძიებელმა გამომიცხადა, თუ არ აღიარებ, რომ ეს იარაღი შენია და შენ დააყაჩაღე თურქეთის მოქალაქეები, შენს საცოლეს გვერდზე მოგისვამთო. ერთ თვეში ხელი უნდა მოგვეწერა და დავქორწინებულიყავით, ესენი კი მეუბნებიან, ციხეში მოგიწევთ ხელის მოწერაო. მაინც, რას მერჩით-მეთქი? ბევრს ლაპარაკობ და დასვენება მოგიხდება, ცხინვალში ცოტა გადაიღალეო, — მიპასუხა ლევანმა. მე მივხვდი, რომ ჩემი იზოლირების ამბავი იმ ჯგუფების შემოსვლას უკავშირდებოდა და მათ საქმეებში ჩემი ზედმეტი ჩახედვით იყო გამოწვეული.

— მაინც გადარჩენილი ხარ...

— რაღა გადარჩენაა, ისეთი მძიმე მუხლები აქვს მიყენებული: ყაჩაღობა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მისი უკანონო შეძენა-შენახვა-გამოყენება და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება — შეკრებითობით ოცდაათ წლამდე გამოდის, — დაბეჯითებით თქვა ზურამ.

— მაშასადამე, რასაც მაბრალებენ, ამ ბრალდებებით გამასამართლებენ და მომისჯიან, მე კი სიმართლეს ვერ დავამტკიცებ? ამას ხომ სიკვდილი ჯობდა...

— არ მოგიწევს მაგდენი ხანი ჯდომა, სააკაშვილის დღეები დათვლილია...

— ღმერთმა გისმინოთ, გენერალო!.. ბიძაშვილი მყავს ადვოკატი...

— ჰოდა, საქმეს შეუდექით! გაშვებით არ გაგიშვებენ, მაგრამ სასჯელს შეგიმსუბუქებენ. ამათ ასე იციან, გამოძიება ჩიხში რომ ექცევა და გამოსავალს ვეღარ პოულობენ, პატარა სასჯელებს იძლევიან, მაგრამ პატარა სასჯელი ხუთი წლიდან იწყება, — დაარიგა ზვიადიმ.

შუქის ჩაქრობის დრო მოვიდა და ჩურჩულზე გადავედით. ციხის ეზოდან რეჟიმის ოფიცრის ღრიალი ამოდიოდა, უწმაწური სიტყვებით აგინებდა და ემუქრებოდა პატიმრებს. ოთარმა, უცბად ვერ აუღო ალღო სიტუაციას და დაინტერესდა, ვის აგინებს ასე საშინლადო.

— ესენი ყოველღამე ასე ყვირიან და იგინებიან, პატიმრების პრო-

ვოცირებას ახდენენ, უნდათ, რომ რომელიმე საკანმა პასუხი გასცეს და კარცერში გადაიყვანონ დასანგრევად, — ავუხსენით ოთარს და „კარმუშკაც“ გაიღო. ყველამ, წამიერად ერთი და იგივე გავიფიქრეთ: ალბათ, ჩვენი საუბარი გაიგეს და გადაგვივლიან ეხლაო, მაგრამ გადავრჩით, კონტროლიორმა ზურას შემოსძახა, დილას პროცესისთვის მოემზადეო.

— რაც შეეხება ჩემს საქმეს, გამომძიებელს უთქვამს, იარაღის ამოღების გარდა ჯერ არაფერი გვაქვს გაკეთებული, ის თურქები, რომლებიც ვითომ მე დავაყაჩაღე და დავჭერი, ადგილზე არ არიან, ამიტომ ჩვენება ვერ ჩამოვართვითო. ჩემი აზრით, სინამდვილეში, დაზარალებულები არ ჰყავთ და ფიქრობენ, ახლა რა ქნან.

— ნეტავ, ვის იპოვნიან და ვის დაგიპირისპირებენ? — ვიღაცის არაკაცობამ დააინტერესა ზვიადი.

— გამოძებნიან ვინმეს, საკუთარი მოწმეების მეტი რა ჰყავთ, უბრალოდ, „თურქებმა“ გაჭედეს, „დავერბოვკებული“ თურქები არიან მოსაძებნი...

— ჩემი საცოლისთვის უთქვამთ, ვითომ მე ნარკოტიკებს მოვიმხმარდი და მოსატანად მას ვაგზავნიდი. ამას თუ არ დაადასტურებ, შენც გვერდზე მიუჯდებიო. ის ისეთი გოგოა, ვერ შეაშინებდნენ — რაც გინდათ, ის მიქენით, ამისთანა ტყუილს მაინც არ დავწეროო. კიდევ რეები უთხრეს, არ ვიცი, მაგრამ გაუშვიათ. მამაჩემს საკუთარი თვალით დაუნახავს როგორ ამოიღო ერთ-ერთმა თანამშრომელმა საკუთარი ავტომანქანის საბარგულიდან ავტომატი და ჩემს ავტოფარეხში შეიტანა... რაში სჭირდებოდათ ამ უბედურების დაწყება, ტყუილად ამდენი ხალხი დალუპეს... რა ომობანა აუტყდა ამ გიჟს, ყველაფერი ნორმალურად იყო, — დანანებით ჩაილაპარაკა ოთარმა.

— რა სიტუაცია იყო მანამდე, ოსებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— რას ჰქვია, როგორი ურთიერთობა გვქონდა! როცა გვინდოდა, ცხინვალშიც მივდიოდით, არანაირი პრობლემა არ იყო და არანაირი უარყოფითი დამოკიდებულება არ მიგრძვნია. რამდენჯერ მიქეიფია ოსურ სოფლებში, პირიქით, უხაროდათ შერიგების პროცესი რომ ძლიერდებოდა. უკვე ბევრი შერეული ქორწინებებიც იყო, ქართველები, როცა მოისურვებდნენ, მაშინ შედიოდნენ ცხინვალში და თავიანთი მიტოვებული სახლების რემონტიც წამოიწყეს. კოკოითი არანაირი პრობლემა აღარ იყო, ისე ჰქონდა უკვე საქმე წასული, თვითონ ოსები გააგდებდნენ ძალიან მალე. აგვისტოს ომამდე ისეთი მომჯდარი იყო ქართულ-ოსური ურთიერთობა, ოსური მხარე ყველანაირ მოლაპარაკებაზე მოდიოდა... სამაჩაბლოს ტერიტორიის კონტროლი პრობლემას აღარ წარმოადგენდა, ნებისმიერი მიმართულებით შეგვეძლო კონტროლი...

— რუსებს რა პოზიცია ეკავათ, როდესაც მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შედიოდით?

— არანაირი პრობლემა არ იყო არც მათთან, სადაც რუსები იდგნენ, საგუშაგოზე ორი ბოთლ ჭაჭას აჩუქებდი და თვითონ შემოგატარებდნენ მთელ ოსურ სოფლებს. ჩვენი დანახვა ყოველთვის უხაროდათ, იცოდნენ, ხელცარიელი არ მივიდოდით. ამათ რომ თავიანთი გიჟობები არ ჩაეტარებინათ, ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებინებდით ჩვენს სასარგებლოდ და აქამდეც არ მივიდოდით...

რეჟიმის ოფიცერმა შუქების ჩაქრობის ბრძანება გასცა და ჩვენც ჩავაქრეთ. დღეს ისეთი ცვლაა, ოდნავი გაფაჩუნება არ უნდა იყოს, თორემ პატარა მიზეზი მაინც თუ მივეცით, არ დაგვინდობს. გასუსულები ვიყავით და სიჩუმეში ვგრძნობდით, როგორ მოდიოდა საკნის კართან კონტროლიორი და ყოვნდებოდა კარზე ყურმოდებული, არ ეზარებოდა, გვისმენდა გაფაციცებული, ეგებ, ერთი გადალაპარაკება მაინც გაეგო. სხვადასხვა საკნებიდან დროდადრო საშინელი ღრიალის ხმები შემოვარდებოდა ხოლმე — ისეთი შეგრძნება გქონდა, თითქოს ადამიანების სასაკლაოზე იყავი მიყვანილი და ელოდებოდი, შენი რიგი როდის მოვიდოდა.

გლდანის მე-8 საპყრობილეს პატიმრები ცოდვიან ადგილს ვეძახით, რადგან, ციხედ გადაკეთებამდე აქ ფსიქიატრიული საავადმყოფო იყო და როდესაც ფსიქიკურად დაავადებული უპატრონო პაციენტი გარდაიცვლებოდა, საავადმყოფოს ეზოშივე მარხავდნენ. სულ ცოტა დრო გავიდა და მათ საფლავებზე ეს ციხის კორპუსები ააშენეს. ციხეში გადმოცემითაა გავრცელებული ამბავი, რომ ფსიქიკურად დაავადებულ ქალს უმშობიარია, გოგონა შესძენია, მაგრამ მერე ორივე გარდაცვლილა და აქ დაუსაფლავებიათ. პირადად მე არ მინახავს, მაგრამ ამბობენ, რომ ზოგჯერ პატიმრები ხედავენ ქალის მოსიარულე აჩრდილს, რომელიც რაღაცას დაეძებს და ზოგჯერ მისი კვნესაც ესმით... ვინ უწყის,ეს ციხე როდემდე იქნება აქ, მაგრამ თუ ვინიცობაა, ოდესმე დაშალეს, ამ ტერიტორიას მავთულხლართები უნდა შემოავლონ, რომ აქ სულიერმა არაფერმა გაიაროს. ამ ციხის კედლებში იმდენი სისხლია დაღვრილი და იმდენი ადამიანს ამოხდა სული, ამ ადგილზე გავლილ ჯანმრთელ ადამიანსაც კი კარგი არაფერი დაემართება...

კონტროლიორმა ოთარს შემოსძახა, მოემზადე, გამომძიებელია მოსულიო. ოთარმა იცოდა, მაგრამ მაინც დავარიგეთ, თუ ადვოკატთან ერთად არ იქნება, არანაირ საკითხზე არ დაელაპარაკოს. მის დაბრუნებამდე მსჯელობა დავიწყეთ, რატომ მოაკითხა ასე სწრაფად გამომძიებელმა, რადგან, როგორც წესი, თვეობით აღარ აკითხავენ ხოლმე პატიმრებს. შემდეგ იმის განხილვა დავიწყეთ, რატომ ჩაგვყარა სააკაშვილმა ციხეებში ყველა ის სამხედრო პირი, რომლებსაც რამენაირი შეხება მაინც ჰქონდა საომარ მოქმედებასთან და ბოლოს დავასკვენით, რომ თუ დროულად არ შეაჩერეს, ეს გიჟი ბოლოს მოუღებს მთელ საქართველოს, ტერიტორიას ნაწილ-ნაწილ გაყიდის და ხალხსაც სათითაოდ მიგვაყოლებს...

საკანში დაბრუნებული ოთარი მაგიდასთან დაჯდა, ჩაიცინა, თავი გადაიქნია და მოგვიყვა: გამომძიებელი შეუცვლიათ, მთლად პატარა ბიჭი იყო, დასაკითხად მოვედიო. მე ვუთხარი, არანაირ ჩვენებას არ მოგცემ და, საერთოდ, თავს დამნაშავედ არ ვცნობ, არც იარაღი იყო ჩემი, არც ყაჩაღობა ჩამიდენია-მეთქი. თუ არ გინდა, ნუ მიპასუხებ, ჩვენ ჩვენი მტკიცებულებები გვაქვს, იმით გაგასამართლებთ და დიდ სასჯელსაც მიიღებო. ადვოკატი სად არის-მეთქი და მისი მონაცემები არ მქონდა, ვერ დავუკავშირდიო. სხვათა შორის, მითხრა, თუ ვაღიარებდი, რასაც მაბრალებდნენ, უფასო საპროცესოს გამიფორმებდნენ და სასჯელს მინიმუმს მომცემდნენ, მინიმუმი ექვსი წელით განუსაზღვრიათ. ისე ამბობენ, ექვსი წელიო, თითქოს კურორტზე მიშვებენ ამ უდანაშაულო ადამიანს. დაზარალებულებთან დაპირისპირება მოვითხოვე და ვერ ვუკავშირდებით, თურქეთში არიან წასულები, ზუსტი მისამართები კი არ გვაქვსო. ვიღაც ხომ უნდა მომიყვანონ დაყაჩაღებული და დაჭრილი, დამაპირისპირონ და მერე დამდონ ბრალი...

— გამოძიება ვერც ერთ და ვერც მეორე თურქს ვერ მოძებნის იმისთვის, რომ შენს წინააღმდეგ ჩვენება მისცეს, მით უმეტეს, მარჯვენა ფეხში ავტომატით დაჭრილს. შენი საქმის გამოძიებას აუცილებლად სჭირდება ექსპერტის დასკვნა სხეულის დაზიანების სიმძიმის შესახებ და ამონაწერი იმ საავადმყოფოდან, რომელშიც დაზარალებული მიიყვანეს; შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრა და ა.შ მაგრამ მათ არც დაზარალებულები ჰყავთ, არც ნივთმტკიცებები აქვთ, ამიტომ ჩადეს საქმის გამაგრების მიზნით საქმეში შენს ავტოფარეხში „ნაპოვნი“ ავტომატი. დღეს არავინ გაგიშვებს აქედან, მაგრამ ახლა შენ გონება უნდა დაძაბო და დანაშაულის ჩადენის თარიღად რომელ დღესაც გისახელებენ, დაწვრილებით უნდა გაიხსენო, სად იყავი, ვის შეხვდი — უტყუარი ალიბი უნდა დაუდო, — დავარიგე ჩემი მხრიდან.

— იმ დღეს სოფელში ვიყავი, უამრავი მოწმეები მყავს... პატრულმაც გამაჩერა რაიონში არასწორი გადასწრების გამო... ჯარიმა რომ გადავიხადე ბანკში, იმის ქვითარიც მქონდა, მაგრამ სად წავიღე, არ მახსოვს...

— ე, ბიჭო! სასწრაფოდ გააგებინე ადვოკატს, საპატრულო პოლიციიდან შენი დაჯარიმების ცნობა აიღოს და შენი მეზობლებიც დაიკითხონ. ქვითარი არაფერია, მივიდეს იმ ბანკში და ამონაწერს მისცემენ — მტკიცებულებები უამრავი გქონია.

ღამე არ დამეძინა, ფანჯარასთან მივედი, ეზოს გადავყურებდი. მკვდარ სიჩუმეში კარგად ისმოდა წინა კორპუსიდან ადამიანების მოგუდული კვნესის ხმა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სასაფლაოზე ვიყავი, ჯოჯოხეთის კარიბჭესთან. მარჯვნივ მორგს გავხედე და წითელი შუქი დავინახე, რაც იმას ნიშნავდა, რომ გარდაცვლილ პატიმარს ოჯახში გადასასვენებლად ამზადებდნენ, არადა, იქ უმეტესად წითელი შუქი ჩანს... აქ ადამიანები იშვიათად კვდებიან საკუთარი



სიკვდილით... აქ ადამიანებს კლავენ...

კონტროლიორმა „კარმუშკასთან“ მიმიხმო, კურიერია მოსული, ხელი მოუწერეო. კურიერმა უზენაესი სასამართლოდან პასუხი მომიტანა, თქვენი საჩივარი, რომელშიც მითითებულია საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მიერ უკანონოდ გამოტანილი განაჩენის გაუქმების მოთხოვნა და საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნება, უკანონოდ მიგვაჩნია, ასეთი რამ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში არ ყოფილა და საქმე განხილვას არ ექვემდებარებაო. რას ვიზამ, ყველა სასამართლო სააკაშვილს უდევს ჯიბეში. ვიცოდი, რომ ასეთ პასუხს მივიღებდი, მაგრამ ეს ეტაპი უნდა გავიარო ევროპის საერთაშორისო სასამართლოსკენ მიმავალ გზაზე. ცუდად დაწყებული დღე ცუდად დამთავრდა, ზურას — 20 წელი, მე — უარი...

დილას კონტროლიორის ყვირილმა დაგვაფეთიანა, ჩქარა აიღეთ პური, თორემ შემოვყრით საკანშიო და ოთარი სასწრაფოდ წამოხტა. ისეთი გამხმარი პური იყო, ძლივს გადავტეხე შუაზე. პურს ბალანდა მოჰყვა, მაგრამ ვერ გავიგეთ, რა ჩაგვისხეს ჯამებში, ბალანდაც აღარ იყო, წარმოუდგენელი სუნი და გემო ჰქონდა...

კონტროლიორმა ახლა ოთარს შემოსძახა, გაემზადე, ადვოკატია მოსულიო. ოთარი საკნის კართან დადგა მზადყოფნაში, უკან მობრუნებული მაგიდასთან დაჯდა და დაიწყო: გამომძიებელი იყო მოსული და ვითომ დაზარალებულები ჰყავდა მოყვანილი, ამოცნობაზე მოიყვანა, მე ვიყავი თუ არა დამყაჩაღებელი.

— მერე?

— რა მერე, დაყაჩაღებული თურქები ქართველებად არიან გადაქცეულები.

— რა იცი, რომ ქართველები არიან?

— ისეთი კარგი იმერულით ლაპარაკობს, დებილი უნდა იყო, რომ თურქია თუ ქართველი, ვერ გაარჩიო. ლაპარაკი რად მინდა, გარეგნობაზე არ ეტყობა? ადვოკატმა დააფიქსირა და ოქმი დაწერა.

— ფეხი? მარჯვენა ფეხში ავტომატის ტყვიით უნდა იყოს დაჭრილი...

— მათი წასვლის შემდეგ ადვოკატმა მითხრა, ამ შუამდგომლობას სასამართლო პროცესზე დავაყენებთ და გამოვიჭერთ ტყუილშიო.

ერთ ღამეს, ძალიან მალევე, გვიანი იყო, მაგრამ კონტროლიორმა ოთარი გააფრთხილა, დილის 7 საათზე მზად იყავი, სასამართლო გაქვსო. ოთარი საგონებელში ჩავარდა, ასე მოულოდნელად რატომ დანიშნეს სასამართლო, ან ადვოკატმა რატომ არ გამაფრთხილაო. დავამშვიდე, ეტყობა, დღეს საღამოს ჩანიშნეს და ადვოკატმა ვერ მოასწრო შენი გაფრთხილება-მეთქი. გათენებამდე კიდევ იყო დრო, დაძინებას ცდილობდა, მაგრამ ვერ იძინებდა.

მოსაღამოვდა. კონტროლიორმა ოთარი რომ შემოიყვანა, ფერი არ ედო სახეზე.

— რა გჭირს, ოთარ!

— რას ჰქვია რა მჭირს, მონა ზანგივით გამასამართლეს, მე ამათი დედა...

— როგორ, ყველაფერი მორჩა?

— მორჩა, ექვსი წელი მომისაჯეს.

— ხუმრობ? — არ დავიჯერე მე.

— რას ვხუმრობ, ორ საათში მოათავეს ყველაფერი...

— ორ საათში როგორ ჩაატიეს ყველაფერი, დაზარალებულებს დაკითხვა არ უნდოდა?

— საერთოდ არ მოუყვანიათ, თურქეთში არიან, ვერ შევძელით დაკავშირებაო და მოსამართლემაც არ ჩათვალა საჭიროდ მათი გამოცხადება სასამართლო პროცესზე, გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებს დაეყრდნო... პროკურორს უთქვამს ადვოკატისთვის, თუ ბევრს იყვირებთ და არ გაჩერდებით, სამი მუხლი აქვს, სამივე მუხლის მაქსიმუმს მოვითხოვთ და ოცდაათ წელზე ნაკლებს არ მიუსჯიანო. მამაჩემს უთქვამს, ხმას არ ამოვიღებთო — მამაჩემი ამათთან რას გახდება, ისიც არ მომისვან გვერდზე, ჩემი და და დედაც არ დამიღუპონ... ამათი დედები...

— აი, როგორ ხდება შეკვეთილი საქმეების ერთი ჩაქუჩის დარტყმით დამთავრება, — ირაკლის მიუბრუნდა ზვიადი.

— არ მოგიწევს ექვსი წელი ჯდომა, გული არ გაიტეხო, ამათ მალე მოეხაზებათ, ყველას ვერ დაიჭერენ... კარადაშია შენი საჭმელი, ჭამე...

**გაგრძელება იქნება**

# შეხვედრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში

**ბოლო წლებია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მის ყოვლადუწმინდესობა მსოფლიო პატრიარქს შორის მეგობრული და კეთილგანწყობილი ურთიერთობები ჩამოყალიბდა.**

**21 ივნისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი რექტორის მოწვევით საქართველოს სტუმრობდნენ მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენლები კუნსელ მიტროპოლიტ ილუმენ ილისელი და მსოფლიო საყდრის არქიმანდრიტი, ჩვენს თანამემამულე მამა ილია, რომელიც ამავდროულად არის სტამბოლის ქართული სამრევლოს წინამძღვარი.**

**თუ მოგიწევთ კონსტაანტინეპოლში ჩასვლა და ტაძრის ტერიტორიაზე შესვლა, თუ დაენახვეთ ყოვლადუწმინდესს, და მან თუ შეიტყო, რომ საქართველოდან ხართ, ქართველი ხართ და მითუმეტეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსტიტეტთან შეხება თუ გაქვთ, ნახავთ რამხელა ყურადრება და ზრუნვა იქნება ყოვლადუწმინდესობის მხრიდან, როგორც რიგითი ქართველისადმი. სრულიად ბუნებრივი იყო რექტორის ზურაბ ხონელიძის გადაწყვეტილება, რომ თარგმნილიყო ივანე ფრიდონისის არქიდიაკონის წიგნი ძალიან მაღალი დონის თეოლოგის ქალბატონ თამარ გოგუაძის მიერ. წიგნი გამოიცა ორიოდე კვირის წინ გამომცემლობა "ინტელექტის" მიერ.**

**სტუმრებმა დაათვალიერეს თვითნასწავლი მხატვარ მანონი მაქაცარიას მიერ თექაზე შექმნილი წმინდანები.**

**სტუმრებს მიესალმა სოხუმის სახელმწიფო უნივერსტიტეტის რექტორი ბატონი ზურაბ ხონელიძე.**



„უწმინდესი და უნეტარესი ბრძანებს: სამშობლო ჩვენი დიდი ნებით მისდამი გრძნობა ისეთი ამაღლებული და სათუთია როგორც სიყვარული ღვთისადმი. ამიტომაც ამბობენ ქართველები: როგორც უფალი სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მოგეხსენებათ წმინდა მამებს აქვთ ასეთი გამონათქვამი:- თუ შენს სხეულს სულს არ დაუბრუნებ მაშინ მოგიწევს შენი სული ეშმაკს დაუბრუნო. საუბედუროდ, ჩვენს სამშობლოს, ქართულ სახელმწიფოს აქვს ერთი მიმართულებითაც და მეორე მიმართულებით პრობლემა. სხეულის- ქვეყნის ერთიანობა. სულიერების ეკლესიის ერთიანობა.

ჩვენი ეკლესია იდგა გაყოფის და ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია იდგა საფრთხის წინაშე. ამას აკეთებდნენ ქართული სახელმწიფოს არამეგობრები და ქართული ეკლესიის არამეგობრული ძალები. და ეს არ იყო მოჩვენებითი საფრთხე. ამის შესახებ გვქონდა საუბრები როგორც უნივერსტიტეტის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ. თუ დაირღვევა ეკლესიის ერთიანობა და ავტოკეფალია, მერე ქვეყნის ერთიანობა ქიმერად გადაიქცევა. ერთადერთი პერსონა რომელსაც შეეძლო ამ პროცესის შეჩერება დედამიწაზე, ეს იყო მისი ყოვლად უწმინდესობა ბართლომეოსი. ჯანსაღი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ერის შვილებისა და მათი მეგობრების მეშვეობით დავამყარეთ ურთიერთობა რომელიც დროთა გამნავლობაში გადაიზარდა უფრო დიდ, მაღალ ხარისხში. ამან განაპირობა სურვილის გამჟღავნება, რომ მისი ყოვლად უწმინდესობა გახდეს სოხუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. ჩვენ მოვახდინეთ ამ ურთიერთობის ლეგიტიმაცია, რომელიც პროცესებს მართალია ვერ შეაჩერებდა, მაგრამ აუცილებელი იყო პროცესის შეუქცევადობის მიზნით ახალი ნაბიჯების გადადგმა. რაოდენ სასიხარულო იყო ჩვენთვის რომ ბართლომეოსმა მიიღო ჩვენი შეთავაზება და მიიღო ეს როგორც პატივი. იგი მსოფლიოს თითქმის ყველა უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია, მაგრამ მან განსაკუთრებით გამოარჩია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამ დამოკიდებულებას ჩვენ ვგრძნობთ მის გამონათვამებში, შეფასებებში, ნაბიჯებში. უნივერსიტეტის დელეგაცია სამჯერ ვიყავით მასთან შეხვედრაზე.

მსოფლიო პატრიარქი ბართოლემეოსმა ბრძანა: ერთი სახელმწიფო, ერთი ეკლესია, ერთი პატრიარქი. უფრო დიდი შეფასება არ არსებობს. ამაზე ზუსტი ფორმულა არ არსებობს ჩვენი შემდგომი ერთიანობის გზაზე. ეს რა კონტექსტში იყო ნათქვამი? ვინც ამ ფორმულის წინააღმდეგ გადადგამს ნაბიჯს, ის არ აღიქმება მხოლოდ საქართველოს და ქართული ავტოკეფალიის მტრად, ის იქნება მსოფლიო საპატრიარქოს და პირადად მსოფლიო პატრიარქის მტერი. თქვენ იცით როგორი დიდი გავლენა აქვს მსოფლიო პატრიარქს. რამდენადაც დიდია იგი იმდენად უშუალოა ურთიერთობებში.

გულწრფელად გეტყვით, რომ ჩვენი, სოხუმის უნივერსტიტეტის მისია განსხვავებული და განსაკუთრებული ტვირთი და პასუხისმგებლობაა საქართველოსა და ჩვენი ერთიანობის წინაშე, როგორც უნივერსტიტეტი თანაზიარი ქართული სახელმწიფოს ბედისა და ყველაზე ჯანსაღი მექანიზმი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ყველაზე ქართული რომელზედაც გადის საქართველოს გაერთიანების გზა. რომელიც იზიარებს ქართული სახელმწიფოს ბედს და ცდილობს შეასრულოს მასზე განგებით მონიჭებული ფუნქცია და მისია. ამ უნივერსტიტეტის არსებობა ბევრი რამითაა გამართლებული, მაგრამ თუნდაც ის, რაც გაკეთდა, ეს არც რექტორის საქმიანობის შედეგია, არც რომელიმე პერსონის, ეს არის სოხუმის სახელმწიფო უნივერტიტეტი, ამ სამი სიტყვის სწორად მიწოდების შედეგი.

ყველას სახელით, სრულიად საქართველოს ჯანსაღი მართლმადიდებელი ქრისტიანის, არა ქართველის, არა ქრისტიანის,ვისაც უყვარს ქართული სახელმწიფო და თვლის რომ ამ ქვეყნის შვილია, მინდა მადლობა ვუთხრა მსოფლიო პატრიარქს, მის ყოვლადუწმინდესობას, იმისთვის რაც მან გააკეთა საქართველოსთვის და რასაც გააკეთებს საქართველოსთვის. ღმერთით დღეს შეიძლება ითქვას რომ დაძლეულია ბევრი წინააღმდეგობა, განსხვავებული აზრი. და თუ რაიმე არსებობს და დარჩა, ამ ერთობით ყველაფერი დაიძლევა. მადლობა თქვენ! თქვენი ჩამობრძანება ჩემი სურვილი იყო და ჩემი თხოვნა მსოფლიო პატრიარქისადმი, მაგრამ ჩემი თხოვნა რას ნიშნავს, ჩემი სურვილი რას ნიშნავს, თუ არა მისი თანხმობა და მისი კურთხევა. თქვენ მსოფლიო პატრიარქის კურთხევით ბრძანდებით თბილისში, თქვენ გრძნობთ და არ მალავთ გაკვირვებას კარგი გაგებით, როგორი სიყვარულით გღებულობენ თქვენ, ცოცხალი წმინდანის წარმოგზავნილებს ქართველი ხალხი."



ბოლო ექვსი წელია, თვითნასწავლი ხატმწერი მანონი მაქაცარია თექაზე მუშაობს. თავის დროზე თექის შემსწავლელთა ერთკვირიანი კურსები გაუვლია და სასერთიფიკატო ნამუშევრად ფიროსმანი აურჩევია.

მანონი, ცნობილი ზუგდიდელი ფოტოგრაფების, მაქაცარიების ერთ-ერთი ქალიშვილია. ხედვა გამორჩეული აქვს, ფოტოდან სახის გადატანისა და ნაკვთების რეტუშის ტექნოლოგიებს ჩინებულად ფლობს. „თავის დროზე მამაჩემმა, მოსკოვიდან ჩამოიყვანა რეტუშორი, რომელიც ფოტოდან გადიდებული სურათის შექმნას გვასწავლიდა. სწორედ ეს უნარ-ჩვევები გამომადგა, რომ ხატიდან თექაზე, შეუცდომლად, გადავიტანო დეტალები“, — გვეუბნება მანონი.

მისი ნამუშევრების პირველი შემფასებელი ბოდბის მონასტრის მონაზონი ანისიაა. მისი თანადგომითა და შეწევნით ჩააბრძანა და შესწირა მანონმა, წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა და შობის ხატები იტალიის ორ მართლმადიდებლურ ეკლესიას ბარსა და ნეაპოლში. ხატმწერის ნამუშევრები დაბრძანებულია მახათას მთაზე, სვეტიცხოველში, ჩხოროწყუში.

მანონი ამჟამად თბილისში ცხოვრობს, ღამის ცვლაში მუშაობს კონტროლიორად ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში ავტობუსის ერთ-ერთ მარშრუტზე. მის ბიოგრაფიაში ბევრზე ბევრი კაცისთვის შესაშური ფრაგმენტია: ეროვნული მოძრაობა, სამოქალაქო ომი... ძმების გვერდით იდგა აფხაზეთის ომის დროსაც.



# კირბებად ქცეული მსოფლიო წმინდანები თექაზე



— არასდროს დამავიწყდება კინდღი, აგუძერა, — მწარე სინანულით იხსენებს ბატალიონ „სენაკის“ რიგითი მანონი მაქაცარია. — იქ დამრჩა ეროვნული დროშა. კი მივტრიალდი მის წამოსაღებად, მაგრამ ბატალიონის მეთაურმა რეზო ასმავამ ცეცხლმოკიდებული ტყიდან გამომაბრუნა. დროშა დარჩა მოსაცდელ ყაზარმაში. ალყაში ვიყავით. აქ დაგვხვდებაო, მანუგეშებდნენ ერთიანად შეძრულს, თუმცა, საუბედუროდ, მესამე დღეს სოხუმი დაეცა და თითქოს ყველაფერი მორჩა, თითქოს, ვინაიდან დარჩა სამშობლოში დაბრუნების ურყევი რწმენა. დიახაც, ამ დროშაზე მაქვს დაწერილი ხატი, რომელიც საქართველის და მისი პირველი პრეზიდენტის განუყრელ ბედისწერას აერთიანებს. ეს ხატი უნდა დავაბრძანო ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში, როცა ამისი საშუალება მომეცემა. მე უნდა ამოვქსოვო ათასობით, ათიათასობით ჭრილობა გაღმა-გამოღმა აფხაზურ-ქართული სამომავლო მშვიდობიანი თანაცხოვრების საწინდრად.

მანონი მაქაცარიას შემოქმედება მოვლენაა სახვით ხელოვნებაში. მისთვის სარგებელი მეორეხარისხოვანია, რადგანაც სულმუდამ ცდილობს მაღალი ზებუნებრივი მადლით ცხებული ადამიანების, იგივე წმინდანების თექაზე გადატანას და ეკლესია-მონასტრებისთვის ამ ხატების შეწირვას.

— საქართველოს სხვადასხვა ტაძარს უკვე შევწირე თექაზე დაწერილი ათობით ხატი. გავიარე ოსკარის წითელ ხალიჩაზე დაჯილდოება. ინდო-ქართულ ფესტივალზე, რომელიც ინდოეთში ჩატარდა, სხვა მხატვრებთან ერთად ჩემი ექვსი ნამუშევარიც გაიგზავნა, აქედან ხუთი წმინდანის ხატი იყო და მეექვსე — საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას პორტრეტი, რომელიც შევიდა კატალოგში: „ბატონი ზვიადი, როგორც ერის სალოცავი ხატი“. პროექტის ხელმძღვანელს, ბატონ ვიკასს შევპირდი ინდოეთის ლიდერის, მაჰათმა განდის პორტრეტის თექაზე შესრულებას. აღთქმა პირნათლად შევასრულე და მანაც დიდი მოწიწებით წააბრძანა ინდოეთში, იქაურ მუზეუმში დასაბრძანებლად სრულიად საქართველოს სახელით; ჩვენ, საქართველოს მხატვრები დიპლომით დაგვაჯილდოვა, პირადად მე კი საუკეთესო ხატმწერის სერტიფიკატი გადმომცა.

თბილისის საპატიო მოქალაქის, გაზეთ „ვრასტანის“ რედაქტორის, ბატონ ვან ბაიბურთის რეკომენდაციით შევქმენი სომეხთა ღვიძლი შვილის, მათთვის უწინარესი პიროვნების, ნეტარი ოვანეს თუმანიანის ხატი.

ამჯერად წმიდა პროკოფი პალესტინელის ხატს მივაბრძანებ იერუსალიმში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ ზურაბ ხონელიძის ხელშეწყობითო, — ბრძანებს იგი, — ქსენია პეტერბურგელის ხატსაც მივაბრძანებ პეტერბურგის ტაძარში მისივე თანადგომით, იქ დავასვენებ სრულიად საქართველოს სახელით.

მანონი მაქაცარიას შემოქმედება დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება. მის ცხოვრებაში ერთ-ერთ წარმატებულ დღედ შეიძლება მივიჩნიოთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართო საზოგადოების წინაშე წარდგომა მიმდინარე წლის 21 ივნისს. მანონის ხატწერამ თექაზე ამიერიდან პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა, რადგან ერთხელ და სამუდამოდ გაირკვა კაცობრიული პრობლემებისადმი მისი დამოკიდებულება. აქ გამორიცხულია ალტერნატივა, არჩევანი. არსებობს ბოროტება, როგორც კაცობრიობის დაუძინებელი მტერი, რომელსაც მიზანი არ გააჩნია და თავისი ეგოისტური ზრახვებით მშვენიერებისკენ, ამაღლებულისკენ მსწრაფველ საზოგადოებას ათასნაირ პრობლემას უქმნის ლოკალური თუ მასშტაბური ომებით, ანტიხელოვნების აღვირახსნილი დემონსტრირებით.

მანონი მაქაცარიამ ამ მიწიერ უზნეობას მეხამრიდად დაუყენა წინ (მისთვისაც აუხსნელი შინაგანი კარნახით მომადლებული) მატყლის ძაფებით ამეტყველებული სახეები.

თექა თავისი ბუნებით განსაკუთრებული მეომრული თვისებითაა გამოირჩეული. მისი გაჭრა უჭირდა ხმალს, ტყვია რელსს ხვრეტს, მაგრამ თექაში გაღწევა აღარ ძალუძს. მანონის შემოქმედებაში თექამ განსაკუთრებული შინაარსი შეიძინა — კაცობრიული ფასეულობებისთვის თავდადება საყოველთაო ბედნიერებისთვის. აქ პირველ რიგში თავად უფალთუფალია ჩვენი, იესო ქრისტე, რომელმაც სიკვდილით თვისით გამოისყიდა დაბეჩავებული მსოფლიო სული და თვალშეუდგამ სიმაღლეებს აზიარა აწ და მარადის. ამ და საქართველოს ეკლესიის განუყოფლობაში ბართლომეოსის მიერ გაწეულ უმაგალითო როლზე შედგა საუბარი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მანონის თვითნაბადი შემოქმედება მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენლობას გააცნო მისმა რექტორმა, ბატონმა ზურაბ ხონელიძემ. გაჟღერდა საინტერესო ამბავიც, რომ მანონი რახანია ჩვეული მონდომებით შედგომია მსოფლიო პატრიარქის, ბართლომეოსის ხატის წერას თექაზე, რომელიც დიდად ერუდირებული პიროვნება გახლავთ, უამრავი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, მათ შორის, სოხუმის უნივერსიტეტისაც, შვიდ უცხო ენას ფლობს და ჩვენი პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის სულიერი მეგობარია.

ამის შესახებ დაწვრილებით გვაუწყა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბართლომეოსის წიგნის პრეზენტაციაზე ბურსის მიტროპოლიტმა ჯაკომომ. მანვე წარუშლელი წარწერა გაუკეთა დასახელებულ წიგნზე მანონი მაქაცარიას.

საპატიო სტუმრებთან სათანადო კონსულტაციების შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა მანონის დამოკიდებულება მსოფლიო პატრიარქის ხატწერისადმი: ქართველების დიდი მეოხის, ბართლომეოსის დაუნჯებული სახე აღიბეჭდება აია-სოფიას კედლის ფონზე, რითაც ცხადლივ მიემიშნება ამ საკათედრო ტაძარის მართლადიდებლური აღმსარებლობის ისტორიული პრეროგატივაც.

როგორც შეხვედრაზე მანონიმ ბრძანა, მას განზრახული აქვს ჩვენი ზეზეური წმიდანების: ილია მართლის, ეპისკოპოს ხელაიას, მერაბ კოსტავას, ჟიული შარტავას, გურამ გაბისკირიას სახეების გადატანა თექაზე; არის საუბრები ინგლისის დედოფლის, ელიზაბეთ მეორისა და ირლანდიის ეროვნული გმირის პარნალის ხატების შექმნაზეც.

დიდზე დიდია მანონის როლი კაცობრიობის ზნეობრივი სურათის დადგენის გზაზე.

**გური ოტობაია,**
მწერალი, ჟურნალ „კირბის“ რედაქტორი



# სირცხვილია ჩვენი შვილების მკვლელების და მათი დამქაშების გვერდით დგომა

რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პატიმარი ნიკა გვარამია შეიწყალა. როგორც გაირკვა, მისი გადაწყვეტილების შესახებ რადიკალებთან დაახლოებულმა ევროპარლამენტარებმა ჯერ კიდევ ორი კვირით ადრე იცოდნენ. ქართველი ხალხისთვის კი პრეზიდენტის გადაწყვეტილება „სიურპრიზი“ აღმოჩნდა. მეტიც, ზურაბიშვილმა აღნიშნული ფაქტის შესახებ, განმარტებაც არ ისურვა, რის გამოც საზოგადოების გულწრფელი პროტესტი გამოიწვია.

ზურაბიშვილის გადაწყვეტილება გააპროტესტა მოძრაობამ „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ და პრეზიდენტის სასახლის წინათ, სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის მოთხოვნით აქცია გამართა. მოძრაობის ხელმძღვანელმა ვატო შაქარიშვილმა თბილისსა და რეგიონებში პერმანენტული აქციები დააანონსა და განმარტა, რომ შეკრების ადგილს საზოგადოებას წინასწარ, პრესის საშუალებით აცნობებს, აქციები კი მანამ გაგრძელდება, ვიდრე სალომე ზურაბიშვილი თანამდებობას არ დატოვებს.

**ვატო შაქარიშვილი:** საქმე მარტივად არის. სალომე ზურაბიშვილი ქართველ ხალხს და სახელმწიფო ინტერესებს არ წარმოადგენს. ის ამ ქვეყანაში დესტრუქციული ძალების ინტერესებს ემსახურება. ჩვენ აქ მოვედით იმისთვის, რომ შევახსენოთ და კიდევ ერთხელ ვუთხრათ: ვინც ეს ლეგიტიმაცია მიანიჭა და ამ სასახლეში შეაბრძანა ქალბატონი სალომე, ის ხალხი ეუბნება,



რომ ის აღარ არის ლეგიტიმური პრეზიდენტი და ქართულ საზოგადოებას, ქართველ ხალხს არ წარმოადგენს. ჩვენ მოვუწოდებთ მას, დატოვოს პრეზიდენტის პოსტი და დესტრუქციულ ოპოზიციას შეუერთდეს, სადაც არის კიდეც მისი ადგილი.

გვარამიას შეწყალება იყო პროვოკაცია. სალომე ზურაბიშვილი წავიდა საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. თავმოყვარეობა რომ ჰქონდეს, საკუთარ თავს რომ სცემდეს პატივს, ცხადია, ის ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. მაგრამ სულ მცირე თავმოყვარეობა მაინც თუ შერჩენია, დღესვე უნდა დატოვოს თანამდებობა და ხაბეიშვილებს, წოთლიძეებს, კუპრავებს და იმ დესტრუქციულ ძალებს შეუერთდეს, სადაც მისი რეალური ადგილია.

მე, როგორც ერთმა მოქალაქემ, რომელიც აქტიურად ვიყავი ჩართული პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიაში, ბოდიში მინდა მოვუხადო ხალხს. ჩვენ და მეც იმედი გვქონდა, რომ ქართულ ინტერესებს მოემსახურებოდა და ქართველ ხალხთან იქნებოდა ანგარიშვალდებული და არა უცხო ქვეყნების, უცხო ქვეყნების გაერთიანებებებისა და ორგანიზაციების წინაშე. ის არა პრეზიდენტი, არამედ რეზიდენტია.

წინ რთული პროცესები გველის. პრეზიდენტის ინსტიტუტი ოკუპირებულია მოღალატის და აგენტის მიერ. ქვეყნის გარეთ დაწერილ სცენარებში პრეზიდენტი მოიაზრება, როგორც აღმსრულებელი, ერთ-ერთი ძირითადი ფიგურა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ საქმიანობაში. ჩვენ ამის საშუალებას არავის მივცემთ.

პრეზიდენტი ისე ნუ მოიქცევა, რომ ეს ჩვენი ღირსეული, მშვიდობიანი, ჯანმრთელი პროტესტი და გაბრაზება მიემართოს უშუალოდ მის წინააღმდეგ. მას გაუჭირდება ამ სასახლეში მობრძანება და მუშაობა. მისი ყოველი დღე არის ანტისახელმწიფოებრივი და მავნებლური საქმიანობა. უნდა იცოდეს ყველამ, ვინც მას ემსახურება, რომ ის ემსახურება აგენტს, მოღალატეს და არა საქართველოს პრეზიდენტს. თქვენთან ერთად მოვუწოდებ მათ, რომ შეწყვიტონ პრეზიდენტთან თანამშრომლობა, დატოვონ მარტო, რადგან მასთან თანამშრომლობა მოღალატეობრივი საქმიანობაა. ეს არ არის ჩემი სუბიექტური შეფასება, ეს არის ფაქტი. როცა სახელმწიფოს და ხალხს ყველაზე მეტად სჭირდებოდა პრეზიდენტის თანადგომა, სწორედ მაშინ, ყველაზე რთულ მომენტში გვიღალატა და გვიმუხლთა.

- პროტესტი იქნება მასშტაბური, გამოვაცხადებთ სამოქმედო გეგმას, ინფორმაციას მედიის საშუალებით მოგაწვდითდა თქვენთან ერთად ვიმსჯელებთ იმ ეფექტურ გზებზე, რომელთა საშუალებითაც, სალომე ზურაბიშვილი ვეღარ შეძლებს თავისი მავნებლური საქმიანობის გაგრძელებას. ყველაფერს ქართველ ხალხთან ერთად გადავწყვეტთ, იმ ადამიანებთან ერთად, ვინც პრეზიდენტს ლეგიტიმაცია მიანიჭა.

**ია მეტრეველი, სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედა:** როცა პრეზიდენტს ვირჩევდით, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ სალომე ზურაბიშვილი ასეთ ნაბიჯებს გადადგამდა. სამწუხაროა, რომ თავადაც დიდი წვლილი მიმიძღვის მის მოყვანაში. ბევრი შრომაც გავწიეთ იმისთვის, რომ ეს ქალი პრეზიდენტი გამხდარიყო, როგორ წარმოვიდგენდით, თუ ის პირდაპირ ქვეყნისა და სახელმწიფოს მტერი გახდებოდა... მთავრობის, ხალხის, ყველას წინააღმდეგ წავიდა, ახლა კი კრიმინალი შეიწყალა, - ბოროტების რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, რითაც ქართველ ხალხს უთხრა, რომ, რასაც უნდა, იმას გააკეთებს, თანაც ისე, რომ თავის საქციელს არც კი განმარტავს. ეს არის საზოგადოების აზრის სრული უგულებელყოფა, ეს არის პირდაპირი დირექტივა იმ ევროპარლამენტარების მხრიდან, რომლებიც ნაციონალებს მფარველობენ. სიმართლე გითხრათ, საერთოდ აღარ მაინტერესებს არც ევროკავშირი და არც ამერიკა, რადგან კარგად დავინახეთ, როგორი მეგობრებიც არიან ისინი. ამიტომ, ჩვენი ქვეყნისთვის როგორც უკეთესია, იმ გზით უნდა წავიდეთ, ეს არის მნიშვნელოვანი.

**ჯამბულ გამცემლიძე, სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა:** მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, ვინც წლების წინათ, როცა ურჩხულს ვებრძოდით, ჩემთან ერთად იდგა და ვინც ახლა შეურაცხყოფილი დგას პრეზიდენტის სასახლის წინ. ათასი რამე გამიგია. გამიგია, რომ ამერიკის პრეზიდენტები ინდაურს იწყალებენ, ამან კი ქათამი შეიწყალა! ეს არის სირცხვილი! და თუ ის სააკაშვილსაც შეიწყალებს, იმპიჩმენტს კი აღარ დავუჯერდებით, მე გაძლევთ პირობას, რომ მას ამ სასახლიდან გამოვათრევთ და მიიღებს იმას, რასაც ქართველი ხალხისგან იმსახურებს. ვისაც ჩვენი შვილების მკვლელები უყვარს, ჩვენთვის ისინი მიუღებლები არიან. წყეულიც იყოს ის, ვინც ჩვენი შვილების მკვლელებს და მის დამქაშებს გვერდით დაუდგება. მე ვარ გამწარებული მამა, რომელსაც ორი ღამეა, არ მძინია, რადგან ჩემი შვილის მრცხვენია, რომ ამ ქალის გვერდზე ვიდექი. არ მინდა, სირცხვილით ვიარო ამ ქვეყანაზე, მინდა, თავაწეულმა ვიარო, იმიტომ, რომ მაგარი ბიჭის მამა ვარ! მინდა, ვიცოცხლო და დავინახო, რომ საქართველოში ქართველებმა ასეთი შეცდომა აღარ გავიმეოროთ, არ დავუშვათ, რომ ვინმემ თავს ასეთი პრეზიდენტი მოგვახვიოს. ერთი რამ მინდა გითხრათ: სანამ ცოცხლები ვართ შვილმოკლული მშობლები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ეს ნაძირლები ქუჩაში ვერ დადიოდნენ.

**ნანა ქადაგიშვილი, მოქალაქე:** ვერ ვიტყვი, რომ არ ველოდი იმას, რაც ქალბატონმა სალომემ გააკეთა. სიტყვა „ქალბატონი“ ზედმეტია მისთვის, ის არის რეზიდენტი, აგენტი, მოღალატე... სწორედ ისეთია, როგორც ნიკა გვა-



რამიამ შეაფასა... 28 დეკემბერს, როცა ამ სასახლესთან მოვედით, „მოვარდნილი“ მიძახა შვილმკვდარ დედას და ლამის გონება დავკარგე, ძლივს გამოვედი ხალხის მასიდან. იმ დღეს ვთქვი, რომ არასოდეს ამ ქალს არაფერს დავუჯერებ და აღარც ვენდობი, რადგან ის ყველაფრის მკადრებელია. მან ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა 26 მაისს, როცა ქართველ ხალხს თავს ლაფი დაგვასხა, როცა უღირსად მოექცა ქართველ ჯარს, მთავრობას, საზოგადოებას და დღესასწაულიც არ გვაზეიმა. სალომე ზურაბიშვილი ისტორიაში შევა, როგორც ქვეყნის მოღალატე პრეზიდენტი.

ისეთი შეურაცხყოფილი და ღირსებააყრილი არასდროს ვყოფილვარ, როგორიც დღეს ვარ, მინდა, ხელისუფლებას მივმართო: გამოფხიზლდით, სანამ დროა, ვიდრე ლიბერალ ფაშისტებს თავზე არ დაუმხიათ ეს ქვეყანა! ნიკა გვარამიას კი რა დავალებას მისცემენ, ამას ცოტა ხანში დავინახავთ.

**თორნიკე მოლაშვილი, სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული სულხან მოლაშვილის ძმა:** როდესაც სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი გახდა, ნამდვილად ამართლებდა ხალხის იმედებს, მაგრამ ამან სულ რამდენიმე თვე გასტანა. შემდეგ, სამწუხაროდ, ქალბატონმა სალომემ იფიქრა, რომ მართლა პრეზიდენტი იყო. ბოლოს კი იმ ევროპარლამენტარებს შეუთანხმდა ზურაბიშვილი, ვისაც დღემდე სააკაშვილი ინახავს, ნიკა გვარამია გაათავისუფლა, საქართველოს მოსახლეობას კი „სიურპრიზი“ გაუკეთა, ისე, რომ გადაწყვეტილების შესახებ არც კი შეატყობინა. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჯერ კიდევ არ იცის ქალბატონმა სალომემ, სად არის, არ იცის, ვინ არის, რა ევალება თავად და რა ძალა გააჩნია ქართველ ხალხს! მას ნამდვილად პრეზიდენტი ჰგონია თავი და თუ ოდესმე მიშას გათავისუფლებასაც გადაწყვეტს, ამას სამოქალაქო ომი, სისხლისღვრა მოჰყვება.

**შაკო კუჭაშვილი, მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ ახალგაზრდა აქტივისტი:** როგორ ამბობდა თავიდან?! – „ძიალოგიიოო, წამოდიო, ძიალოგზეოო“.. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ მახსოვს. ახლა კი ვშიშობ, რომ ქართველ ხალხთან დიალოგი სანატრელი გაუხდება ამ ქალს. ჩვენ ის ხალხი ვართ, რომლებმაც ლეგიტიმაცია მივანიჭეთ სალომე ზურაბიშვილს, დღეს კი აქ ვდგავართ, მის წინააღმდეგ. ამიტომ გამოდის, რომ ზურაბიშვილი საქართველოს ლეგიტიმაციადაკარგული პრეზიდენტია, დღეს უკვე - რეზიდენტი.

ძალიან შემრცხვა, როცა ვინმე ევროპარლამენტარი კრამონი გამოვიდა საჯარო სივრცეში და გვითხრა, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ იცოდა. და მან იცოდა ჩვენი ქვეყნის შიდა საქმე ჩვენზე ადრე. ეს არის გამანადგურებელი ამბავი იმ ადამიანებისთვის, ვისაც ქვეყანა უყვარს, ეს არის ქვეყნის ღირსებაზე შეტევა, ჩვენ კი აუცილებლად დავიცავთ საკუთარ ღირსებას.

**ნინო ბაქრაძე, მოქალაქე:** არც კი მჯერა, რომ ეს ქალი იმ დიდი ქართველის შთამომავალია, რომლემაც იმის გულისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ვერ ათქმევინეს, საფრანგეთში, გადასახლებაში დაასრულა სიცოცხლე, რომელმაც თქვა, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს სამშობლოზე უარს ვერავინ მათქმევინებსო. ამან კი გაათავისუფლა ციხიდან ადამიანი, რომელიც ღია ეთერით გვემუქრებოდა, რომ აბსოლუტურად ყველა, თუკი ვინმეს გადაბრუნებული სიტყვა გვითქვამს ოდესმე „ნაციონალებზე“, აღრიცხვაზე ვართ აყვანილი“; რომ ისინი სულ მალე მობრუნდებიან და ჩვენს „დედებს მოიკითხავენ“! ღია ტექსტით, პირზე დუჟმომდგარი რომ გვემუქრებოდა, ის ადამიანი შეიწყალა, სხვებზე აღარ ვლაპარაკობ!

მიშა სააკაშვილისნაირ ნაძირლებს ექცევით ისე, როგორც ექცევით! მე რომ ვიყო პატიმრის დედა ან და, ბუნტს მოვაწყობდი და ყველას სავიყოლიებდი, მოვითხოვდი, რომ ისეთივე უფლებებით ესარგებლა ჩემს პატიმარს, როგორითაც მიშა სარგებლობს! თუ სამართალია, ყველამ ისე იცხოვროს ციხეში, როგორც მიშა ცხოვრობს! - ეს არ არის სამართალი!

**ნონა ქარქაშაძე**

# „ჭიათურმარგანეცი“ და „ახალგაზრდა რეფორმატორები“

ჭიათურა, მანგანუმი - ხელიდან ხელში გადასული სახელმწიფო ქონება, „მოქალაქეთა კავშირის“ ეგრეთ წოდებული ახალგაზრდული ფრთის ინტერესი, დაღუპული მაღაროელები და მუდმივი პროტესტი სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და ხელფასების მატების მოთხოვნით.

ჭიათურელი მამაკაცები, ფაქტობრივად, მიწისქვეშ ცხოვრობენ, იქ ატარებენ ახალგაზრდობას და მიწისქვეშიდან ამოსულნი, ჯანმრთელობა და ახალგაზრდობა წართმეულნი, მიზერული პენსიის იმედად რჩებიან - ეს საქართველოა! საქართველოს ფარგლებს გარეთ, რუსეთშიც კი, მაღაროელი ათჯერ მეტად დაფასებულია, ვიდრე სხვა პროფესიის წარმომადგენელი. მაღაროში მუშაობა მსოფლიომ დიდი ხნის წინათ აღიარა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ პროფესიად.

„ჭიათურმანგანუმი“ ის საწარმოა, რომელსაც, წესით, ჭიათურა უნდა აეყვავებინა. რაც უნდა ლანძღონ კომუნისტები, მათი „მეფობის“ ჟამს ჭიათურა აყვავებული, ჭიათურლები კი დაფასებულები იყვნენ.

ჭიათურის გასაჭირი არც „ველური კაპიტალიზმის“ საქართველოში „შემოჭრით“ დაწყებულა და არც საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე. ყველაფერი მოქკავშირის ეგრეთ წოდებული ახალგაზრდული ფრთის გაუმაძღარი მადით დაიწყო.

1999 წლამდე „ჭიათურმანგანუმის“ საწესდებო კაპიტალი 111 მილიონი დოლარი იყო და აქციათა 73%-ს სახელმწიფო ფლობდა. 1999 წლის დასაწყისში ამ აქტივების მქონე „ჭიათურმანგანუმში“ინვენსტორის სახით ჩეხური ფირმა „საგაპრინტი“ შევიდა, რომლის საწესდებო კაპიტალი სამი ათასი დოლარი გახლდათ.

საოცარია, რომ ამ ფირმას სამთო ბიზნესში არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა და მანამდე მისი საქმიანობა საკანცელარიო ნივთების ვაჭრობით შემოიფარგლებოდა. გარდა ამისა, „საგაპრინტი“თურქმენეთის ვალებზე მუშაობდა. ამ საქმეში დიდი გამოცდილება გააჩნდა ჟვანია-სააკაშვილის გუნდის „კასირად“მრავალჯერ დასახელებულ ბეჟუაშვილსაც.ეს ის ბეჟუაშვილია, რომელიც ამ კლანის მმართველობის დროს გაზის ბიზნესში „იტერასა“და „საქგაზს“ შორის შუალავლად ჩააკვეხეს და რუსეთიდან მოწოდებულ გაზს სამმაგ ფასში გვაძლევდა. ამით კლანმა სოლიდურად იხეირა. მართალია, ბეჟუაშვილი პროკურატურამ არაერთ მაქინაციაში ამხილა, მაგრამ პარლამენტმა იმუნიტეტი არ მოუხსნა და თავისი „მამების“დახმარებით, ციხის ნაცვლად პარლამენტში ლივლივებდა. „საგაპრინტის“შემოსვლას მთელი რიგი საკადრო ცვლილებები მოჰყვა. „ჭიათურმანგანუმის“გენერალური დირექტორის პოსტი ფორმალურად ჩეხური ფირმის ხელმძღვანელმა მიჰალ ჰალკომ დაიკავა. დანარჩენ ხელმძღვანელებად კი სააკაშვილის ფინანსური კლანის წევრები დაინიშნენ: მამუკა სულაძე, მალხაზ იესაშვილი, სვიმონ კენკებაშვილი, ირაკლი მგალობლიშვილი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ომარ კიკნაძე, ჯიბო ჭუმბურიძე, მევლუდ წიკლაური.

ახალმა ფინანსურმა ჯგუფმა პროდუქციის რეალიზაციისა და მარკენტინგული სამუშაოების ჩატარების მიზნით შექმნა შპს „ჭიათურმანგუნთრენინგი“, რომლის დირექტორად სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, ჯიბო ჭუმბურიძის ვაჟი დაინიშნა. რაღაც მაქინაციებით, ურთიერთშედარების აქტის შედეგად აღმოჩნდა, რომ „ჭიათურმანგუნთრენინგს“ „ჭიათურმანგანუმისგან“ 2 649 786 ლარი ეკუთვნოდა, მიზეზი კი პროდუქციისთვის წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ პროდუქციის არმიღება სახელდებოდა. ურთიერთშედარების აქტი შედგენილი იყო აპრილის ბოლოს,როდესაც გამოიკვეთა, რომ „საგაპრინტი“და მასთან მიტმასნილი „ფინანსური ’ჯგუფი ვერ ასრულებდნენ აღებულ ვალდებულებას და რეალურად დადგა საკითხი „ჭიათურმანგანუმიდან“ მათი გაძევების თაობაზე. ამიტომაც სასწრაფოდ შეადგინეს ურთიერთშედარების აქტი, რათა ოფიციალურად,დაეფიქსირებინათ, რომ „ჭიათურმანგანუმს“ „ჭიათურმანგუნთრენინგი“-ს ვალი აქვს. არადა, მოპოვებული მასალით გაირკვა, რომ ამ ჯგუფის მუშაობის პერიოდში საწარმომ 32700 ტონა პროდუქცია დაამზადა. მათი ბუღალტერიის თანახმად, ერთი ტონა პროდუქციის წარმოება 158 დოლარი ჯდებოდა, მაგრამ 55 დოლარად ყიდდნენ,ანუ ერთი ტონა მარგანეცის კონცენტრატის წარმოებაზე 100 დოლარს ზარალობდნენ, სინამდვილეში, ერთ ტონაზე მოგება ექვსი დოლარი იყო.

„ჭიათურმანგანუმს“ვალი კი არა 192200 დოლარი უნდა ჰქონოდა. ამას დამატებული, „საგაპრინტის“ მისვლამდე დამზადებული 4416 ტონა პროდუქცია, რომელიც 242880 დოლარად გაყიდეს, ასევე ამოღებული დებიტორული დავალიანება 111 571 ათასი დოლარის ოდენობით და 523 1639 დოლარი კრედიტორულ დავალიანებათა სხვაობა. ზემოთხსენებული სერიოზული თანხები, რომლებიც როგორც წარმოებას, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტს უნდა მიეღო, არსად ჩანდა და სერიოზული ეჭვის საფუძველს ქმნიდა, რომ ის სააკაშვილის კლანის ფინანსურ და პოლიტიკურ ინტერესებს მოხმარდა.

ამ ფაქტებიდან ჩანს, თუ როგორი მაქინაციებით ცდილობდნენ „ჭიათურმანგანუმის“ საკრედიტო დავალიანების გაზრდას, გაკოტრებას და შემდეგ მის ხელში ჩაგდებას. იმერეთის მაშინდელი გუბერნატორის მიერ ბეჟუაშვილის გვარის ხსენებას შესაშური ტელეოპერატიულობით პასუხობდა და აფთარივით იცავდა სააკაშვილი. უფრო მეტიც, ის სასტიკი წინააღმდეგი იყო და ვიზას არ აძლევდა „ჭიათურმანგანუმისა“და ფეროს გაერთიანების პროცესს, რადგანაც ამ შემთხვევაში მისი ჯგუფის მიერ ლობირებული „საგაპრინტი“იძულებული გახდებოდა, ჭიათურა დაეტოვებინა. პარალელურად, კონფრონტაციაში შედის თემურ შაშიაშვილთან, რომელიც თითქმის ყველა მთავრობის სხდომაზე „საგაპრინტის“ წინააღმდეგ გამოდიოდა და მის გაძევებას ითხოვდა. სამთო მექანიკის ინსტიტუტის დასკვნის მიხედვით, ამ ორი საწარმოს გაერთიანება მრეწველობის გადარჩენის ერთ-ერთი წინაპირობა იქნებოდა. ხელს შეუწყობდა გასაღების ბაზრის პრობლემის გადაჭრას, შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს ევროპის, ამერიკისა და იაპონიის მსხვილი კომპანიებიდან ინვენსტიციების მოსაზიდად. ამ პროცესის შეჩერებით სააკაშვილის ბანდამ შეძლო ის, რაც „საგაპრინტის“ შემოსვლამდე ჰქონდათ დაგეგმილი, მოითხოვეს გაკოტრების საქმის აღძვრა. მათ მიერ კონტროლირებულმა სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა და გაკოტრების საქმის მმართველად მათი ფინანსური კლანის წევრის, მგალობლიშვილის ცოლის ძმა, შარაშენიძე დაინიშნა. ქონების მართვის იმჟამინდელი მინისტრი, მიხეილ უკლება კომპანია „საგაპრინტს“იცავდა. ამას ადასტურებს მისი წერილები, რომლებიც მან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ლადო ჭანტურიას, იუსტიციის მინისტრს, ჯონი ხეცურიანს და იმერეთის რეგიონის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსს, ჭეიშვილს გაუგზავნა.

როგორც წერილებიდან ირკვევა, „საგაპრინტმა“ „ჭიათურმანგანუმში“ 1 461 000 ლარის სხვადასხვა სახის ინვენსტიცია განახორციელა. ასევე აღნიშნულია, რომ 1999 წლის ბოლოს ბიუჯეტის სასარგებლოდ გადარიცხა 150 000 ლარი. რაც შეეხება ბიუჯეტში გადარიცხულ 150 000 ლარს, ეს იმ 300 000-იხ ნაწილია, რომელიც სესხის სახით ბანკიდან გამოიტანეს და კრედიტულ დავალიანებად ეწვა საწარმოს. როგორც გაირკვა, აღნიშნული 1 461 000 ლარი, რომელიც ინვენსტიციის სახით შემოვიდა საწარმოში,“საგაპრინტის“ ანგარიშზე, „საქგაზიდან“გადაირიცხა. რომლის დირექტორიც დავით ბეჟუაშვილი გახლდათ. ესე იგი, რუსული ინვენსტიცია „იტერას“ მეშვეობით შედიოდა „საქგაზში“, საიდანაც „საგაპრინტში“ ირიცხება და ინვენსტიციის სახით „ჭიათურმანგანუმში“ მიედინება.

“ჭიათურმანგანუმს“ ხელოვნური გაკოტრების გზით ედება „ჭიათურმანგუნთრენინგის“ ვალი, სინამდვილეში, ეს უკანასკნელი მიზერულ თანხებად ხელში იგდებს მარგანეცის კონცენტრანტს და ყიდის. ამონაგები თანხები ირაკლი მგალობლიშვილის გავლით ხვდება დავით ბეჟუაშვილთან, რომელსაც სააკაშვილთან ნათელ-მირონობა აკავშირებს და ყველა მის საარჩევნო კამპანიას აფინანსებს. მოკლედ, თანხები, რომლებიც „საქგაზს“ “იტერადან“ აქვს მიღებული, მათ შორის ინვენსტიციად შემოსული ფულიც, მარტივი კომბინაციით ათმაგდებოდა და ისევ „საქგაზის“ დირექტორის გავლით სააკაშვილს ხმარდებოდა. სააკაშვილი ამ დროს საჯაროდ გამოდიოდა, საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრიდა და „ქვეყნის დამაქცევარ“ ოლიგარქებს უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდა და ერთდროულად ორ კურდღელს იჭერდა.

„ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრების მცდელობაში პრეზიდენტის სანათესაოს დადანაშაულებით, სერიოზულ დარტყმას აყენებდა შევარდნაძის ავტორიტეტს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, რაც, საბოლოოდ, მის მზარდ ავტორიტეტს განაპირობებდა, წარმატებით იყენებდა „გაღმით შეედავეს“ პრინციპს. მისივე სანათესაოს თუ ფინანსური კლანის ნამოქმედარის სხვაზე გადაბრალებით გარკვეულ ალიბს უქმნიდა მათ და ლობირებას უწევდა ქართული წარმოების ამ ფლაგმანის წინააღმდეგ განხორციელებულ ანგარებით შეთქმულებას.სააკაშვილი მწვავედ უპირისპირდებოდა იმერეთის გუბერნატორ თემურ შაშიაშვილს, რომელიც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სამართლიანად და კანონიერად, გამუდმებით ითხოვდა „საგაპრინტის“ ქვეყნიდან გაძევებას. ყველა ის პირი, რომელიც საწარმოს აკონტროლებდა და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა „ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრებაში, ნათესაურ ან პირდაპირ კავშირში იყო სააკაშვილის კლანთან...

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გუგლში წაშლილია ყველა ინფორმაცია, რაც მიშას და მისი „რაზმის“ მავნებლურ, ქვეყნისა და ხალხის დამაქცევარ პოლიტიკას ეხებოდა. „ჭიათურმანგანუმს“ 2011 წელს „ნაცმოძრაობის“ „ყულაბისთვის“ 100 000 ლარი შეუწირავს! რაც შეეხება „საგაპრინტის“ „მფლობელს“, მიჰალ ჰალკოს, რომელიც, როგორც ირკვევა, „ჭიათურმანგანუმის“ აქციების 75%-ს ფლობდა და 2000 წელს ზესტაფონის ფეროშიც „აპირებდა ინვენსტიციის “ჩადებას, 2003 წლიდან 2004 წლამდე ინტერპოლი ეძებდა და ხორვატიაში დააკავეს. როგორც იმდროინდელმა შს მინისტრმა გია ბარამიძემ განაცხადა, ის საბუთებს ამზადებდა ექსტრადაციისთვის, რადგან საქართველოშიც აღძრული იყო მის მიმართ სს საქმე და იძებნებოდა აქციონერების 700 ათასი ლარისა და სახელმწიფო ბიუჯეტის 115 ათასი ლარის მითვისებისთვის. რა ბედი ეწია ჰალკოს, ჩემთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ მისი მოძებნა და დაკავება „ნაცმოძრაობის“ ინტერესებში ნაკლებად იქნებოდა...


СВОБОДНАЯ Грузия
свободная грузия
12 февраля 2004 г. четверг № 21 (23017)
РУКОПОЖАТИЕ СОСТОЯЛОСЬ
носителей. Как вы знаете, в позапрошлом году у нас у самих довольно сложно было на юге с электроэнергией, но когда на ИнгуриГЭС случилась авария, мы ограничили подачу в свои регионы и увеличили в Грузию. Также оперативно отреагировали на аварию на газовом трубопроводе в прошлом году. Сделали все, что в наших силах, чтобы привести все в порядок.
Мы, уважаемый господин президент, обратили внимание на ваши заявления в Грузии и за границей, вчера на выступлении перед студентами. Это все очень позитивные сигналы, направленные на возрождение грузино-российских отношений.
Мы рады вас видеть и
живут в России, также очень благодарны за теплоту и гостеприимство, которые российский народ им оказывает». По его словам, настрой простых людей и к русскому народу, и лично к Владимиру Путину «очень, очень позитивен». «Хотелось бы, чтобы все трудности остались в прошлом», - подчеркнул Саакашвили.
Владимир Путин и Михаил Саакашвили рассмотрели перспективы торгово-экономических отношений, ситуацию с поставками грузинской стороне российских энергоносителей, а также вопросы реструктуризации задолженности Грузии перед Россией. Кроме того, лидеры двух стран подробно обсудили тему борьбы с терроризмом и положение

**Dec 23, 2011.**

**ООО «Чиатурманганум Джорджия» — пожертвовало «Национальному движению» 100 тыс. лари (100%-ной долей его уставного капитала владеет оффшорная ...**

**Разыскиваемый правоохранительными органами Грузии президент фирмы «Сага-принт», держатель 75 процентов акций АО «Чиатурмарганец» Михаил Халко задержан Интерполом в Хорватии, уже подготавливаются материалы для его экстрадиции. Как заявил на пресс-конференции министр внутренних дел Георгий Барамидзе,**

**против Халко возбуждено уголовное дело, поскольку он**

**нанес акционерному обществу ущерб на 700 тысяч лари,**

**а Государственному бюджету Грузии – на 115 тысяч лари.**



# რუსეთში სამხედრო აჯანყებამ კრახი განიცადა

პარასკევს საღამოს რუსეთიდან გავრცელებული ინფორმაცია, თავდაპირველად, საზოგადოების ნაწილმა ჭორად მიიჩნია — ქვეყანაში მიმდინარეობდა შეიარაღებული სამხედრო ამბოხი. თავდაპირველად, ცნობა სოციალური ქსელებით გავრცელდა, რადგან, საინფორმაციო გადაცემების ძირითადი ნაწილი უკვე დამთავრებული იყო.

რუსეთის ხელისუფლებამ ოდნავ მოგვიანებით ოფიციალურად დაადასტურა, რომ გასამხედროებული ფორმირება „ვაგნერის" მებრძოლებმა დატოვეს დისლოკაციის ადგილი და ალყაში მოაქციეს ქალაქ როსტოვში მდებარე სამხრეთ რუსეთის გენერალური შტაბი. მათი ნაწილი გაემართა მოსკოვისკენ მძიმე შეიარაღებით. გზა და გზა დაიკავეს ქალაქ ვორონეჟის მისამდგომები და სხვა სამხედრო ობიექტები. კოლონა მოსკოვიდან 200 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ოკასთან შეჩერდა.



რუსეთის უშიშროების ფედერალურმა ბიურომ აღძრა სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო გადატრიალებისა და ღალატის ბრალდებით; მოუწოდა „ვაგნერის" მებრძოლებს არ ემოქმედათ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის მოსკოვში, გამოცხადდა ანტიტერორისტული მდგომარეობა; გადაიდო საჯარო ღონისძიებები.

ამბოხების მიზეზი „ვაგნერის" მეთაურის, ევგენი პრიგოჟინის განცხადებით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჯარების მიერ მათ პოზიციებზე შეტევა გახდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა, მიმართა მოსახლეობას: „ამბოხის მცდელობა ქვეყნის ღალატია, ქვეყნისთვის ზურგში დარტყმაა; მსგავსი ფაქტი უკვე მოხდა 1917 წელს, რის შედეგადაც ძმა ძმას დაუპირისპირდა; დაიღუპა უმარავი ადამიანი — ამის გამეორებას ჩვენ არ დავუშვებთ. ვინც შეგნებულად გაილაშქრა, ქვეყნის, სახელმწიფოს წინააღმდეგ, სათანადოდ დაისჯება.... როგორც ქვეყნის პრეზიდენტი და რუსეთის რიგითი მოქალაქე გპირდებით, რომ დავიცავ ჩვენს ქვეყანას; არ დავუშვებ დანგრევასა და მის გაპარტახებას"... „ვაგნერის" მებრძოლებს კვლავ მოუწოდა დაბრუნებოდნენ დისლოკაცგიიის ადგილებს...

უცნაური ინფორმაცია გავრცელდა რუსულ პრესაში — „ვაგნერის" მებრძოლების ნაწილმა თურმე არ იცოდა რისთვის და სად მიჰყავდათ; მეთაურებმა მათ დაუმალეს დისლოკაციის ადგილის დატოვების ნამდვილი მიზეზი. მათ მხოლოდ პუტინის მიმართვის შემდეგ გაიგეს სიმართლე და უარი თქვეს ამბოხში მონაწილეობაზე.

საინტერესოა, რომ საერთოდ, ევგენი პრიგოჟინი პირველად არ უპირისპირდება ხელისუფლებას. უახლოეს წარსულში, სოციალური ქსელების მეშვეობით ღიად გამოხატავდა უკმაყოფილებას, შეიარაღებისა და მატერიალური უზრუნველყოფით არასათანადო მომარაგების გამო. მაშინ დაიმუქრა კიდეც, რომ მებრძოლებთან ერთად მიატოვებდა ბრძოლის ველს, თუმცა, მუქარა, — არ შეუსრულებია!

ამბოხის დაწყებისთანავე პუტინი ტელეფონით ესაუბრა თურქეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთისა და სომხეთის მმართველებს, რომლებსაც გააცნო ქვეყანაში არსებული ვითარება, — იუწყებოდა კრემლის პრესსამსახური.

გავრცელებული ინფორმაციით, ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ პუტინს შესთავაზა, რომ გამართავდა მოლაპარაკებას ამბოხებულებთან, რაზეც თანხმობა მიიღო. როგორც გაირკვა, ლუკაშენკო პრიგოჟინთან 20 წელზე მეტია ახლო ურთიერთობაშია. მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებამ ხანგრძლივი დრო მოიცვა. შეთანხმდნენ, რომ „ვაგნერის" მებრძოლები დაუბრუნდებოდნენ დისლოკაციის ადგილს. თავად პრიგოჟინი ბელორუსში წავიდოდა. (თუმცა, დღემდე უცნობია სად იმყოფება პრიგოჟინი, რადგან, პრესასთან ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია.)

რუსეთში ოცდაორსაათიანი შეიარაღებული ამბოხი მსხვერპლისა და სროლების გარეშე დასრულდა, მაგრამ უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა.

საკმაოდ თამამი განცხადება გააკეთა სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვუჩიჩმა, რომელმაც ამბოხის მოწყობაში დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურები დაადანაშაულა. გამოცემა „უოშინგტონ პოსტი" წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვამ ჯერ კიდევ თვის შუა რიცხვებში იცოდა, რომ რუსეთში შეიარაღებული ამბოხი იგეგმებოდა. ინფორმაცია მიაწოდეს ხელისუფლებას, თუმცა მათ რუსეთის მხარე არ გაუფრთხილებიათ. სტატის ავტორის შეფასებით, აშშ-ში იმედოვნებდნენ, რომ რუსეთში ხელისუფლების შეცვლა უკრაინას წაადგებოდა.

ამბოხის მიმდინარეობისას ცალკეული პოლიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლება დასუსტებულია. თუმცა პრიგოჟინმა 25000 მებრძოლით და მძიმე ტექნიკით შეიარაღებულმა ვერ (თუ არ) შეძლო ამბოხის სასურველი შედეგით დასრულება. რეგიონებში გამოცხადებული ანტიტერორისტული მდგომარეობა რუსეთის ხელისუფლებამ ორშაშაბათს გააუქმა.

## ჯო ბაიდენი თავისი შვილით ამაყობს

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ აშშ-ში ოფიციალური ვიზიტი განახორციელა ნარენდრო მოდიმ. საინტერესოა, რომ 2005 წელს,



სანქციების გამო, ნარენდრო არ შეუშვეს აშშ-ში, რის გამოც მაშინ ვერ მიიღო მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციიის შეკრებაში. მართალია, სანქციები მოგვიანებით მოუხსნეს, მაგრამ ცხრა წელი პრინციპულად არ ჩადიოდა აშშ-ში.

სამაგიეროდ, ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით ჩასულ ინდოეთის პრემიერს პომპეზური დახვედრა მოუწყვეს. აშშ-ის პრეზიდენტი, ჯო ბაიდენი, პატივისცემის ნიშნად, კარებშივე შეეგება სტუმარს და მის მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა. ჯო ბაიდენმა, სტუმრის საპატივცემულოდ ბანკეტიც გამართა. სტუმარს აჩუქა ანტიკვარული ფოტოაპარატი. საპასუხოდ, ნარენდრო მოდიმ მასპინძელს ხელოვნურად გამოყვანილი ბრილიანტი აჩუქა.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ნარენდრო მოდი ერთბაშად რამდენიმე პოლიტიკურ დაფაზე თამაშობს. იგი უკრაინა-რუსეთის ომის მოგვარების შესაძლებლობას მხოლოდ მოლაპარაკების სამშვიდობო დიალოგის გზით მიიჩნევს და არ ემხრობა საომარ რიტორიკას. „... ომის დრო არ არის, ახლა დიალოგის ეპოქა დადგა" - განაცხადა მოდიმ კონგრესში გამოსვლისას.

„...ჩინეთის აეროსტატი ჩვენ ტერიტორიაზე არ უნდა შემოფრენილიყო, მსგავსი ქმედებები დიქტატორ მმართველებს სჩვევიათ" — განაცხადა გასულ კვირას ჯო ბაიდენმა. ამ განცხადებამდე ჩინეთის მმართველმა სი ძინპინმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის ვიზიტი დადებითად შეაფასა, რადგან გაჩნდა დიალოგის გაგრძელების, ურთიერეთობის აღდგენის შესაძლებლობა, თუმცა ბაიდენის გამონათქვამმა კიდევ უფრო გაამწვავა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა, ფაქტობრივად, წყალს გაატანა ბლინკენის ჩინეთში ვიზიტის შედეგები. მით უფრო რომ ხაზგასმით და სიამაყით აღნიშნა ბაიდენმა, რომ აეროსტატი მისი პირადი ბრძანებით ჩამოაგდეს.

ჩინეთის ხელისუფლებამ ბაიდენის განცხადება აბსურდულად და უპასუხისმგებლოდ შეაფასა. ჯო ბაიდენი მიიჩნევს რომ მისი გამონათქვამები არ მოახდენს გავლენას სი ძინპინთან ურთიერთობაზე. მან იმედი გამოთქვა, რომ ჩინეთის მმართველს უახლოეს მომავალში პირადად შეხვდება და იქვე დაამატა, რომ მომავალშიც იტყვის იმას, რასაც საჭიროდ ჩათვლის.

თეთრი სახლის ადმინისტრაციაში შეეცადნენ ბაიდენი გაემართლებინათ. მისი სიტყვები ადგილობრივი ამომრჩევლისთვის იყო განკუთვნილიო, მაგრამ თავის მართლება ჩინეთის მხარისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. სამშობლოში დაბრუნებული ბლინკენი დაეთანხმა მისი უფროსის გამონათქვამს „წლებია პრეზიდენტთან ერთად ვმუშაობ, ამიტომ სრულიად ვიზიარებ მის მოსაზრებას"– უპასუხა ჟურნალისტებს ბლინკენმა.

რესპუბლიკელებმა კიდევ ერთი სენსაციური ჩანაწერი ამოუქექეს ბაიდენის შვილს. პირად მიმოწერაში იგი აშკარად ემუქრება ჩინელ პარტნიორს მამამისის გავლენით, ითხოვს გარკვეულ შეპირებულ თანხას... თუმცა ჰანტერმა უკვე დაიწყო გამოძიებასთან თანამშრომლობა, აღიარა გადასახადების დამალვა, რათა ხანგრძლივი პატიმრობის ნაცვლად პირობითი სასჯელი მიიღოს.

ჟურნალისტ ტაკერ კარლსონის განცხადებით „ჰანტერ ბაიდენი უცხო ქვეყნის გავლენის აგენტია, რომელიც მამამისის თანამდებობით ვაჭრობს სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, თუმცა ამაზე ბრალი არ წაყენებიათ და არც წაუყენებენ". ჯო ბაიდენმა აღნიშნულ თემაზე ჟურნალისტებს ტრადიციულად არ უპასუხა, მხოლოდ თქვა „ვამაყობ ჩემი შვილით".

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ომების ეკონომიკური მიზეზები



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სგ“ N21)

დღეს ბევრს საუბრობენ საერთაშორისო დონეზე დაგეგმვის შესახებ. თუმცა, პლანტატორებმა კაუჩუკი, ყავა და სხვა რომ მოიყვანონ, ამისთვის დაგეგმვა, არც ნაციონალური და არც საერთაშორისო მასშტაბებით საჭირო არ არის. ისინი აწარმოებენ ამ საქონელს, რადგან ეს მათთვის ფულის შოვნის საუკეთესო საშუალებაა. დაგეგმვა, ამ შემთხვევაში, უცილობლად ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან წარმოების შეზღუდვას და მონოპოლიური ფასების დაწესებას.

ამ პირობებში უკვე აღარ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ომში გამარჯვების შემთხვევაში ხალხი არავითარ კონკრეტულ სარგებელს არ იღებს. თუ ის სახელმწიფოები, რომლებიც კაუჩუკის, ყავის, კაკაოს და სხვა ნედლეულის იმპორტზე არიან დამოკიდებული, მწარმოებელი ქვეყნების მთავრობებს აიძულებენ, უარი თქვან მონოპოლისტურ პოლიტიკაზე, რითიც თავიანთი ქვეყნების მოქალაქეების მატერიალურ მდგომარეობას აუმჯობესებენ.



სიტუაციის ამგვარი შეფასება, რა თქმა უნდა, აგრესიასა და დამპყრობლობას ვერ ამართლებს. ის მხოლოდ იმის დემონსტრირებას ახდენს, რამდენად ცდებიან ისეთი პაციფისტები, როგორიც სერ ნორმან ენჯელია. იგი მშვიდობის სასარგებლოდ საკუთარი არგუმენტებიდან გამომდინარე, იმ დაშვებით ხელმძღვანელობს, თითქოს ყველა ქვეყანა ძველებურად ინარჩუნებს თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების მიმართ ერთგულებას.

სერ ნორმანი დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის წევრია. ეს პარტია ეკონომიკის პირდაპირი განზოგადების სასარგებლოდ გამოდის, თუმცა ლეიბორისტებს არ ჰყოფნით იმის გაწჭვრეტის უნარი, რომ მიხვდნენ, რა პოლიტიკური მოვლენები შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას.

### გერმანიის მაგალითი

მოვლენების ამ თანმიმდევრობის არსის ახსნას გერმანიაში არსებული სიტუაციის მაგალითზე შევეცდები.

როგორც ევროპის სხვა ქვეყნები, გერმანიაც არ არის მდიდარი ბუნებრივი რესურსებით. ისინი საკმარისი არ არის, იმისთვის, რომ მოსახლეობა საკვებითა და სამოსით უზრუნველყოს. გერმანია იძულებულია, ქვეყანაში შეიტანოს ნედლეული და პროდუქტები დიდი რაოდენობით და ამ აუცილებელი იმპორტის საფასური სამრეწველო პროდუქციის ექსპორტით დაფაროს, რომლის დიდი ნაწილიც იმპორტირებული ნედლეულით არის დამზადებული. თავისუფალი მეწარმეობის პირობებში გერმანელები შესანიშნავად მორგნენ ამ სიტუაციას. სამოცი-სამოცდაათი წლის წინათ, 1870-1880-იან წლებში, გერმანია ეკონომიკური კეთილდღეობის მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებდა. გერმანელმა მეწარმეებმა შეძლეს საოცრად ეფექტიანი სამრეწველო საწარმოების შექმნა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მიხედვით გერმანია ევროპაში პირველ ადგილს იკავებდა. გერმანულმა საქონელმა ტრიუმფალურად დაიპყრო მსოფლიო ბაზარი. გერმანელების კეთილდღეობა — მისი ყველა კლასის ჩათვლით — ყოველწლიურად მატულობდა. გერმანიის ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებისთვის არანაირი საფუძველი არ არსებობდა.

და ამის გამო იძულებულია, სამრეწველო საქონლის ექსპორტი მოახდინოს. ამის უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუროკრატიას არ ძალუძს და მხოლოდ ჩაკეტილი ბაზრის პირობებში შეძლებს ამას, საზღვარგარეთის ბაზრებისთვის კონკურენციის გაწევას კი ვერ მოახერხებს.

დღეს ნაცისტური გერმანიის მოსახლეობის უმრავლესობას სურს, რომ ბიზნესს სახელმწიფო აკონტროლებდეს. ეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და საგარეო ვაჭრობა შეუთავსებელია. სოციალისტური სახელმწიფო ეკონომიკური ავტარკიისკენ (თვითუზრუნველყოფა) უნდა მიისწრაფოდეს და

გერმანელი იდეოლოგებისა და პოლიტიკური პუბლიცისტების, იმ პროფესორების, ვინს ხელფასს სახელმწიფოსგან იღებდა, სოციალისტური პარტიის ლიდერებსა და სახელმწიფო ჩინოვნიკებს საბაზრო ეკონომიკა არ მოსწონდათ, „დასავლურს“, „ებრაულს“ და „ბურჟუაზიულს“ უწოდებდნენ, წუხდნენ იმის გამო, რომ თავისუფალმა მეწარმეობამ გერმანია შრომის საერთაშორისო გადანაწილების სისტემაში ინტეგრაციამდე მიიყვანა.

ყველა ეს ჯგუფები და პოლიტიკური პარტიები მიისწრაფოდნენ, თავისუფალი მეწარმეობა ბიზნესის სახელმწიფო მმართველობის შეცვლაით და და ეკონომიკური საქმიანობის ისეთი მოტივაცია დაეხვეწებინათ, როგორიც მოგებაა. ისინი ბიზნესის ნაციონალიზაციისა და სახელმწიფოსთვის დაქვემდებარების მოწოდებით გამოდიოდნენ. ქვეყანაში, რომლის ეკონომიკაც თვითკმარია, ამის გაკეთება შედარებით ადვილია. რუსეთი, რომელსაც ხმელეთის ერთი მეექვსედი უკავია, პრაქტიკულად, იმპორტის გარეშე ცხოვრობს, გერმანიის შემთხვევაში კი საქმე სხვაგვარადაა. მას არ შეუძლია იმპორტის გარეშე ცხოვრება

აქ საქმეში ერთვება აგრესიული ნაციონალიზმი, რომელსაც ადრე პანგერმანიზმი ერქვა, ახლა კი ნაციონალიზმ-სოციალიზმად იწოდება. ნაციონალისტ-სოციალისტები ამბობენ, რომ ისინი მძლავრი ნაცია არიან და ყველა სხვა ხალხების განადგურება ძალუძთ. ეკონომიკური აყვავებას რომ მივაღწიოთ, ჩვენ ყველა ქვეყანა უნდა დავიპყროთ, რომელსაც რესურსები გააჩნია. ჩვენ ავტარკია გვესაჭიროება, მის მისაღწევად კი საჭიროა ომები. ჩვენ სასიცოცხლო სივრცე და სასურსათო დამოუკიდებლობა გვესაჭიროება.

ეს ორივე ცნება ერთსა და იმავეს ნიშნავს: უზარმაზარი და რესურსებით მდიდარი ტერიტორიების დაპყრობა, რომლის შედეგად გერმანელები საგარეო ვაჭრობის გარეშე შეძლებენ ცხოვრების ისეთი დონის უზრუნველყოფას, როგორიც ნებისმიერ მდიდარ ქვეყანაშია.

კომუნისტები და ნაცისტები ერთ რამეში ეთანხმებიან ერთმანეთს — ეს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაზე კონტროლის დაწესებაა და მნიშვნელობა არა აქვს, რა ჰქვია სისტემას — სოციალიზმი, კომუნიზმი თუ კიდევ სხვა რამ. რაც უნდა დაარქვა, ამ სისტემას ეკონომიკური ავტარკია ესაჭიროება, მაგრამ თუ რუსეთი ამას ფლობს, გერმანიას ამისი შესაძლებლობა არ აქვს, ამიტომ სოციალისტურმა გერმანიამ დაპყრობითი პოლიტიკა, ანუ აგრესიის პოლიტიკა უნდა განახორციელოს.

სახელმწიფოს მიერ ბიზნესზე კონტროლის დაწესების პროგრამის საბოლოო შედეგი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობაზე უარის თქმაა. ნაცისტური ფილოსოფიის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობების ერთადერთი შესაფერისი რეჟიმი — ომაა. ნაცისტების ლიდერები ხშირად ციტირებენ რომაელი ისტორიკოსის, ტაციტუსის ორი ათასი წლისწინანდელ გამონათქვამს: გერმანული ტომები სირცხვილად მიიჩნევენ იმის შეძენას, რისი მოპოვებაც ხმლით შეუძლიათ. შემთხვევით როდი მოუწოდა კაიზერმა ვილჰელმ II-მ 1900 წელს თავის მებრძოლებს, მაგალითი ჰუნებისგან აეღოთ. მისი სიტყვები გააზრებული პოლიტიკური კურსის ერთგვარი ხატოვანი გაცხადება იყო.

### იმპორტზე დამოკიდებულება

გერმანია ერთადერთი ევროპული ქვეყანა როდია, რომელიც იმპორტზეა დამოკიდებული. ევროპის მოსახლეობა, რუსეთის გარეშე 400 მილიონი ადამიანია, რაც სამჯერ აღემატება აშშ-ის მოსახლეობას. ევროპა არ აწარმოებს ბამბას, კაუჩუკს, ყავას, ჩაის და არც ბევრი მნიშვნელოვანი ლითონის საბადოს პატრონია. გარდა ამისა, ევროპას არ შეუძლია საკუთარი თავის შალით, ფურაჟით, საქონლით, ხორცით, ტყავითა და მარცვლეულით უზრუნველყოფა.

1937 წელს ევროპაში მოიპოვეს 55 მლნ ბარელი ნავთობი (აშშ-ში 1279 მლნ ბარელი). უფრო მეტიც, მთელი ნავთობი ევროპაში მოიპოვებოდა რუმინეთსა და პოლონეთის აღმოსავლეთში, თუმცა, ახლანდელი ომის დასრულების შემდეგ ეს ტერიტორიები რუსეთის კონტროლქვეშ აღმოჩნდება. ევროპის ეკონომიკის საფუძველს სამრეწველო პროდუქციის წარმოება და ექსპორტი წარმოადგენს, მაგრამ ბიზნესზე სახელმწიფო კონტროლის პირობებში ასეთი ექსპორტის განხორციელება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ასეთია ფაქტები და მათ ვერავითარი სოციალისტური რიტორიკა ვერ შეცვლის. რომ გადარჩნენ, ევროპელები კარგად გამოცდილ თავისუფალი მეწარმეობის მექანიზმებს უნდა დაეყრდნონ, ალტერნატივა მხოლოდ ომები და დაპყრობაა. გერმანელები ორჯერ დაადგნენ ამ გზას და ორივეჯერ მარცხი იწვნიეს.

პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო გავლენიანი ევროპული ჯგუფები ვერ ხედავენ ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობას. დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიასა და ზოგიერთ პატარა ქვეყანაში მიმდინარეობს ძლიერი აგიტაცია სახელმწიფოს მიერ ბიზნესის კონტროლის სასარგებლოდ. ამ ქვეყნების მთავრობებს არაფრის გაგონება არ სურთ ეკონომიკური თავისუფლების შესახებ. ბრიტნეთის ლეიბორისტული პარტია და ის ინგლისელი პოლიტიკოსები, რომლებიც ყოველგვარი საფუძვლის გარეშე საკუთარ პარტიას ლიბერალურს უწოდებენ, მიმდინარე ომს განიხილავენ არა მარტო როგორც საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვას, არამედ, როგორც შესაძლებლობას, განახორციელონ ნამდვილი რევოლუცია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაზე კონტროლის დაწესებაში. მესამე ბრიტანული პარტია, კონსერვატიული, მთლიანად იზიარებს ამ გეგმებს. ბრიტანელებს ჰიტლერის დამარცხება სურთ, ამავე დროს, უნდათ მისი ეკონომიკური მეთოდების საკუთარ ქვეყანაში გამოყენება. ისინი არც კი ეჭვობენ, რომ სახელმწიფო სოციალიზმის შემთხვევაში ბრიტანელებს არასახარბიელო ბედიელოდებათ, საზღვარგარეთ ნედლეულისა და სურსათის შესაძენად ბრიტანეთმა სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი უნდა მოახდინოს, ექსპორტის შეწყვეტა ნეგატიურად აისახება ბრიტანელების უმრავლესობის ცხოვრების დონეზე.

საფრანგეთში იტალიასა და ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში იგივე პირობებია, რაც ბრიტანეთში.

საკუთარი ქვეყნის მომხმარებლის ყველა საჭირო საქონლით უზრუნველყოფის საქმეში სოციალისტური სახელმწიფო საკუთარ ბიზნეს კარნახობს — მოქალაქე იძულებულია, ის შეიძინოს, რასაც სთავაზობენ. საგარეო ვაჭრობაში კი საქმე სხვაგვარადაა: უცხოელი მომხმარებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენს საქონელს, თუ მისი ხარისხი და ფასი დააკმაყოფილებს. მომსახურების საერთაშორისო არენაზე უცხოელი მომხმარებლებისთვის კაპიტალიზმი დიდი ეფექტიანობისა და მოქნილობის დემონსტრირებას ახდენს.

(გაგრძელება იქნება)

ბელა გველესიანი
568 90 81 22



*განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრება 123-ე საჯარო სკოლის ისტორიის უფროსი მასწავლებელი ლელა თვალაბეიშვილი:*

# „გორდიას კვანძი“, თუ „სიმულაციური მარათონი?“

**(დასასრული. დასაწყისი. იხ „სგ“ N21)**

დაიწყო „განათლების რეფორმის ხელშეწყობის“ პროგრამა „ახალი სკოლის მოდელი.“ საპილოტე პროგრამაში მონაწილეობისათვის მასწავლებლებს მიენიჭათ 6 კრედიტ ქულა. მოეხსნათ სამოდელო და გარე დაკვირვების გაკვეთილები და პირდაპირ მიენიჭათ სტატუსები, რამაც გამოიწვია არასამართლიანობის განცდა კოლეგებში.

გაქრა ჩვენი დაგროვილი კრედიტები. ისევ ნულიდან დავიწყეთ.

ავადმყოფობის გამო საზღვარგარეთ ვიყავი უხელფასო შვებულებაში ერთი წელი. დავბრუნდი, და სამწუხაროდ, ჩემი მოგროვილი 15 კრედიტი აღარ დამხვდა. ავად რომ არ გავმხდარიყავი, მხოლოდ ორი სამოდელო გაკვეთილის ჩატარება იყო საჭირო და გარე დაკვირვებას მოვითხოვდი. ალბათ, ბევრი იყო მისული სტატუსის ზღვართან და „წამგებიანი“ იქნებოდა სამინისტროსთვის, რომ არ შეჩერებინათ წინსვლის ეს გზა.

კანონები ჩვენზე უნდა იყოს მორგებული და უნდა ითვალისწინებდეს ნებისმიერ გამონაკლისს, რაც ამ სქემაში გათვალისწინებული არ ყოფილა.

ცვლილებების საფუძველზე, ვინც უფროსი მასწავლებელი არ იქნებოდა 2020 წლის 31 იანვრისთვის, ან დარეგისტრირებული არ იქნებოდა გამოცდაზე, მისი ადგილი ცხადდებოდა ვაკანტურად. ასეთ 1500 პრაქტიკოს მასწავლებელს სასწავლო წელი კი დაასრულებინეს, მაგრამ ამ მიზეზით შეუწყდათ ხელშეკრულება. პანდემიის გამო გამოცდები არ ჩატარდა და ესეც არ გაითვალისწინეს, არ მისცეს დამატებითი დრო, მხოლოდ მათ, ვინც დარეგისტრირებული იყო, მიეცათ უფლება, გამოცდაზე გასულიყვნენ 2021 წლის ზაფხულში.

საინტერესო იყო საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის „ფულადი ჯილდოს“ გადაცემის წესი. ასეთი „წამახალისებელი ჯილდოს“ შედეგად ცხრა ათასამდე პედაგოგმა დატოვა სამსახური, სკოლები მაღალკვალიფიციური, გამოცდილი სპეციალისტების ერთ-ერთმა მაღალკვალიფიციურმა ღირსეულმა მასწავლებელმა პროტესტის გამო არ ჩააბარა საგნობრივი გამოცდა და რა თქმა უნდა, მასაც მოუწია სკოლის დატოვება (მისი სინანულით ნათქვამი ფრაზაა: თავიდან მომიშორეს ამ „ჯილდოთი“).

ბევრმა ახალგაზრდა პედაგოგმა ვერ გაუძლო განათლების სისტემაში ასრსებულ რუტინას, დატოვა ქვეყანა, მასობრივად მოხდა ასეთი კადრების გადინება საქართველოდან. (ამ ინტელელექტუალურ ნაწილს, ფაქტობრივად, ტყვეობაში ყოფნა და მძიმე სამუშაოს შესრულება უწევს.)

2020 წლის 26 ივნისის დადგენილებით, კერძო სკოლების ჩართულობა სქემაში სავალდებულო გახადეს, რითაც დაირღვა კერძო სექტორის ავტონომიის, დამოუკიდებელი თვითმმართველობის უფლება.

ახალი სქემის მიხედვით, სკოლის შეფასების ჯგუფს ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი ეწოდა; გაკვეთილებზე დასწრება ადრეც იყო, უბრალოდ, კრედიტების მინიჭება მოიხსნა. ტრენინგები სტატუსის მიხედვით გახდა სავალდებულო. თუ სავალდებულო ჰქვია, რატომ არ დაურეკეს ზოგიერთ მასწავლებელს და გამოატოვებინეს ტრენინგი. ან რა ხარისხი უნდა ჰქონდეს ონლაინ ტრენინგს, რომელსაც ზოგჯერ 50-60 მასწავლებელი ესწრება და უკუკავშირი, ფაქტობრივად, არ არსებობს.

ძველი სქემით გარე დამკვირვებელი წინასწარ დაგეგმილი ხუთი გაკვეთილიდან, ერთ-ერთს ესწრებოდა, ახლა კი, ერთ დღეს ესწრებოდა ყველა გაკვეთილს და აწარმოებდა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების გამოკითხვას. მოკლედ, დაიწყო პედაგოგის შემოწმება-გადამოწმება. როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბერიკა შუკაკიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: როგორია ეს მასწავლებელი, რომ გავიგოთ 360 გრადუსით უნდა შევაფასოთო. ამას დაემატა საგნობრივი პროგრამის – კურიკულუმის შედგენაც, რისი გამოცდილებაც პედაგოგებს არ აქვთ და, ჩემი აზრით, ეს განათლების ექსპერტების საქმეა.



კვლავ ელზა ბადაშვილის შეფასებას მოვიშველიებ:

„ასეთი წნეხის პირობებში, პედაგოგები სრულიად უძლურნი და დაუცველები არიან, არ იციან რით და როგორ დაუპირისპირდნენ ზეწოლას, ან რა მოჰყვება დირექტორის მხრიდან მათთვის არასასურველ შეფასებას. მოკლედ, არის ის მოწყვლადი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც თავიანთი საქმიანობის პროცესში, მუდმივად განიცდიან ახალ-ახალი რეგულაციების, კანონების, დადგენილებების და დაუსრულებელი გამოცდების მოლოდინში, სტრესულ და ემოციურ ზეწოლას, რაც აზარალებს ამ ადამიანების არა მარტო ფსიქიკურ მხარეს, არამედ აზარალებს განათლების სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვანს — მოსწავლეებს! არც ერთ დოკუმენტში მოსწავლე პრიორიტეტული არ არის, აქცენტი მხოლოდ მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე კეთდება, რაც გასაგებია, მაგრამ დაუსრულებლად, დროის მოკლე პერიოდში, არ შეიძლება ასე რადიკალურად იცვლებოდეს საკითხისადმი მიდგომები.“

სქემაში გაჩნდა სპეციალური წარდგინებით სტატუსის მინიჭების წესი. მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას, რომელიც შეიმუშავებს და ამტკიცებს განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევების მქონე ღვაწლმოსილი მასწავლებლისათვის ან/და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსის მინიჭების წესსა და პირობებს. ამ წესით სკოლის დირექტორებმა და მასწავლებელთა პროფესიულმა კავშირმა უამრავი მასწავლებელი წარადგინა. მჯერა, ნამდვილად იქნებიან მათ შორის ღირსეულები, მაგრამ თავისთავად ამ წესის გაჩენა სქემაში უსამართლობის განცდას იწვევს. რადგან სწორედ ამ გზით გვყავს სისტემაში 1-კრედიტიანი მენტორი მასწავლებლები. ამ წესით რამდენიმე კვირის წინ მინისტრმა 600 მასწავლებელს მიანიჭა სტატუსი და შემდეგ კი დროებით შეაჩერა.

სამწუხარო ის არის, რომ წარდგენილ 700 მასწავლებელს მოუვწარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სკოლაში ახალ შემომსვლელს (დამწყებს) მიეცა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო მოქმედ პრაქტიკოს მასწავლებელს დაევალა ორი გამოცდის — საგნობრივის და პროფესიული გამოცდების ჩაბარება. ესეც ერთ-ერთი უსამართლობაა.

მე ამ სქემას ვუწოდე „სიმულაციური მარათონი“, რომელშიც სულ ჩართული ვარ. დღემდე იგი სავსეა წინაღობებით და ფინიშიც არ ჩანს. როგორც კი მასწავლებლები სიახლისადმი შფოთვას გადავლახავდით, გავერკვეოდით სიტუაციაში, ბარიერს ართულებდნენ, ან უბრალოდ ცვლიდნენ ახალი წინაღობით. ამდენმა ცვლილებამ სქემა დაამსგავსა „გორდიას კვანძს“, რომელსაც გადაჭრის მეტი არაფერი უშველის. მივიღეთ მასწავლებლების გათიშული ჯგუფები სხვადასხვა კანონით მიღებული სტატუსებით. ყველას შრომა აქვს ჩადებული და თავისი გაკეთებული მიაჩნია ყველაზე რთულ საქმედ. მათ აქვთ

გარეშე დარჩა. პედაგოგებმა საგნობრივ ჯგუფში არსებული საგნები შეითავსეს. თუმცა ვერც ამ ნაბიჯმა გადაჭრა პრობლემა. ამიტომ კიდევ ცვლილებები შეიტანეს. უკვე სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს მისცეს სწვლების უფლება, ფიზიკის პედაგოგს ესწავლებინა მათემატიკა ან პირიქით. სისტემაში სპეციალისტთა დეფიციტი და უამრავი ვაკანსია გაჩნდა. თუ საპენსიო ასაკის გამო იყო ეს „ფულადი ჯილდო“, მაშინ სამართლიანი იქნებოდა, ამ ასაკს მიღწეულ ნებისმიერი სტატუსის მასწავლებელს მიეღო.

თავიანთ საქმიანობაში არც სკოლის დირექტორები არიან დამოუკიდებლები. მათ განუსაზღვრავენ, ვის რამდენ გაკვეთილზე დაესწრონ, როგორ შეაფასონ საგაკვეთილო პროცესი, რა ღონისძიებები გაატარონ უარყოფითი შეფასების შემთხვევაში. თუ მასწავლებელი არ შეასრულებს სტატუსით დაკისრებულ ვალდებულებას, დირექტორს უფლება აქვს, ერთი სტატუსით დაბალი ანაზღაურება მისცეს.

ისევ ვიყავით მუდმივ დაძაბულობაში, სტრესა და ფიქრში, რომ არ დაგვეკარგა სტატუსი.

იდა პასუხი: „უარი ეთქვას“ და მათ კითხვაზე- რა დაგვიხარვეზდა, 35-40 წლის სტაჟის მქონე პედაგოგებს უკუკავშირი არ მისცეს. სავარაუდოდ, წარდგენილთა სიმრავლემ გადაწყვიტა მათი ბედი. ამან სერიოზულად იმოქმედა ზოგიერთი მასწავლებლის ჯანმრთელობაზე.

„მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის“ შემოტანამ კი გაურკვევლობა და გაუგებრობა გამოიწვია. პედაგოგმა შიძლება სტატუსი აიმაღლოს, მაგრამ არ შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს.

მხოლოდ საგნის გამოცდის იმის შიში, სქემა რომ გაუქმდეს, ამას არ მოჰყვეს დანამატის გაუქმებაც, ამიტომ „ელიტ ჯგუფის“ პედაგოგები ცდილობენ ნეიტრალური პოზიცია შეინარჩუნონ. ასეთი უსამართლობები იწვევს პედაგოგებს შორის დაპირისპირებას.

2022 წლამდე წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსის მისაღებად პროფესიული უნარების გამოცდის ჩატარება ვერ მოახერხეს. დაგვაკარგვინეს 3 წელი.

მოგვაწოდეს „ზღვა მასალის“ ჩამონათვალი.

გამოცდაზე გასვლა მეც გადავწყვიტე, პრეტესტზე მიღებულმა მაღალმა ქულამ მომცა სტიმული და სკოლაში წინსვლის მსურველმა 18 მასწავლებელმა შევქმენით ონლაინ ჯგუფი, გავინაწილეთ საკითხები დასამუშავებლად. მე და ჩემი მეგობარი ვესწრებოდით ფასიან ტრენინგებს, რადგან უფასო არ შემოგვთავაზა სამინისტრომ, შემდეგ იგი ამზადებდა ონლაინ პრეზენტაციებს, ვუზიარებდით კოლეგებს და ასე გავედით გამოცდებზე. გამოცდაზე დრო არავის გვეყო, ყველამ გავაპროტესტეთ შედეგები. 13-მა გადავლახეთ ბარიერი, 4-მა მენტორის, 9-მ წამყვანის. უსამართლობა ის იყო, რომ ქულები მოუმატეს მხოლოდ პირველ ვარიანტს, რამაც გამოიწვია ის რომ 5 პედაგოგმა ზღვარი ვერ გადალახა. მთელი ზაფხული შფოთვასა და დაძაბულობაში გავატარეთ. უსამართლობის გრძნობა დღემდე არ გამნელებია. ნაწერები გასწორდა სუბიექტურად. ნამუშევრები სოცქსელების მეშვეობით ერთმანეთს

## ღირსებაშელახული მასწავლებელი ვერ აღზრდის თავისუფალ და ლაღ მომავალ თაობას

შევადარეთ და თითქმის ყველამ გავაპროტესტეთ ტესტი. ერთ ვარიანტს ქულები მოუმატეს და ამით „გააჩუმეს“ - „გათიშე და იბატონეს“ პრინციპმა ამ შემთხვევაშიც გაამართლა.

სექტემბერში უნდა მოეწოდებინათ „პროფესიული საქაღალდის“, ე.წ. პორტფოლიოს, შეფასების კრიტერიუმები. მოგვაწოდეს მარტის ბოლოს, თან აპრილის ბოლომდე მოგვცეს ატვირთვის ვადა.

სქემის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ზოგიერთმა მასწავლებელმა გამზადებული დოკუმენტაციის (კვლევების) შეძენა დაიწყო, როცა კვლევა იყო წინსვლის ინსტრუმენტი. განათლების სისტემაში გაჩნდა გამყიდველი და მყიდველი, თუ თვითონ გამსწორებლებისგან შეიძენდი, გარანტიაც მეტი იყო, ამიტომ მათთან უფრო ძვირიც ღირდა კვლევები. ქალბატონმა მანანა ნიკოლაიშვილმა თქვა თავის საავტორო გადაცემაში, რომ კვლევები იყიდებოდა, არ უარყოფენ თვით განათლების სისტემის წარმომადგენლებიო. სწორედ კორუფცია გახდა დოკუმენტაციის წარდგენის გაუქმების მიზეზი. ასევე, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ ბერიკა შუკაკიძის თქმით, პროფესიაში გადაადგილება უფრო სწრაფი გახდებოდა. მანვე გვაუწყა რომ აუქმებდნენ კრედიტების დაგროვების სისტემას და მარტო გამოცდა საკმარისი იქნებოდა სტატუსის ასამაღლებლად. თუმცა, შემდეგ მაინც მიაბეს გამოცდას პორტფოლიო. ძალიან ჩვეულებრივად აპრილის დასაწყისში გამოჩნდა სოციალურ ქსელებში ე.წ. „ექსპერტების“ შემოთავაზება, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ დაეხმარებოდნენ პედაგოგებს პორტფოლიოს გაკეთებაში. ამას მოჰყვა პროტესტი და, შესაბამისად, „განცხადებების გაქრობა“.

პორტფოლიოს მიმართ გავიჩნდა პროტესტის გრძნობა, რადგან კრიტერიუმები იყო ბუნდოვანი, თვითონ ტრენერებიც არ იყვნენ ჩამოყალიბებული, სათანადოდ ვერ ხსნიდნენ მოთხოვნებს. მასწავლებლებმა გადავიღეთ ვიდეო რგოლი- „არა პორტფოლიოს“. ამას მოჰყვა მინისტრთან შეხვედრის მოთხოვნა. შეხვედრებზე ვიწრო ჯგუფებსა თუ ფართო აუდიტორიასთან ყოველთვის არის ურთიერთგამომრიცხავი აზრების მოსმენა. როცა ვიყავი შეხვედრაზე, ერთადერთი განსხვავებული აზრი დარბაზში ჰქონდა პროფკავშირების წარმომადგენელს, მან სთხოვა მინისტრს, ვადა გაეზარდათ პორტფოლიოს მომზადებისთვის, როცა სხვა ყველა ვითხოვდით მოეხსნათ, როგორც სტატუსის ამაღლების საშუალება და დაეტოვებინათ სავალდებულო საწარმოებელ დოკუმენტად.

მიღებულმა გადაწყვეტილებამ მაფიქრებინა, რომ ამ შეხვედრას ჩვენთვის დადებითი შდეგი არ მოჰყოლია. ამით სამინისტროს წარმომადგენლებმა კიდევ უფრო რთულ ვითარებაში ჩააყენეს მასწავლებლები და პასუხისმგებლობა მთლიანად მათ დააკისრეს.

კარგი იქნებოდა, ამ პრობლემის კვლევა რომ ჩაეტარებინათ, შემდეგ გადაჭრის პროცესში ეკითხათ ჩვენი აზრი, როგორ გვესახებოდა მომავალი. მიმაჩნია, რომ ყველაფერი კვლევის და მისი შედეგების შემდეგ უნდა იგეგმებოდეს, სამწუხაროდ, ასე არაა.

ვეთანხმები ელზა ბადაშვილის სქემის განხილვას, რომელიც ასე მთავრდება:

„სქემამ 31 ცვლილება განიცადა 2009წლიდან -2020 წლის აგვისტომდე. მიღებული შედეგით კი დაირღვა საქართველოს კანონის 21/7 მუხლის პუნქტი 2: „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა მასწავლებლებს უნდა აყენებდეს თანაბარ მდგომარეობაში.

სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ახალ დოკუმენტზე მუშაობა და რადიკალურად შეიცვალოს ის მანკიერი დებულებები, რომელთა მიხედვითაც დარღვეულია სამართლიანობის, ობიექტურობის და პედაგოგთა თანაბარ პირობებში ჩაყენების ფუნდამენტური პრინციპები.“

წლების განმავლობაში სქემამ ცვლილებები განიცადა, ფაქტობრივად, ეს იყო ექსპერიმენტი, რომელიც ჩვენზე და ჩვენს მოსწავლეებზე განხორციელდა. მთელი ცივილიზებული სამყარო მიდის იქითკენ, როგორ გამოუთავისუფლოს ადამიანს დრო და გახადოს იგი ბედნიერი, რადგან ბედნიერი ადმიანი არის შემოქმედებითი და პროდუქტიული. სამდღიან დასვენებაზეა საუბარი მსოფლიოში და ჩვენ 24/7 გვამუშავებენ, სკოლა სახლში მიგვყვება, არც საღამოა ჩვენი, არც შაბათ-კვირა და არც არდადეგები. ასეთი ყოფა პირდაპირ სარკისებურად აისახება ჩვენს მოსწავლეებზე. მოზარდების კეთილდღეობაზე უნდა იყოს აწყობილი განათლების სისტემა. ჩვენ მხოლოდ კლასებში უნდა ვიღლებოდეთ, ნაყოფიერი, სასიამოვნო, შემოქმედებითი საქმიანობით, შემდეგ კი ვისვენებდეთ და ვიკრებდეთ ძალებს.

აღიჭურვოს სკოლები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, საჭირო რესურსებით, კლასებში შემცირდეს მოსწავლეთა რაოდენობა, განაკვეთი გახდეს 15 საათი, გაუმჯობესდეს სახელმძღვანელოების ხარისხი (გადამოწმდეს წიგნების სტანდარტები), გააქტიურდეს სკოლის შიდა მექანიზმი, ჩატარდეს ცენტრალიზებული დიაგნოსტიკური წერები ყველა საფეხურზე, იყოს საატესტატო გამოცდები, საბაზო ხელფასი იყოს ჩვენი შრომის შესაბამისი, პენსიაზე გასვლის შემდეგ კი ღირსეული თანხა. გახადეთ მასწავლებლობა სასურველი პროფესია, ისე რომ მას ირჩევდნენ „ჩვენი საუკეთესო“ მოსწავლეები. ყველა ჩვენი წინსვლა მოსწავლეების წარმატებაში უნდა აისახოს. შეგვაფასეთ ჩვენი მოსწავლეების მიღწევებთ, მოგვეცით ყველა ჩვენს დადებით და უარყოფით ქმედებაზე შესაბამისი უკუკავშირი, როგორც ამას ვაკეთებთ ჩვენს მოსწავლეებთან.

სისტემატურად ირღვევა მასწავლებლის უფლებები, სქემასა და ჩარჩოში ჩასმული **ღირსება შელახული მასწავლებელი ვერ აღზრდის თავისუფალ და ლაღ მომავალ თაობას**.

ბატონო გიორგი, „წილი ნაყარია“, თქვენი შეხვედრები ამის თქმის უფლებას მაძლევს და იმედს მისახავს. ერთად ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის მომავალსა და ჩვენი შვილების განათლებაზე! ერთად გადავლახოთ „რუბიკონი!“



# რა ახსოვს ევროპას ჩვენი წარსულიდან?

23 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გვერდით ევროკავშირის სრული დაფინანსებით ოფიციალურად გაიხსნა თანამედროვე სტილის ადვოკატთა სახლი.

ახალი ოფისის მშენებლობას 2021 წლის იანვარში ჩაეყარა საფუძველი. იმავე წელს შენობის არქიტექტურამ და კონცეფციამ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა და **Global Architecture & Design Award**-ის 2021 წლის გამარჯვებული გახდა.

ადვოკატთა სახლის გახსნას საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის წევრები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ადვოკატთა ასოციაცია, რომელიც უკვე 5 ათას წევრზე მეტს აერთიანებს, ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობის განმტკიცების, ზოგადად, დამოუკიდებელი, ხარისხიანი და ეთიკური მართლმსაჯულების უზრუნველყოფის პროცესში. თქვენ ღირსეულად აგრძელებთ დამოუკიდებელი ადვოკატურის იმ ტრადიციებს, რომლებსაც საფუძველი ჯერ კიდევ ას წელზე მეტი ხნის წინათ, პირველი რესპუბლიკის პერიოდში ჩაეყარა. ადვოკატებს ყოველდღიური შრომით ფასდაუდებელი წვლილი შეგაქვთ საქართველოში დემოკრატიისა და სამართლებრივი სტაბილურობის განმტკიცებაში. ადვოკატთა სახლის გახსნა არაერთი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს დღევანდელობაში. პირველ რიგში, ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარება, მჯერა, ხელს შეუწყობს თქვენი საქმიანობის მაღალ დონეზე შეუფერხებლად განხორციელებას. გარდა ამისა, ესაა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, გადადგმული ე.წ. „მართლმსაჯულების უბნის“ კონცეფციის რეალობად ქცევისკენ. მოგეხსენებათ, თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქალაქო და რაიონული პროკურატურებისა და ადვოკატთა ასოციაციის ერთ არეალში განთავსება წაახალისებს იურიდიულ პროფესიებს შორის დიალოგსა და თანამშრომლობას. ახალი სათავო ოფისის შენობით, რომლის დიზაინმაც უკვე მოიპოვა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო, ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაგებობა შეემატა. კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენი ამ ახალი სახლის გახსნას, გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში,“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მიწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს, ასევე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა მარია სლაზაკიმ და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა – კლაუდიო ვისკომ.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ადვოკატთა ფიცის დადების ტრადიციული ცერემონია. ერთწლიანი ადაპტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ასოციაციას კიდევ ასამდე ახალი წევრი შეემატა.

ადვოკატთა ასოციაციის ახალ ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულია როგორც ადმინისტრაციული განყოფილება, ისე სასწავლო ცენტრი, ეთიკის კომისია, ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტი. შენობაში, ასევე, მოეწყო სატრენინგო და საკონფერენციო სივრცეები და კაფეტერია.

„საერთო გაზეთმა“ ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობას ვრცელი წერილი უკვე მიუძღვნა, ვისაუბრეთ მისი მოღვაწეობის შესახებ, წარსულსა და მომავალზე, ახალი თავმჯდომარის, დავით ასათიანის ინოვაციურ მიდგომებზე.

ნათქვამია, ვინც წარსულს ივიწყებს, მომავალს არ აფასებსო. ეს პათოსი განსაკუთრებით იგრძნობოდა ყველა იმ დამსწრე ადვოკატში, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ნაციონალური ხელისუფლების რეჟიმის სუსხი, როცა ადვოკატურის, როგორც ცალკე ინსტიტუტის განვითარების ავტონომიურობაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო. სამაგიეროდ, პროკურატურის ინსტიტუტი აკონტროლებდა ყველას და ყველაფერს, სასამართლო კი მხოლოდ ნოტარიუსის მანტიას ირგებდა.

ამ ფონზე გვახსენდება ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის ღირსეული ბრძოლა მაშინდელი რეჟიმის წინააღმდეგ, მის მიერ სტრასბურგის სასამართლოს კიბეებზე გამოხატული დიდი და ზოგჯერ ყველასაგან განსხვავებული პროტესტი ადვოკატთა უფლებების დასაცავად. თავზეხელაღებული ხელისუფლების შესაჩერებლად ევროპის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ქალბატონი მარია სლაზაკის მხარდაჭერა მაშინ მნიშვნელოვანი იყო. განსაკუთრებით ამ ქალბატონის ფიზიკურად გვერდით დგომა გვახსენდება გლდანის მე-8 დაწესებულებასთან, როდესაც ადვოკატები სახელმწიფოს მხრიდან პატიმრების არაჰუმანურად მოპყრობას აპროტესტებდნენ. დღესაც ქალბატონი სლაზაკი განაგრძობს ადვოკატთა კორპუსის მხარდაჭერას, რისი დასტურიც თუნდაც ადვოკატთა ახალი სახლია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ცნობით, საქართველოდან სტრასბურგში შეტანილი საჩივრების ოდენობა რეკორდულად შემცირებულია, ეს ყველაზე კარგად იცის ევროპამ და ჩვენი საზოგადოებისათვის ხშირად ცოტა გაუგებარია ქართული მართლმსაჯულების სამართლიანობის მიმართ დასავლეთის კრიტიკა. თუ ჩვენს პარტნიორებს ჩვენი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ მეტის გაგება სურთ, შეუძლიათ ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტს, ქალბატონ მარია სლაზაკს ჰკითხონ, იმ ამბების ცოცხალ მატიანეს, რომელმაც შესანიშნავად უწყის, რა განსხვავებაა წარსულსა და დღევანდელს შორის.

არ ვამბობთ, რომ ადვოკატთა ასოციაციის წინაშე გამოწვევები აღარ არსებობს. ოფიციალური ინფორმაციით, ადვოკატთა უფლებები, სამწუხაროდ, დღესაც ირღვევა. როგორც ცნობილია, რამდენიმე ადვოკატის მიმართ გრძელდება სისხლის სამართლებრივი დევნა, რომლის კლასიკური მაგალითი ადვოკატების, ნათელა გოდერიძის, მზევინარ კოსტავასა და სხვათა საქმეებია, რომელთა მიმართ განაჩენი მალე დადგება. როგორც ბრალდებული ადვოკატები აცხადებენ, პროკურატურის პრეტენზია მათ მიმართ უსუსურია და სამართლიანი სასამართლოს იმედი აქვთ.

**ლევან ჭილლაძე**

# არასწორი ფაქტები

გავრცელებული მოსაზრება, რომ ჩინეთის დიდი კედელი ერთადერთი ადამიანური ნაკეთობაა, რომელიც კოსმოსიდან ჩანს, რეალობას არ შეესაბამება. მსგავსი რამ მთვარეზე მყოფ ასტრონავტებს არ დაუდასტურებიათ. მისი შემჩნევა ძნელია დედამიწის გარშემო მოძრავი აპარატებიდანაც კი. მასზე გაცილებით კარგად მოჩანს განათებული ქალაქები დედამიწის იმ მხარეს, სადაც უკვე ღამეა. „შატლის“ კოსმონავტის, ჯერომ აპტის თქმით, ჩინეთის დიდი კედლის დანახვა 300 კმ-ის სიმაღლიდან უკვე შეუძლებელია.

* * * *

ალბერტ აინშტაინს სულაც არ უჭირდა სკოლაში მათემატიკის სწავლა. ამ საკითხთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ჯერ კიდევ 15 წლის იყო, როცა დიფერენციალური და ინტეგრალური კალკულუსი ჰქონდა ათვისებული.

* * * *

არ არსებობს მტკიცებულება, რომ ვიკინგები რქიან მუზარადებს ატარებდნენ. ეს შეხედულება სათავეს იღებს 1876 წელს დადგმული ოპერიდან „ნიბელუნგების ბეჭედი“, რომლის ავტორი რიჰარდ



ვაგნერია. ოპერის სცენოგრაფიაში ვიკინგებს რქიანი მუზარადები ახურავთ, რამაც არასწორი აზრის გავრცელება გამოიწვია.

* * * *

ღამურები ბრმები არ არიან. მართალია, ბევრი მათგანი ორიენტაციის უმთავრეს იარაღად ექოლოკაციას იყენებს, მაგრამ მათ აქვთ თვალები და სინათლის აღქმა შეუძლიათ. გარდა ამისა, ყველა ღამურას არ აქვს ექოლოკაციის უნარი და ასეთ სახეობებს სიბნელეში არაჩვეულებრივი მხედველობა აქვთ.

* * * *

არასწორია აზრი, რომ იხვის ყიყინს ექო არ აქვს, უბრალოდ, რიგ პირობებში ადამიანის ყურისთვის რთული აღსაქმელია.

* * * *

სეზონები იმის გამო არ იცვლება, რომ დედამიწა მზესთან ზაფხულში უფრო ახლოს არის, ვიდრე ზამთარში. რეალურად, დედამიწა შორსაა მზისგან. სეზონების ცვლილებების მიზეზია დედამიწის ღერძის 23.4 გრადუსამდე გადახრაა. მზის გარშემო მოძრაობისას დედამიწის სხვადასხვა მხარეები განსხვავებული რაოდენობის სითბოსა და სინათლეს იღებენ. როდესაც დედამიწის ზედაპირზე მზის სხივები შვეულად ეცემა, მეტ გამოსხივებას იღებს, ვიდრე დახრილობის დროს. ივლისში ჩრდილოეთი ნახევარსფერო მზისკენაა მიმართული. შესაბამისად, დიდი რაოდენობით სინათლე მიეწოდება და დღეები ხანგრძლივია, იანვარში სიტუაცია იცვლება. რაც შეეხება სამხრეთ ნახევარსფეროს, პირიქითაა, მზისკენ შექცეულია იანვარში და შებრუნებულია ივლისში.

* * * *

მიზეზი, რის გამოც ქრისტეფორე კოლუმბს უჭირდა მოგზაურობისთვის დაფინანსების მოპოვება, სულაც არ იყო ის, რომ მაშინ დედამიწა ბრტყელი ეგონათ. იმ პერიოდში პლატონისა და არისტოტელესგან უკვე იცოდნენ, რომ პლანეტას სფეროს მსგავსი მოყვანილობა ჰქონდა, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მის მოსაზრებას ინდოეთამდე მანძილის შესახებ, რომელიც რეალური ზომის მეექვსედს წარმოადგენდა. ამერიკის კონტინენტები რომ არ ყოფილიყო, კოლუმბი ინდოეთამდე მიღწევას ვერ შეძლებდა, რადგან საკვების ამარაგი ამოეწურებოდა. გარდა ამისა, მაშინ ზღვებში გრძედების გამოთვლა ჭირდა.

* * * *

რეალურად, კოლუმბი არც ამერიკის აღმომჩენია იმ გაგებით, რომ მან ვერ მოახერხა კონტინენტის იდენტიფიცირება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, კოლუმბი ახალ მიწას ევროპასა და აზიას შორის მოიაზრებდა, თავად მოგზაურის ჩანაწერებიოიდან ირკვევა, რომ ის ამერიკას აზიის აღმოსავლეთ სანაპიროდ მიიჩნევდა. სწორედ ამიტომ ეწოდა კონტინენტს ამერიგო ვესპუჩის სახელი, რადგან მან სწორად აღიქვა, სად იმყოფებოდა. გარდა ამისა, კოლუმბი არ ყოფილა პირველი ევროპელი, ვინც ამერიკის კონტინენტზე ფეხი დადგა. 500 წლით ადრე იგივე ნორვეგიელმა მოგზაურმა ლეიფ ერიქსონმა შესძლო.

* * * *

სიტყვა „გოლფი“ არ წარმოადგენს აკრონიზმს ფრაზისა „მხოლოდ ჯენტლმენები, ქალები არ დაიშვებიან“. რეალური დასაბამი დაუდგენელია, თუმცა არსებობდა შუა-შოტლანდიურ ენაში.

* * * *

ჯორჯ ვაშინგტონს ხის კბილები არ ჰქონია. კბილების პრობლემა მას ახალგაზრდობიდანვე აწუხებდა და ამიტომ კბილების რამდენიმე ხელოვნური წყება ჰქონდა: ოქროს, ბეჰემოთის ძვლის, ტყვიის, ადამიანისა და ცხოველის (ცხენის, სახედრის) კბილის რიგები, მაგრამ ხის — არასოდეს ჰქონია.

* * * *

ნაპოლეონ ბონაპარტე თავის ეპოქაში სულაც არ ითვლებოდა დაბალ მამაკაცად, პირიქით, ის უფრო მაღალი იყო, ვიდრე ტიპური ფრანგი. გარდაცვალების მომენტში მისი სიმაღლე 168 სმ იყო. სამე ის გახლავთ, რომ იგი გარშემორტყმული იყო მაღალი მცველებით და მათ ფონზე დაბალი ჩანდა. მეტსახელი „პატარა კაპრალი“, სავარაუდოდ, სიყვარულის გამოხატულება იყო და არა სიმაღლის აღნიშვნა.





## „მიყვარს საქართველო და ქართული კულტურა, მეც ალბათ ერთი აგური დავდე ხელოვნების განვითარების საქმეში“

გარდაიცვალა ქორეოგრაფი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ხელოვნების ქურუმი, ღირსების ორდენის კავალერი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი გელოდი ფოცხიშვილი.

გელოდი ფოცხიშვილი 1998 დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით, ქართული ქორეოგრაფიის ახლებური ხედვისა და განვითარებისათვის. ასევე, მიღებული აქვს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქების სიგელი, საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის რაინდის ორდენი, საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის ბრწყინვალების ორდენი, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ტიტული.

გელოდი ფოცხიშვილი 2012 აირჩიეს საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად. ასევე იყო საქართველოს „ფაზისის“ საერო აკადემიის აკადემიკოსი და საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდიის“ აკადემიკოსი.

იყო ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიის „მეტეხი“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. 2015 ფილარმონიის წინ გაიხსნა ფოცხიშვილებისა და „მეტეხის“ ვარსკვლავი.

2016 წელს მწერალთა და შემოქმედებითი კავშირის ხელოვანთა ოქროს ფონდმა მიანიჭა ღვაწლმოსილის წოდება, ქართულ ქორეოგრაფიაში გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის.

ასევე, 2016 წელს ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვებულია კულტურის სამინისტროს „ხელოვნების ქურუმით“.

დამდგმელ ქორეოგრაფად მონაწილეობა აქვს მიღებული ფილმში „აურზაური სალხინეში“ (1974 წელი). 2014 წელს ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი იყო მოკლემეტრაჟიან ფილმი „ქუჩის დედოფალი“. ასევე, 2019 წელს მონაწილეობა აქვს მიღებული ფილმში — „პრეზიდენტის დაბრუნება“.

როცა ქვეყანაში არაფერი არ ხდებოდა მან შეძლო და შექმნა ბრწყინვალე დასი ულამაზესი კოსტუმებით! ის იყო ინოვატორი ქართულ ქორეოგრაფიაში, პირველმა შემოიტანა ,,კლასი“ და ,,ფონოგრამა“ ქართულ ცეკვაში.არასდროს ეშინოდა სიახლეების! იყო საუკეთესო მეგობარი და გვერდში მდგომი ადამიანი! სიცოცხლე ისე უყვარდა,რომ რაც არ უნდა ცუდ ხასიათზე ყოფილიყავი მაინც გაგაცინებდა და სიცოცხლეს მოგანდომებდა!

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს ღვაწლმოსილი ხელოვანის, დამსახურებული ქორეოგრაფის, ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენების კავალერის, არაერთი თაობის აღმზრდელ პედაგოგის, ბატონი გელოდი ფოცხიშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99